


የጋራ

№1 (52) 2023



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო



იალქანი - შემეცნებით-ლიტერატურული
ჟურნალი ყვანვილთათვის
დაარსებულია 1996 წელს



აფქიო - კონა-კრეპული
ყველაზე პატარავისთვის
დაარსებულია 2010 წელს

რედაქტორი **ნანა ჭანტურია**
მხატვრული რედაქტორი **ნუნუ ჯანელიძე**
მხატვარი, პასუხისმგებელი მდივანი **დალი მუსაძე**
დიზაინი, დაკაბადონება **პასტანა ზაქარაია**

ხოჯა ქაღმაქონ მქა ხანგომვილოლ ზინ ვქსქაშეთი, ვავიფიქი, აქ ფაჩიოდე ვალუბაყო კაჩილი იზვიათად მინახვლ-მეთი. საქშიაველოლ ზიჩიუბისა და სპოქაქაქო თანანოხოზილ სკიტიხეში სხელოზნიდე მინსქილ აჩაქილ შიქელოლ - მქა ხანგომვილოლ ლოკაქმეჩაქი ქს ფაგემეჩია მოზაფალო წიფნიდან "ქიქქილი, ხომლოქმეჯ ზქმექს ქანკილის ხოზილ ისქოჩია". ქაქბლოქაქიას სხელოვან ზიქედ მომახე - ისა მყანევა და იმაქეჯ, ისიქ თვითან აქ სქიქოდა: თავისყფალი კავკასია აღოხიძინილქა მხოლოდე კავკასიაში მექოვქელ ხაღხია სუქიო სხელოლ. **გვ. 10**

"იმ აქეხოლოქს ზოხილ, ხომლოქიქ შავლოდე გვხვლებიან თბილოლი ქაქეზში, შიან ფაქინალო "იალონილ" გეგომხეში, იჩანელი ქოლო-ქაში - მჩიამი და ლნიელი, ხომლოქმეჯ ვალოთი ზიქეშელ ხევი ქეყანა და შილოქ მჩილომადიღეღოქი სჩინაქოქა. "ხენ ლავინაზი სინალო და გვიკვილს, ხოგოქ ვიქ სქაქენ ამ სინალოქ სხეში", - ამზოხენ მჩიამი და ლნიელი. ქაქბლოქაქიას მთი მოქ ვანელილო ვხაქა - იჩანიდან საქშიაველოლდე, მასლომანოზიდან მჩილომადიღეღოქობაქაქ. **გვ. 18**

რას ნაიკითხავთ?

"ნანა ხაჩიოთი სოხაქში ში ლაბაქედაქო. ზოვილ ქალოქილი აქაქედაქო სანაჩიოლსა დაკვირეჩაქი ზევექილი ლინეო მქი, ხოჯა ის სოხაქში ქაჩილოთი თაქნილ ლსთი ჩაჩიქეხა და ენაქქედა ეხო, ხოჯა აქმევენიქს ზიქასაქი ქიდაქ ილიქ ამ ქალოქილ მვეიქი იქო. 30-წლიანი ვანოხოქილ ზემეჯ ნანა ხაჩიოთი მონოლოდე ქოქა სქვიანი და მინე, ქველოქაქად თბილო და აქმაქოქა. **გვ. 23**

"ქინობილო ლსქაქაში, გიქიონილ მერეიქიქსაქაქ ლოქქოჩი, საქშიაველოლ კაჩილოლოვთა მოქიქაქილ მქიბიღეჩი - ნოქაქ ემეხევაქი იქბიღეჩია - ის 80 წლილსა. ზთამეჭღავი იქო მქმონ ნოქაქთან ვიბიქი, საქაქი, იბილ ვაქნობიქიქა, ხომ ლიქსქა სხელოვანი აქაქთანს ყველოქაქ კიტილო ნიჭია. "იალონილ" იქქეჩიქიქ ნოქაქ ემეხევაქიან მის აქაქაქ ქაქიქეჩია სხელოთი ვამოხაქაქილო მადლოქიქეჩაქა. **გვ. 48**

საგამომცემლო ჯგუფი:
გიგლა გოგაჩია, ნინო ვახანია, ზაურ კალანდია, სალომე კახანაძე, დავით კოხანაძე, ნათო კორსანტია, ნუგზარ მგალოვლიშვილი, გურამ პატრიკაშვილი, ვენერა რურუა, ჰაიათა სოტომა, ფრანჩინსკო ტრეჩი, პაატა ქურდოვანიძე, გელა ჩქვანავა, მარიამ ნიკლაური, სოსო ჭუმბურიძე, ეპა ხოფერიანი.

შესავლისათვის, ანუ „ბიძია ღუმბას ქოხი“

იოსებ ჭუმბურიძე

ნოდარ ღუმბაძე – 95

ნოდარ ღუმბაძე და აფხაზეთი.

ეს ერთი დიდი თემია.

უპირველესად, სოხუმი გაგვახსენდება – „ჰელადოსითა“ და მისი პერსონაჟებით.

იანგული და ჯემალი, მიდა და კოკა, ჩვენს ყმანვილებს (მოზარდებს, ნინველებს, თინეიჯერებს) გამორჩევით რომ უყვართ და, ამიტომ(აც), ქართული თეატრის სცენიდან რომ არ ჩამოდიან.

* * *

მერე კი – გულრიფში.

რა სიმბოლურია, ამ სახელდებასაც რომ თავისი გული აქვს?!

გულ – რიფში.

უკრაინელი მოხუცი ქალისგან ნაყიდი ქოხი, რვაასი კვადრატული მეტრი მიწით.

იმ ქოხის დანგრევა და ოჩოფეხებზე შემდგარი ფინური სახლით ჩანაცვლება.

ფინურ სახლზე კი ქართული წარწერა, აფხაზური იერით: „ნოდარ ღუმბა“...

ეს, რა თქმა უნდა, ღუმბაძისეული ხუმრობა იყო, მაგრამ ისეთივე ტრაგიკული წინასწარმეტყველება აღმოჩნდა, როგორც გალაკტიონის გრძნეული ხილვა: „ზღვა რომელიც შორია“...

* * *

ანზორ ღუმბაძისგან აფხაზური „ნანა“ ისწავლა.

როცა მღეროდა, ცრემლად იღვრებოდა.

ეს ცრემლებიც, უეჭველად, წინათგრძნობას გამოხატავდა.

* * *

ოჩამჩირის სანატორიუმში ორმა გოგონამ მოინახულა – ქართველმა და აფხაზმა.

ლიმონი და ფორთოხალი მიართვეს.

ის ლიმონი და ფორთოხალი ამერიკულ და გერმანულ წამლებზე მეტად მომიხდაო, – დაწერა მოგვიანებით.

რა სიმბოლურად ჟღერს ახლა ეს სიტყვები?!

* * *

ნოდარ ღუმბაძის ცნობილი ესე „გული“ დაიწერა აფხაზეთის ომამდე 10 წლით ადრე. განა არ იცოდა, „რა დიდი ფერება და გაფრთხილება სჭირდება თურმე გულს“. მოგვიანებით მწერლის ქალიშვილი მანანა ღუმბაძე დაწერს: „გული“ – მამაჩემის ესე აფხაზეთზე, სოხუმის ცაზე, ზღვაზე, ყველაფერზე, რაც გულის ფიცარზე იწერება, ზედ უკვდავების ბეჭედი აჯდება და მერე შანთითაც არ ამოიშლება. ეს ის წარწერაა, რაც თან უნდა გაგყვეს უკეთეს სამყაროში...“


* * *

„როცა აღარ ვიქნები, თუ გაგიჭირდეთ, ყველაფერი გაყიდეთ, გულრიფშის სახლის გარდა“, – დაუბარებია შვილებისათვის.

არ გაუყიდათ, მაგრამ ვინ იცის, ახლა ვის ეკუთვნის სახლი, რომელიც შორია.

ანდა ის ვინ იცის, როდის დაუბრუნებს სწორედ ის სახლი, რომელსაც „ბიძია ღუმბას ქოხი“ დავარქვი, საქართველოს – აფხაზეთს, გულრიფშს კი – ნოდარ ღუმბა(ძე)ს...

აუცილებლად დაუბრუნებს!..



ნოდარ ღუმბაძე

ამგავი მებაღე თეპიოლას გაღვი მცხოვრებ ყვავილავა, რომლებიც დანარჩენი ყვავილავისგან განსხვავებით, გამორჩეული უპირატესობით სარგებლობენ და ამით ძალიანაც ამპარტავნობენ. მებით, ისინი თავიანთ წიკში ქნულად თუ შუაშვავან მას, ვინც მათსავით არაა ე. წ. „კეთილშობილური წარმომავლობის“. არაღა, სიგართლუ ისაა, რასაც ბალის ახალი ბინადარი უცვეთელა ეუზნავა ყვავილავს: „ჩამი წინაპრები ტყეში დავიბადნენ, ისევე, როგორც თქვენი“.

ბერმანიში მცხოვრები ახალგაზრდა მწარალი დავით ალთუნაშვილი ზღაპარში „უცვეთელა“ ყვავილავის ენით გველაპარაკება და გვასხანავს ერთ მარტივ ჭეშმარიტავს: რომ ჩვენ ყველანი ერთი მოღმისანი ვართ; ავტორი გვეუზნავა, რომ ეს სამყაროც ე. წ. „თეპიოლას ბალია“, სადაც თითოეულიწისთვის მოიქნენავა ადგილი და წიკვისი შვავაზნავთ ბარბნობით.

„უცვეთელა“ დავინტერესავს ნებისმიერი ასაკის მკითხველს და გაუფართოვავს თვალსაწიერს. გვჯერა, დავით ალთუნაშვილის საწით კიდევ ერთი ნიჭიერი ავტორი შვამავა ქართულ მწარლობას.

უცვეთელა

დავით ალთუნაშვილი

მებაღე თეპიოლამ, როგორც ყოველთვის, დილის 6 საათზე გაიღვიდა. საუზმედ ზეთისხილიანი ერბო-კვერციხი და სახლში მომზადებული ლიმონ-დარიჩინიანი ლიმონათი მიირთვა. სამუშაო იარაღები აიღო და ბალისკენ გაემართა.

მზე, ის-ის იყო, ამოდიოდა. ზღვიდან მონაბერი გრილი სიო ახლადგამლილ ყვავილებს ეჩურჩულებოდა:

- ახალი ამბავი იციტ? მალე ახალი მეზობელი გეყოლებათ! ულამაზესი, თეთრყვავილებიანი ბუჩქი, სახელად „უცვეთელა“, მინდვრის ყვავილების ბიძაშვილი.
- ყვავილებმა ყურადღება არ მიაქციეს ზღვის სიოს. იფიქრეს, ხუმრობსო. ხმაც კი არ გასცეს.
- ჩვენს ბაღში მხოლოდ ცნობილი მეყვავილეების მიერ გამოყვანილი ყვავილებია, - თქვა შროშანმა, როცა სიო ზღვას დაუბრუნდა, - უბრალო მინდვრის ყვავილები არ ეკადრება ჩვენს ლამაზ ბაღს!

- ამიტომ შესაფერისად უნდა დავხვდეთ, - თქვა დედოფლის ფრეილინამ, წითელ-ყვითელ კაბაში გამონწყობილმა ტიტამ, - დარწმუნებული ვარ, დიდგვაროვანი იქნება!

- სჯობს, ჩემს გვერდით დარგონ, ჩემი ცქერით რომ დატკბეს! - თავმომწონედ განაცხადა ნარგიზმა.

- ვფიქრობ, ჯობია დედოფლის სიახლოვეს იყოს, - გადახედა ყვავილებს ფუფუშა, თეთრ კაბაში გამონწყობილმა ჰორტენზიამ.

- აუცილებლად, ვფიქრობ, მუსიკაც უნდა ჟღერდეს! - განაცხადეს წყლის ლილიებმა.

- ახლავე მოვამზადებთ ვიოლინოს! - სიხარულით შესძახეს გეორგინებმა.

- ჩვენ კი მხიარულ სიმღერას „გოგონა ბაღში“ ვიმღერებთ! - თავმომწონედ განაცხადეს წყალიკრეფიებმა.

- მხიარულ ზანზალაკებს თქვენ აანკრიალებთ! - დაავალა ბაღბამ ენძილებს.

ყვავილებმა ისეთი ყრიაშული ატეხეს, ხეებზე ჩიტებიც კი დააფრთხეს.

- რა დაგემართათ?! ჩუმად იყავით! - მკაცრად გადმოხედა ყვავილებს ტიტამ, - დედოფალი ნუ შეანუხეთ, რა მინდვრის ყვავილებივით ქოთქოთებთ!

დედოფლის ხსენებაზე ყველა გაჩუმდა. თავყვითელებმა გადასწიეს დაშვებული ფარდა. გამოჩნდა დედოფალი - ულამაზესი წითელი ვარდი. მან მკაცრად გადახედა ფრეილინა ტიტებს და განკარგულება გასცა:

- ყველაფრის თადარიგი დაიჭირეთ, ღირსეულად უნდა დავხვდეთ ჩვენი ბალის ახალ ბინადარს! უნდა გაიგოს, როგორი კეთილშობილური წარმომობის ყვავილები ვართ!

- რა თქმა უნდა! - შესძახა მიხაკმა - ჩემი ჯიში ჯერ კიდევ მითიური ოლიმპოს ღმერთების დროს შეიქმნა!



მართალია, მიხაკი სიმართლეს ამბობდა, მის ნათქვამზე მაინც ყველას ჩაელიმა. თავი ჰქონდათ მობეზრებული მისი ისტორიებით.

ყვავილებმა დილის ნამით ისაუზმეს, ახლომდებარე წყლის აუზებთან დაიხარნენ და წყლის სარკეში დაიწყეს გაპრანჭვა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ახალ ბინადარს ყველა მორთულ-მოკაზმული უნდა დახვედროდა.

მებალე თეპიოლა ურიკიდან სხვადასხვა ყვავილის სასუქსა და მწერების საწინააღმდეგო ფხვნილებს ალაგებდა. ყვავილებისკენ ზურგით იდგა. ამიტომ ყვავილები ვერ ხედავდნენ უცვეთელას. ყველას პირზე ეკერა მისი სახელი.

– რადგანაც უცვეთელას ეძახიან, ალბათ, ტყავივით მაგარი ფოთლები აქვს, – ვარაუდი გამოთქვეს ფიკუსებმა.

– ან ჩემსავით მარადმწვანეა და ამიტომ ჰქვია უცვეთელა, – გაიბადრა ბზის ბუჩქი.

ბალის ყვავილებმა ბევრი იმსჯელეს და ბევრი ვარაუდიც გამოთქვეს. მებალე თეპიოლა კი ჩუმად ლილინებდა ლამაზ მელოდიას:

„ყოველ დილით მზესთან ერთად
იღვიძებენ ყვავილები,
თქვენ ყველანი აყვავდებით
და ყველანი გაიშლებით...“

ყვავილებს უყვარდათ კეთილი მებალე თეპიოლა. თუმცა ზღვისპირას მცხოვრები ხალხი ხშირად დასცინოდა კიდეც:

– ნეტავ, რად უნდა ამდენი ყვავილი თეპიოლას?! ადგეს და ვენახი გააშენოს!

რა იცოდნენ, რომ თეპიოლას გამზრდელმა ბებია გაანდო მცენარეების საიდუმლო (მათი დახმარებით ხომ ბევრი დაავადების განკურნებაა შესაძლებელი). ბებია ისიც კი დაუბარა, ისეთი ქალი მოიყვანე ცოლად, ყვავილები უყვარდეს და ქოთნებიანად აივნიდან არ გადაგიყაროსო.

ყვავილები ჟრიაშულს განაგრძობდნენ. უცებ თეპიოლა შემობრუნდა და ყვავილების ჟრიაშულიც შეწყდა. ხელში უშნოდ გაფარჩხული, წვრილტოტება ბუჩქი ეჭირა. ფოთლები ჯერ ბოლომდე არც ჰქონდა გაშლილი, მაგრამ ვერც ფოთლების სილამაზით დაიკვებინდა.

დედოფალმა თავის ტიტა-ფრეილინებთან ერთად გაბრაზება ვერ დამალა.

– სასწრაფოდ რალაც უნდა ვიღონოთ!
– წამოიძახა ჰორტენზიამ, – ჩვენს ბაღში უშნო არსებას არაფერი ესაქმება! – და ისევ მათმებლურად გადახედა ვარდს.

არავის სურდა, ეს უშნო არსება ვინმეს გვერდით დაერგოთ.

– დედიკო, რატომ არ შეიძლება, მანაც ჩვენთან ერთად იცხოვროს? – შეეკითხა პრინცესა კოკორა ვარდს.

გაბრაზებულმა დედოფალმა არაფერი უპასუხა თავის ნაბოლარას და მკაცრად გადახედა მევიოლინე გეორგინებს. დედოფლის რისხვით შეშინებული ზარებიანი ყვავილები ბალახებს ამოეფარნენ. სასიმღეროდ მომზადებული წყალიკრეფიებიც გაილურსნენ.



თეპიოლამ წყნარად შემოაბიჯა ბაღში. მერე იასამანსა და მორცხვ მიმოზას შორის ბარით ორმო ამოთხარა. ფრთხილად გაუსწორა უცვეთელას ფესვები. მიწა შემოაყარა. წყალი დაუსხა და მოეფერა.
 – აბა, შენ იცი, ჩემო უცვეთელა, როგორ გამახარებ შენი ლამაზი ყვავილობით!
 ყვავილები მებაღეზე გაბრაზდნენ, როგორ გვაკადრა და ეს საფრთხობელა როგორ შემოასახლა ჩვენს ბაღშიო.

უცვეთელამ თვალი გაახილა და მზერა ბაღს მოავლო. ესიამოვნა ამდენი ლამაზი ყვავილის დანახვა.
 – რა ლამაზები ხართ! – შესძახა აღტაცებით.
 – დიდი მადლობა, – მორცხვად მიუგო მიმოზამ და ფოთლები მოკეცა.
 – შენ საიდან ხარ, ჩემო პატარავ?! – შეეკითხა მოხუცი იასამანი.

სანამ უცვეთელა პასუხს გასცემდა, თავხედმა ყვავილებმა სიცილი ატეხეს:
 – ალბათ, სადმე მინდორში იზრდებოდა ან ვინმე გლეხის ეზოში ამოვიდა სარეველასავით!

უცვეთელამ გაიღიმა და მიუგო:
 – დიახ, ჩემი წინაპრებიც, როგორც თქვენი, ყველანი ტყეში დაიბადნენ. მერე ისინი მოიშინაურეს ადამიანებმა და სხვადასხვა ჯიშიც გამოიყვანეს!

ამაზე უარესად აღშფოთდნენ დედოფალიც და მისი ამაღაც.
 – მატყუარავ! შენ არც კი იცი, ყველანი, ვინც აქ ვცხოვრობთ, კეთილშობილი გვარისანი ვართ! როგორ გვიბედავ, გადამთიელ ყვავილებს რომ გვადარებ!

უცვეთელა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ძლიერ ახალგაზრდა იყო, ბევრი რამ იცოდა.
 – ყურადღებას ნუ მიაქცევ, – უთხრა მოხუცმა იასამანმა უცვეთელას, – ესენი დღედაღამ მხოლოდ თავის დიდგვაროვან წარმოშობაზე ლაპარაკობენ.

ყვავილებმა, დედოფლისთვის რომ ესიამოვნებინათ, ზურგი შეაქციეს უცვეთელას. მას მხოლოდ იასამანი და მორცხვი მიმოზა ესაუბრებოდნენ, ისიც ხანდახან. და მარტო მაშინ, როცა მოხუც იასამანს არ ეძინა, ან როცა მორცხვ მიმოზას ჯერ აკეცილიც არ ჰქონდა ფოთლები.

თავიდან ყველაფერი აოცებდა უცვეთელას. მერე ამას ნელ-ნელა შეეჩვია. ძალიან მოსწონდა იასამანთან და მიმოზასთან მეგობრობა. მათ ვერც დედოფალი და ვერც სხვა ყვავილები ვერაფერს უბედავდნენ. ისინი ხეები იყვნენ. უფრო მცოდნენი და ღონიერნი. გავიდა რამდენიმე კვირა. უცვეთელა თეპიოლას მოვლითა და მზრუნველობით გაიზარდა, ფოთლები და ღეროები დაუგრძელდა, კვირტები გამოისხა და რამდენიმე დღეში ულამაზესი თეთრი, სურნელოვანი ყვავილებით გადაიპნებდა.

ამაყი ნარგიზი იყო პირველი, ვინც შეამჩნია მისი სილამაზე. აღიარა, მშვენიერიო.

– თუმცა ჩემზე ლამაზი მაინც არ არის! – დაასკვნა ბოლოს.
 უცვეთელა ყველას მოეწონა, მაგრამ ვარდის შიშით ვერავინ ბედავდა მასთან გამოლაპარაკებას.

ერთ დილით თეპიოლამ უცვეთელას თეთრი ყვავილების შეგროვება დაიწყო.

– ნეტავ, რად უნდა?! – ფიქრობდნენ ყვავილები.
 თეპიოლა კი კრეფდა ყვავილებს და უცვეთელას ებაასებოდა.

– მართალია, ჩემო დედოფალა, უცვეთელა კარგი სახელია, მაგრამ მე შენ ჟასმინს დაგარქმევ. ბებიას დღიურში შენი ყვავილების ნაყენის რეცეპტი მაქვს. შენი ყვავილებით არაჩვეულებრივი, სურნელოვანი ჩაი მზადდება. განა მარტო ჩაი? ზეთსაც დავამზადებ, მისგან კი – სურნელოვან სითხეს, რომელიც მომავალში მთელ დედამიწას შემოვივლის. ლამაზი ქალბატონები იპკურებენ მას და ყველას გააბედნიერებ!

სწორედ თეპიოლამ დაამზადა ჟასმინის არომატული ნაყენი, რომელიც ევროპაში გავრცელდა, შემდგომში მისგან დაამზადეს სურნელოვანი სითხე და უწოდეს „სუნამო“.

თავმომწონე ყვავილებს კი სხვა გზა არ ჰქონდათ – აღიარეს უცვეთელას სილამაზე. მით უმეტეს, რომ მთელ ბაღში საოცარი სურნელი ტრიალებდა.

თანაც, რა დასამალია და... უცვეთელა, მართლაც რომ, მშვენიერი იყო.



საბჭოთა ატომურ პროექტზე მუშაობა დაიწყო აფხაზეთში

პირველი ბირთვული იარაღი – აშშ-ში

ჯერ კიდევ 1939 წელს, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, ალბერტ აინშტაინმა წერილი გაუგზავნა აშშ-ს პრეზიდენტს – ფრანკლინ რუზველტს.

წერილი ეხებოდა აინშტაინის ცნობილი ფორმულის $E=MC^2$ -ის გამოყენებასა და მეცნიერის შიშს, რომ ნაცისტები მისი მეშვეობით ატომურ ბომბს შექმნიდნენ.

გენოსის შიში უსაფუძვლო არ აღმოჩნდა, მაგრამ ბომბი შექმნეს არა გერმანელმა, არამედ, სწორედ ამერიკელმა მეცნიერებმა.

1945 წლის 23 ივლისს, ცნობილი პოტსდამის კონფერენციის მიმდინარეობისას აშშ-ს უკვე ახალმა პრეზიდენტმა – ჰარი ტრუმენმა სტალინს გადაულაპარაკა (ვითომ, სასხვათაშორისოდ), აშშ-მა უკვე ატომური ბომბი შექმნაო.

ტრუმენი იმედოვნებდა, რომ იაპონიას მანამდე გაანადგურებდა, ვიდრე მას სსრკ-ის გამოუცხადებდა. სწორედ ტრუმენის ბრძანებით, იმავე წლის აგვისტოში ატომური ბომბები ჩამოაგდეს ჰიროსიმასა და ნაგასაკუზე.*

დიდი აინშტაინი კი სიცოცხლის ბოლომდე თავს დამნაშავედ გრძნობდა – მსოფლიომ ხომ მისი ფორმულის ძალა სასტიკი ფორმით იხილა – შეიქმნა ატომური ბომბი.



მანფრედ ფონ არლანე
ბალაღაპულია 1933 წელს, ბერლინში

რუსული იმპერიის რეპანში

არაერთი უცხოური მედია-საშუალება მაშინ წერდა, რომ „ამერიკელები არიან მშვიდად, რადგან საბჭოთა კავშირს არა აქვს პოტენციალი, დამოუკიდებლად შექმნას ბირთვული იარაღი“.

აშშ-ს შემდეგ საკუთარი ატომური ბომბის შექმნის მყარი ბერკეტი ყველაზე მეტად მაინც დამარცხებულ გერმანიას გააჩნდა. ჯერ კიდევ XX ს.-ის 30-იანი წლებიდან ამ კუთხით ნაცისტური სახელმწიფოს არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში აქტიურად მიმდინარეობდა ექსპერიმენტული ცდები. ათასობით მკვლევარი მუშაობდა უახლესი სამხედრო ტექნოლოგიების პროექტზე, ბირთვული რეაქციების გამოყენებით შეექმნა გამანადგურებელი იარაღი.

მაგრამ ატომური ბალანსის მიღწევა არა გერმანიამ, არამედ გამარჯვებულმა რუსეთის იმპერიამ შეძლო. გადაწყდა კიდევ უმაღლეს საბჭოთა სახელისუფლო ეშელონებში: უმოკლეს დროში შეექმნათ საკუთარი ბირთვული იარაღი – ატომური ბომბი (თუმცა სტალინი და ბერია, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, ახორციელებდნენ ამ მიმართულებით სტრატეგიულ საქმიანობას).



გუსტავ ჰარტი
ბალაღაპულია აფხაზეთში

* - აბერიკაულის მიერ იაპონიაში ჩამოგდებულმა ატომურმა ბომბებმა მილიონამდე ალაჰიანის სიცოცხლე შეინარა.



სინოპის გასაიდუმლოებულ ლაბორატორია „A“

გერმანელი ფიზიკოსები სოხუმში

1945 წელს, გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, სხვადასხვა სახელმწიფომ და, მათ შორის, საბჭოთა კავშირმაც დამარცხებული ქვეყნიდან წამოიყვანა ასობით, ფაქტობრივად, დატყვევებული ფიზიკოსი. ეს იყო ბირთვულ პრობლემატიკაზე მომუშავე გერმანელ მეცნიერთა ჯგუფი – 300-მდე ადამიანი.

„საბჭოთა კავშირი ახლა უფრო გააძლიერებს შეიარაღებას. რეალურად რუსული კომუნიზმი არის ახალი საფრთხე მსოფლიოსთვის“, – განაცხადა ედვარდ ტალერმა, ცნობილმა ამერიკელმა ფიზიკოსმა. ოჯახის წევრებთან ერთად საბჭოეთში გადმოაფრინეს მსოფლიოში სახელგანთქმული გერმანელი ფიზიკოსები.

ერთ დროს ფიურერის საყვარელი ფიზიკოსი, შემდგომში ერთ-ერთი ცნობილი საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი – ბარონი მანფრედ ფონ არდენე წერდა: „მუშაობისთვის შემოგვთავაზეს სამი ლოკაცია: მოსკოვი, ყირიმი და საქართველო. ჩავთვალეთ, რომ თბილი და ლამაზი ბუნებაც ხელს შეგვინწყობდა შემოქმედებით პროცესში. ამდენად, არჩევანი საქართველოზე შევაჩერეთ. თან ვითხოვეთ, შეერჩიათ ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე. ჩვენი თხოვნა გაითვალისწინეს.“

სწორედ სოხუმში სახელდახლოდ შექმნილი ორი გასაიდუმლოებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზაზე დაარსდა აფხაზეთის მკვიდრთათვის ასე ცნობილი სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი.

პროფესორ მანფრედ ფონ არდენეს (1907-1977 წ.წ.) ლაბორატორია მოაწყვეს სინოპის სანატორიუმში და მას უწოდეს „A“ ცენტრი, ხოლო მეორე ლაბორატორია განთავსდა აგუძერის სანატორიუმში (ორივე სოხუმის შემოგარენშია) და მას დაერქვა „F“ ცენტრი. მის ხელმძღვანელად დაინიშნა ნობელის პრემიის ლაურეატი (1925 წლიდან), პროფესორი გუსტავ ჰერც (1887-1975 წ.წ.) (ლაბორატორიებს პირობითი სახელწოდებები დაერქვა კოორდინატორ მეცნიერთა გვარების პირველი ასოების მიხედვით).



აგუძერის გასაიდუმლოებულ ლაბორატორია „F“

არდენესთან და ჰერცთან ერთად, ასევე, მუშაობდნენ სხვა სახელოვანი გერმანელი მეცნიერები: ნიკოლაუს რილი, მაქს ფოლმერი, მაქს შტეინბეკი, გერნოტ ციპე; აგრეთვე, ვერნერ ცულიუსი, გიუნტერ ვირტი, კარლ ციმერი, რობერტ დოპელი, პეტერ ტისენი და სხვ.

გერმანიიდან სოხუმში ემელონებით ჩაიტანეს სამი ციკლოტრონი (ატომგულის საკვლევი დანადგარი), გიგანტური მაგნიტები, ელექტრონული მიკროსკოპები, უზუსტესი ხელსაწყო-დანადგარები, ამასთან, სხვადასხვა რეაქტორი და ფასეული დოკუმენტაცია.

საბჭოთა ატომური ბირთვული ობიექტების რუკაზე სინოპი და აგუძერა საიდუმლოდ მოინიშნა და ყველა სამეცნიერო გამოკვლევა ტარდებოდა გრიფით – „სრულიად საიდუმლოდ“. ლაბორატორიის ტერიტორია შემოღობილი იყო ეკლიანი მავთულებით. პერიმეტრს იცავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის სამსახური. მეცნიერებსა და მათი ოჯახის წევრებს ტერიტორიიდან გასვლის უფლება ეკრძალებოდათ. აფხაზეთი გერმანელმა მეცნიერებმა „ოქროს გალიად“ მონათლეს.

„გერმანელებს ძალიან მოეწონათ აფხაზეთი და ინტენსიური საქმიანობა გააჩაღეს. საერთო ხელმძღვანელობისთვის ჩვენ მათ მივაპყრეთ საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მეცნიერი – ილია ვეკუა“, – იგონებს პარტიული ხელმძღვანელი ალექსანდრე მირცხულავა.

ატომური ბომბის შექმნის პროექტზე, სოხუმის გარდა, მუშაობდნენ რუსეთის კიდევ 4 ქალაქში, თუმცა ბირთვული დამუშავების ძირითად ობიექტებად მაინც „სინოპი“ და „აგუძერა“ მიიჩნეოდა.

გადაწყდა, ბირთვული მრეწველობის შესაქმნელად, პარალელურად სამხრეთ ურალში (როგორც ყველაზე განაპირა რეგიონში), აეგოთ ორი ქარხანა, რომელიც დაამზადებდა ატომურ ბომბს.

გერმანელ ფიზიკოსებს, მათთან ერთად მომუშავე საბჭოთა კოლეგებსაც, ატომურ პროექტზე სამუშაოდ ზუსტი დრო განესაზღვრათ: ექსპერიმენტული კვლევები მათ 5 წელიწადში უნდა დაესრულებინათ.

მართლაც, „სინოპისა“ და „აგუძერას“ ლაბორატორიებში ვადაზე ადრე და წარმატებით დასრულდა ატომურ პროექტებზე მუშაობა. ურალის ერთ-ერთ ატომურ ქარხანაში პირველი პროდუქციაც – ნახევარტონიანი ბომბი უკვე 1949 წელს მზად იყო. იმავე წლის 29 აგვისტოს ყაზახეთში, სემიპალატსკის პოლიგონზე ააფეთქეს პირველი საბჭოთა ბირთვული ბომბი.*

სოხუმში მომუშავე გერმანელი მეცნიერები – არდენი (ორგზის), ჰერცი, შტეინბეკი და კიდევ 10-მდე გერმანელი ფიზიკოსი დააჯილდოეს უმაღლესი სახელმწიფო (სტალინური) პრემიებით.



პირველი საბჭოთა ატომური ბომბი, რომლის პროექტი შეიქმნა აფხაზეთში

სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი

1950 წელს, სწორედ „A“ და „I“ ცენტრების გაერთიანებით, შეიქმნა დღევანდელი დასახელების ინსტიტუტი – სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი.

ამ დროიდან დაიწყო გერმანელი ფიზიკოსების ჩამოშორება გასაიდუმლოებული საქმიანობიდან; საბოლოოდ, ისინი 1958 წლამდე თანდათან დააბრუნეს სამშობლოში. მათგან 10-მდე უცხოელი მეცნიერი კი სამუდამოდ დარჩა აფხაზეთში.

მასშტაბული ბირთვული ექსპერიმენტების დასრულების შემდეგ ინსტიტუტმა დაიწყო კვლევა-ძიება მეცნიერების სხვადასხვა დარგის (ქიმია, მედიცინა, მეტალურგია ...) მიმართულებით. საბჭოთა კავშირში პირველად სწორედ აქ შეიქმნა წნევისა და პულსის გამზომი ციფრული პორტატული აპარატი; აქ იქმნებოდა ადამიანის სახსრების სხვადასხვა იმპლანტი; ტარდებოდა პრაქტიკული ცდები სითბური ენერგიის ელექტრონულ ენერგიად გარდასაქმნელად და ა.შ.

აფხაზეთში განვითარებული ცნობილი მოვლენების შემდეგ 1993 წლიდან სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი ფუნქციონირებას განაგრძობს თბილისში (ამჟამად დირექტორია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი – გურამ ბოკუჩავა).

* – საბჭოთა ბომბი იყო ამერიკულის ილანტური.

როცა ქალბატონ მქან ხანგომვილს ჟინ ვანტომრა, გავიფიქრა: ანა ფართოდ გალეზული კარები იხვითად მინახავს- მეთქი.

საქართველოს ჟირიგებისა და სამოქალაქო თანახმროვის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მრჩეველი (ეთნიკურ უმცირესობათა საკითხებში), ფილოლოგიურ მაცნერებათა დოქტორი, საზოგადოებისათვის ცნობილი პანკინელი ქალბატონი - მქან ხანგომვილი მკითხველას ვალე წარუდგან თავის სქელტანინა ნაგრომს - „ქისტავი, რომლეგვაც ჟიქმანს პანკინის ხომვის ისტორია“.

პანკინის ხომვა ქართველთა და ვანინათა* თანაცხროვების მრავალწლიანი ისტორიის მომხნრაა. უცხოთა ჩარევის მიუხედავად, ეთნიკურ ნიდაგვა მტროგამ და ჟულღა აქ ფანი ვერ მოიკიდა. დიდ ილიასაც ეიგედეგოდა „საქართველოსა და მთელი კავკასიის თავისუფლება!“

ფრაგმენტი მოვაველი ნიგინდან ჩიჩენ გენერალვა, ჩიჩენთის ორივე ომის მონანილვა - ისა მუნავევა, სამოგლოს ტკივილს საკუთარ განაჭირად რომ მიიჩნევდა. „როცა რუსეთის იგვერინამ მოქლა 300.000 ჩამი თანამეგამული, 300.000- ჯერ მოგქლა მე!“ - ეს მან სიკვდილამდე ცოტა ხნით აღრა თქვა.

ცნობილი ჩიჩენი საველე მეთაური, 49 წლის ისა მუნავევი დანილვა 2014 წელს, რუსეთ-უკრაინის პირველ ომში, დონბასის მინადგომავთან.

მქან ხანგომვილის დოქუმენტური ესე ამ სახელოვან მემგარება და იგაზაც, რისიც თვითონ ანა სჯეროდა: რომ თავისუფალი კავკასია აღორძინება მხოლოდ კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა საერთო სახლში.

მან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სურდა

მქან ხანგომვილი

XX ს.-ის დასასრული და XXI ს.-ის გარიჟრაჟი, როგორც ისტორიის დანარჩენი დრო, მეტად ქარიშხლიანი აღმოჩნდა ვანინებისათვის. საბჭოთა იმპერიამ ვერ მოინელა თავისუფლებისმოყვარე ხალხის ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ და დაუმორჩილებელი ჩენები უკვე მერამდენედ გახდნენ გენოციდის მსხვერპლნი.

კრემლი კავკასიაში გენეტიკურად ყველაზე მონათესავე და ჰეგემონი ერების ერთმანეთზე გადაკიდების პოლიტიკას წარმატებით ანარმოებდა, თუმცა უფლის მიერ ხელდებული ურთიერთობების, ისტორიული ძმობისა და მეგობრობის რღვევა ვერ შეძლო; მიუხედავად ურთულესი გამოცდებისა და გაკვეთილებისა, კავკასიელების სალად მოაზროვნე ნანილს კარგად ესმოდა, რომ კავკასია ერთმანეთის გარეშე ვერ იქნებოდა ძლიერი და ერთიანი ცივილიზებული სამყარო.

სწორედ ამ რეალობისა და გენეტიკური ნათესაობის წყალობით საქართველო და ჩენეთი XX ს.-ის დასასრულსა და XXI ს.-ის დასაწყისში კიდევ ერთხელ გახდა ერთმანეთისათვის სულისა და სხეულის ნავსაყუდელი. ჟეის მანსურის, პატარა კახისა და ჟამილის მიერ თავისუფლებისათვის აღმართული ხმალი და დროშა ძირს არ დახარეს ბაისანგურ ბენოელმა და ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, თორღვა ძაგანმა და თაიმი ბიბოლათმა, მეოცე საუკუნის მინურულს კი მერაბმა და ჯოხარმა, ხამზათმა და ზვიადმა კიდევ ერთხელ შემოსძახეს კავკასიელებს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლის შესაშური მაგალითებიც უჩვენეს ჟთამომავლებს.

ერთ მუშტად შეკრული კავკასიელების წინააღმდეგ ამოქმედდა მძლავრი მანქანა ჩვეული მეთოდით - „გათიშე და იბატონე“; თუმცა სტუმარ-მასპინძლობის კავკასიურ ტრადიციას არ უღალატა იჩქერიელმა გენერალ-სიმუსმა ჯოხარ დუდაევმა და მიუხედავად მტრის უდიდესი მცდელობისა, არც საქართველომ ჩაუკეტა ქვეყნის კარი გაჭირვებულ და სამშობლოდან იძულებით დევნილ ათასობით ჩენებს.

ასე გახდა ქ. თბილისის ქაქუცა ჩოლოყაშვილის 57 ნომერში მდებარე ოროთახიანი ბინა არაერთი ვანინის დროებითი ნავსაყუდელი: ჩენეთის პირველი და მეორე პრეზიდენტების (ჯოხარ დუდაევისა და ასლან მასხადოვის) ვაჟების, ვახა იბრაგიმოვის (რომელიც ტრაგიკული აღსასრულისას თან ახლდა ჯოხარ დუდაევს), ჩენეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა იჩქერიის პარლამენტის პირველი თავმჯდომარის ახიად იდიგოვის, იჩქერიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ილიას მუსაევის, იჩქერიის მთავრობის ვიცე-პრემიერის, სოციალური დაცვის მინისტრის, სპეციალური სამხედრო ქვედანაყოფ „მანსურ-ის“ მეთაურის, 1999-2003 წლებში ქ. გროზნოსა და ჩენეთის მთებში წარმოებული ბრძოლების მონანილის, ცნობილი ჩენი ფილოსოფოსის, პოეტის, მრავალი პრემიისა და ჯილდოს ლაურეატის აფთი ბისულთანოვის.



ისა მუნავევი

* - ვანინა - ჩიჩენებისა და იგუშების საერთო სახელწოდება და ნიხნავს „საერთო სახლს“.

ასევე, ცნობილი სავლე მეთაურებისა და გენერლების; თუმცა მათ შორის ერთი – ისა მუნავეი, სრულად გამორჩეული და ქარიზმატული პიროვნებაა.

ის გახლდათ ჩეჩენი გენერალი, ჩეჩენეთის რესპუბლიკა იჩქერიის შეიარაღებული ძალების ბრიგადის გენერალი, შინაგან საქმეთა მინისტრი, გროზნოს სამხედრო კომენდანტი. ჩეჩენეთის ომების დროს ხელმძღვანელობდა ოპერაციებს რუსული ჯარების წინააღმდეგ. ჩეჩენეთის მეორე ომის დაწყების შემდეგ, მუნავეი ხელმძღვანელობდა გროზნოს თავდაცვისთვის მზადებას, პირადად მონაწილეობდა რუსეთის ფედერალური ჯარების წინააღმდეგ ჩასაფრებებისა და დივერსიების ორგანიზებაში.

ბოლო წლებში კი ცხოვრობდა დანიაში, სადაც შექმნა „თავისუფალი კავკასიის“ სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობა. დევნილობაში იყო „იჩქერიის მთავრობის გენერალური პროკურორი“, და ბოლოს, „ჯოხარ ღუდაევის სახელობის საერთაშორისო სამშვიდობო ბატალიონის“ მეთაური უკრაინაში, სადაც აღესრულა კიდეც 2014 წელს. და რაც ყველაზე მთავარია, ის იყო ჩეჩენეთის ყველა ლეგიტიმური პრეზიდენტისა თუ სახელმწიფო მეთაურის ნდობით აღჭურვილი პირი.



ჯოხარ ღუდაევი

2001 წელს მუნავეი დაინიშნა „სამხრეთ-დასავლეთის თავდაცვის სექტორის“ მეთაურად. ერთ-ერთი შეიარაღებული ბრძოლის დროს იგი მძიმედ დაიჭრა და ხელში ჩაუვარდა რუს სამხედროებს. რუსმა ბარბაროსმა ჯარისკაცებმა მას, რომ იტყვიან, ძვალი და რბილი გაუერთიანეს, ცემით სული ამოხადეს, ზედ რამდენიმე ტყვიაც დაახალეს და დარწმუნებულებმა, რომ ის სიცოცხლეს გამოასალმეს, იქვე მდგარი უფუნქციო „კამაზის“ ქვეშ შეაგდეს.

თუმცა ადამიანის ბედისწერა ზეცაში წყდება და ისა მუნავეიც ქუდბედიანი აღმოჩნდა: ადამიანის გონებისთვის წარმოუდგენელი ვითარებიდან ცოცხალი გადარჩა. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი გაიყვანეს ჩეჩენეთიდან და დანიაში უმკურნალეს, სიცოცხლე შეუნარჩუნეს, გადარჩენილი ოჯახის წევრებიც ჩაიყვანეს დანიაში (ბრძოლის ველზე აღესრულა მისი უფროსი ვაჟი, ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა ნაბოლარა, 5 წლის ქალიშვილი) და პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დიდი მოვლენა გახდა საქართველოს პარლამენტის მიერ ჩერქეზების გენოციდის აღიარება; თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები იჩქერიელების ჩამოყვანა, რათა მათ მონაწილეობა მიეღოთ საერთაშორისო ღონის კონფერენციებსა და ღონისძიებებში.

* * *

სწორედ ამ პერიოდში თანამოაზრეებთან ერთად დანიიდან საქართველოში მოიწვიეს ჩეჩენი გენერალი ისა მუნავეი, რომლისთვისაც დაიჯავშნა ფემენებელური სასტუმროს ნომერი. მან თანამემამულეებთან ცხოვრება არჩია და ასე გახდა ის ჩვენი ოჯახის სასურველი სტუმარი და ჩოლოყაშვილის ქუჩის დროებითი ბინადარი.

როცა ისამ ჩვენი სახლის ზღურბლზე ფეხი შემოდგა, გააოცა ბინის სივინროვემ, სტუმართა სიმრავლემ და ასეთი რამ თქვა: „ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ჩავდივარ, ვკითხულობ, იმ ქვეყანაში ჩეჩენი თუ ცხოვრობს-მეთქი. დადებითი პასუხის შემთხვევაში სასტუმროზე უარს ვამბობ“.

ისა მუნავეის საქართველოში ჩამოსვლის მიზეზი დიადი და საამაყო იყო, რასაც მუდმივად თვითონაც ხაზს უსვამდა. ეს მამის ანდერძი იყო, უაღრესად პატივსაცემი და ღირსეული მამისა, რომელიც შვილებსა და ახლობლებს არწმუნებდა, რომ დადგებოდა დრო, როცა საქართველოსა და ჩეჩენეთისთვის მზე ერთად ამოვიდოდა...

მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრის დროს, რომელიც საქართველოს პარლამენტში, კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის კომიტეტის ხელმძღვანელის ნუგზარ ნიკლაურის კაბინეტში გაიმართა, ისამ გულწრფელად ისაუბრა საქართველოში მისი ყოფნის მიზეზებსა და მიზნებზე.

ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე თქვა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაბრუნებაში საკუთარი ნვლილის შეტანა სურდა; აქვე ისიც დაამატა: ამ



ისა მუნავეი

საქმის გადადება არ შეიძლება, რომ ამ დიდ და საპასუხისმგებლო საქმეს დღედაღამ ფიქრი და ზრუნვა სჭირდება, დაუშვებელია მოდუნება, დაუშვებელია ამ ფაქტის იგნორირება და განსაკუთრებულად დაუშვებელია სხვის იმედზე ყოფნა.

თავად ვესწრებოდი ამ შეხვედრას, თითოეული მისი სიტყვა დღესაც ჩამესმის და თითოეულ მის ჟესტსა და მოძრაობას ვხედავ.

დიდი ემოციები იყო იმ დღეს საქართველოს პარლამენტში; ზოგიერთს არც კი სჯეროდა, რომ სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მებრძოლი და სტრატეგი მის გვერდით იჯდა, მასთან ერთად ფოტოებს იღებდა.

მეორე შეხვედრა (დიასპორის საკითხებზე) საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან ბატონ იულონ გაგოშიძესთან შედგა. ეს შეხვედრა ყველასათვის დაუფინყარი გახდა. ბატონი იულონი ამბობდა, რომ თავი სიზმარში ეგონა. შუა საუბარში ბავშვივით წამოხტა სკამიდან, გავიდა მეორე ოთახში და კონიაკი შემოიტანა, ჭიქებიც მოაყოლა; **ამასთან აღნიშნა, რომ ეს კონიაკი დიდი შოთას იუბილეზე იყო ჩამოსხმული, თითქმის ნახევარი საუკუნის წინ და დღემდე იგი ვერავისთვის გაიშვია.** კონიაკის დასხმაც თავად უნდოდა, თუმცა ისამ ხელიდან გამოსტაცა ბოთლი და ასე დაიცვა კავკასიური უფროს-უმცროსობის ეტიკეტი.

დაილია ერთადერთი სადღეგრძელო: საქართველოსა და ჩეჩნეთის გამარჯვების, კავკასიის თავისუფლებისა და ერთიანობის.

მახსოვს ისას წუხილითა და იმედით სავსე სახე და სიტყვები: „თუ ერთი წუთითაც უკან დავიხიო ამ ბრძოლაში, მაშინ არამი ყოფილიყოს ჩემი ცხოვრების თითოეული წუთი“. შემდეგ მე შემომხედა, თითქოს ბოდიშს იხდისო და გააგრძელა: „თითქმის ოცი წელია, არანაირ ალკოჰოლურ სასმელს არ გავკარებოვარ,



ისა მუხაჯი პანაისი ალა ლუღაპასთან, საზაათ გალაპის ღელასთან და მისი ოჯახის წევრებთან ერთად

თუმცა ამ უხუცესის (ბატონ იულონს გადახედა) მორთმეულ შხამზეც კი უარს ვერ ვიტყვი“. და წამიერად გადაჰკრა.

ბატონ იულონს თვალზე ცრემლი მოადგა. იმ წუთებში მეგონა, რომ ოთახის ყრუ კედლების მიღმაც ისმოდა თითოეული იქ მჯდომის გულის ფეთქვა. დიდი დღე იყო, კავკასიელების ძმობისა და სიყვარულის დღე, გაუთქმელი მიზნებით სავსე.

იყო სხვა შეხვედრებიც. ერთი დღით ისა ესტუმრა პანკისსაც, ქისტი არწივების საუფლოს, რომელიც ყოველთვის დიდად ეიმედებოდა. იმ პერიოდში იქ მისი თანამებრძოლის, უკვე მარადისობაში გადასული ხამზათ გელაევის დედა და უფროსი ძმა ცხოვრობდნენ ოჯახებით.

ისა დიდი ემოციებით დაბრუნდა ხეობიდან, სულ ხამზათის გმირ დედაზე საუბრობდა (და საერთოდაც,

გრძნობებმომძღვრებულმა ჩეჩენი დედის ფენომენზეც ბევრი ისაუბრა); მან ოთხი შვილი სამშობლოს თავისუფლებას შესწირა და მხრებშიც არ მოხრილა, სიკვდილამდე ამაყი იყო.

ამ სამყაროში ყველაზე მეტად ისას დედა ენატრებოდა, ყველაზე მეტადაც იგი უყვარდა და ამბობდა, მისი სიყვარული ვერავინ შემიცვალაო. ის ადარდებდა მხოლოდ, ვიცი, რომ ალიონიდან დაღამებამდე ყოველ დღე მელოდება დედაო. და მერე დასძენდა, მარტო ამ ნოსტალგიის გამო ვიძიებ შურს მტერზე, არ ვაპატიებ დედის თვალებიდან გადმოღვრილ არც ერთ კურცხალსო...

საერთოდაც, დედის კულტი და ფენომენი გამორჩეულია ჩეჩნებისათვის, იმ ჩეჩენი დედისა, რომელიც უსიტყვოდ აგზავნის შვილს სამშობლოს დასაცავად, თვითონ კი დაუსრულებელ ლოდინსა და მონატრებაში ცხოვრობს.

საღამოობით ყველანი ჩვენი დიდი მაგიდის ირგვლივ ვიკრიბებოდით, მთელი დღის ემოციებს ვუზიარებდით ერთმანეთს, ვივსებოდით ერთმანეთის სიყვარულით. ამ მაგიდას ის ადამიანებიც სტუმრობდნენ, რომლებმაც ისას სიცოცხლე გადაარჩინეს: დანიელი უფლებადამცველი ედუარდი, რომლის უშუალო ჩართულობით მოხდა მუნაევის დანიაში გადაყვანა, მკურნალობა და მისთვის პოლიტიკური თავშესაფრის უზრუნველყოფა, დანიაში მოღვაწე ქართველი ქალბატონი რუსუდან გოგბერიძე, რომელიც საკუთარ დასავით უყვარდა და ეიმედებოდა ისას (როგორც სამშობლოსა და კავკასიაზე უზომოდ შეყვარებული ბევრი სხვა იჩქერიელი თუ იბერიელი).

როცა სუფრას ვემსახურებოდი, ათასგზის მიწვედა სამზარეულოდან სასადილო ოთახში შემოსვლა. ჩემს ყოველ შემოსვლაზე, ჩეჩნური ტრადიციის თანახმად, ისა მთელი ტანით ფეხზე დგებოდა, რაც ძალიან მეჩოთირებოდა: ჯერ ერთი, ისა მამაკაცი იყო და მისადმი უპირატესი პატივისცემის გამოხატვა ჩვენი პატრიარქალური მენტალობიდან მომდინარეობდა; მეორეც – ისა ჩემზე 10-15 წლით უფროსი იყო და თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი, ვემუდარებოდი, რომ სკამიდან წამოწევაც საკმარისი იყო, თუმცა ისამ საპასუხოდ ისევ ჩემსკენ გამოიხედა და ხმაში სიმკაცრეც შეერია, მაშინ ჩეჩნებიც აღარ ვიქნებითო. თან მეხუმრებოდა, ისედაც მეტრ-ნახევარი ვარ და ფეხზეც რომ არ წამოვდგე, საერთოდ ვერც შემამჩნევნო.

მუდმივად ჩეჩნური ღირსების კოდექსის – „ნოხჩალა“ დამცველი და ფარად მდგომი იყო. ზოგჯერ გაბრაზებული მჯიღს ისე დაირტყამდა მკერდზე, რომ კაცურად გამოხატული მისი ემოცია ქუჩის გადაღმა მხარესაც სწვდებოდა.

დიდი იმედებით სავსე ბრუნდებოდა ისა მუნავეი ევროპაში. როცა აეროპორტში ვაცილებდით, ასეთი რამ გვითხრა: „მე არ დავბადებულვარ იმისათვის, რომ ევროპაში, ფუფუნებაში ვიცხოვრო, მით უმეტეს, როცა ჩემს სამშობლოსა და თანამემამულეებს ასე სჭირდებათ ჩემი ახლოს ყოფნა, თანადგომა. ძალიან მინდა, ჩემი წვლილი შევიტანო კავკასიის გათავისუფლების, უშუალოდ საქართველოს გამთლიანების საქმეში; ამით ნაწილობრივ მაინც გამოვისყიდი ჩვენი – ჩეჩნების მიერ აფხაზეთში ჩადენილ დანაშაულს... იცით ჩემი ბრძოლის უნარის, ტაქტიკისა და გამოცდილების შესახებაც, იმასაც ვგრძნობ, რომ დიდი დრო არ მაქვს. ამიტომაც უნდა გამოიყენოთ ჩემი შესაძლებლობები. როგორც კი რუსების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშალება მომეცემა, პირველივე შანსს ხელიდან არ გავუშვებ“.

ეს თითქოს გაფრთხილება იყო და მინიშნებაც. მეც ვიგრძენი, რომ მას დიდი ხნის სიცოცხლე მართლა არ ეწერა.

ისა ევროპიდან თითქმის ყოველი ორი კვირის შუალედით მირეკავდა, კითხულობდა, რა ხდებოდა საქართველოში და რას აპირებდნენ სამომავლოდ. ბოლოს უიმედოდ ჩაიქნია ხელი და დიდი სინანულით თქვა, ძალიან ღრმა ძილით ჩასძინებიათ ქართველებსო.

შემდეგ კი, 2014 წელს რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და თავისუფლებისმოყვარე ხალხის განადგურება და მორიგი ექსპანსიის განხორციელება დაიწყო. ისამ მაშინვე გადაწყვიტა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმა; ჩაება კიდეც და ბევრთაგან გამორჩეული გმირობითა და სიმამაცით გააოცა ყველანი. მუხანათმა იმპერიამ მორიგი დაუნდობლობით კიდეც ერთი დიდი სიცოცხლე დაადუმა სამარადისოდ.

შენყდა ჩვენი დროის ერთ-ერთი უძლიერესი და დაუმორჩილებელი კავკასიელის გულის ფეთქვა. ჩემთვის კი თითქოს სამყარო გაჩერდა, დროის ათვლა განულდა და დიდი ხნით დასამარდა კავკასიის თავისუფლებისა და ერთიანობის იდეაც.



ისა მუნავეი თანამეგობრებთან ერთად უკრაინაში. 2014 წ.

P.S. მასპინძლობის პერიოდში მუდმივად ვეკითხებოდი, რაიმე განსაკუთრებული ეროვნული კერძი სომ არ ენატრებოდა. სულ უარს აგებოდა, ისედაც ძალიან ცოტას მიირთმევდა; საერთოდ, ამ წამს ჩვენები გამორჩეულად იცავენ და ამიტომაც უკლებლან ბრძოლის ველზე ხანგრძლივ შიგშილს.

თბილისში ყოფნისას ერთი კვირის თავზე, როცა ერთმანეთს ცოტა გავუთავამდით, ვახშომისას მითხრა: „იცო, რა მენატრება სოლზე ევროპაში? გაბიკვირდება, მაგრამ შავი „პრინცი“ და კანფატი „ირისი“, ჯარიდან მომყვება ეს სიყვარული“.

მეორე დღით საუზმეზე დავახვედრა „პრინცი“ და „ირისი“. შემომხედა, სიტყვაც არ უთქვამს და „პრინცი“ ისა კალუმად ჩააგინა, მომეჩვენა, თითქოს თვალზე მომდარი ცრემლების დავაღვას ცდილობდა.

გამომავლილობისას, როცა კლიარ ჩამიკრა გულში, ერთი ფრაზა მითხრა, რომლის გახმობა მთავრის და მუხარხულება კიდეც: შენაირ ქალზე და მას კავკასიაო, რაც სააზრობა გაყვება მთელი სიცოცხლე.

ისა მუნავეი ტრაგიკულად დაიღუპა 2014 წლის 1 თებერვალს. თებერვალი სომ ისედაც დიდი ტრაგადიების თვეა ჩვენებისათვის...*

* – 23 თებერვალი – საბჭოთა რეჟიმის მიერ ჩვენს დი იმეზში ხალხების დავორტაციის დღეა. 1944 წლის თებერვალში დიწყო ნახევარ მილიონამდე ადამიანის შუა აზიში გადასახლების პროცესი.

ჯესიკა ჯონსტონი – ამერიკელი ბლოგერი და ოთხი შვილის დედა. ის ხშირად უზიარებს თავის შეხედულებებს სოციალურ მედიას, საუბრობს ქორწინებაზე, ოჯახურ ღირებულებებზე, შვილებისა და მშობლების ურთიერთობებზე. მან იცის, რომ დედა-შვილის ჯანსაღი და მოკიდებულება სამყაროს აკეთილშობილებს, სვალნიდელ დღეს კი უფრო სანიმუშო ხდის.

თავისი ფაქიზი წერილებით ქალბატონი ჯესიკა ხშირად ეხმარება შვილებს; მათ უნდა იცოდნენ, ოჯახში მისი სახით როგორი ერთგული და სანიმუშო მშობელი ყავთ. ბლოგერს სწამს, რომ დედაშვილთა ერთმანეთისთვის დაუღალავი ზრუნვაა, დაუსრულებელი ფიქრია, ორ თაობას შორის, ერთდროულად, კამათისა და თანხმობის დროა, დიალოგია, როცა დედა მუდამ შვილების მხარესაა.

„თქვენ „ჩემი ხართ“, – მიმართავს ჯესიკა ჯონსტონი შვილებს, ვისი იმედიც, რაც არ უნდა მოხდეს, მათ უნდა ჰქონდეთ.

ვფიქრობთ, ბლოგერის მორიგი პუბლიკაცია „იალქინს“ აკითხველს არამარტო დაინტერესებს, ააღივებს კიდეც. ვინც გიყვარს, მას სიყვარულში გვერჯი უნდა გაუფლავდეთ, თვეის ავტორი.

„მე თქვენი ფანი ვარ...“

წერილი შვილებს

ჯესიკა ჯონსტონი
რუსულიდან თარგმნა ნანა ჭანტუშიამ

ჩემო პატარებო, საყვარლებო!

მე თქვენ გვერდით ვიყავი, როცა თქვენ ჯერ კიდევ ჩემში არსებობდით. მე მაშინ ვიყავი ჩამრგვალებული, ზედმეტი კილოგრამებისგან დამძიმებულ-გადაქანცული, მაგრამ თქვენ იყავით ჩემში და ჩვენ კი, ერთარსებას, ორი სული გვერქვა.

მე თქვენთან ვიყავი მშობიარობის დროსაც, რომელიც, მეგონა, არასოდეს დასრულდებოდა, ან უბრალოდ, მერე მოვკვდებოდი.

როცა პირველად აგიყვანეთ ხელში და როცა ჩვილი სხეულის საოცარმა სურნელმა გამაბრუა, თქვენ ჩემში იყავით.

მე ვიყავი თქვენთან მაშინაც, როცა უფალს ვევედრებოდი, ცოტა ხნით მაინც შემძლებოდა ჩათვლემა, მერე კი სიბნელეში ვაფათურებდი ხელებს, თქვენი ლოგინიდან როგორმე ჩემთან რომ გადმომწვინეთ.

მე თქვენს გვერდით ვიყავით მაშინაც, როცა ნირნამხდარი ამაოდ ვეჭიდებოდი ჯინსის ელვას, როგორმე რომ შემეკრა იგი, მაშინაც, როცა მივაგენი ვარცხნილობის საუკეთესო საშუალებას – არ ჩამეხედა სარკეში.

მაშინაც თქვენთან ვიყავი, როცა შუალამისას ლოგინში სათითაოდ შემომძვრებიდით და მე, სანოლის კიდემდე გადაჩოჩებულს, იქიდან ჩამოვარდნის ცოტა მეშინოდა.



მაშინაც თქვენთან ვიყავი, როცა არავის გამო ამიშარდებოდით და მაშინაც თქვენთან ვარ, ჩემო საყვარლებო, როცა საშინლად მაბრაზებთ.

მე მუდამ თქვენთან ერთად და თქვენს გვერდით ვარ. მით უფრო მაშინ, როცა ისე გავუოცებივარ თქვენს ყველაზე მოულოდნელ შეკითხვას, რომ წვეთი ყავაც კი გულზე დამდგომია; მაშინაც, როცა თქვენთან უკვე ხმას ვუწევ, ასგზის ნათქვამი ისევ რომ გაგიმეოროთ – პიცას არ უნდა ჭამდეთ დივანზე.

მე თქვენთან ვარ მაშინ, როცა ჩემგან ხვევნა-კოცნას ელოდებით და მაშინაც, როცა ვგრძნობ, რომ ის რატომღაც არაფერში გჭირდებათ.

მე ბევრჯერ მოვქცეულვარ არასწორად, და სასტიკად არასწორადაც, მაგრამ ყოველთვის და სამუდამოდ თქვენს გვერდით ვიყავი და ვარ. და თუ ოდესმე მაინც ვერ გიგებთ, ეს თქვენი კი არა, ჩემი შეცდომაა.

აი, თქვენს შეცდომებთან კი მარტოკებს არასოდეს დაგტოვებთ. ერთი და იგივე ნახტომში მრავალგზის არასწორი გათვლების მიუხედავად, მაინც თქვენი ჭირ-ვარამის გამზიარებლად ვრჩები.

თქვენ ჩემთვის არასდროს არაფრის დამტკიცება არ დაგჭირდებათ; თუნდაც, თავიდან გადავიტანო თქვენთან ერთად გატარებული უძილო ღამეები, სათითაოდ მაინც თქვენ ავირჩევთ! ვიმეორებ, თუნდაც, ათასგზის განმეორდეს ის უძილო ღამეები!

იცით, რა მალეღვებს ყველაზე მეტად? დროზე ადრე არ ისურვოთ, გახდეთ მოზრდილები. გაიხანგრძლივეთ ბავშვობა! წინ დიდი გზა და დროა! გთხოვთ, ეს პროცესი ხელოვნურად არ დააჩქაროთ!

და მჯერა, რომ ბოლომდე ერთგულ მეგობრებად დავრჩებით. წინ გველოდება ღამაზი ღლეები და ვიმედოვნებ, რომ ისევ და ისევ გაგრძელდება საერთო სივრცეში მოქცეული ჩვენი დაუსრულებელი დიდი სეირნობა.

გჯეროდეთ, მე არასოდეს გავცემ თქვენს არცერთ საიდუმლოს. მიგულეთ თქვენს ყველაზე დიდ მესაიდუმლედ და გულშემატკივრად. მე თქვენით ვიამაყებ მუდამ, როცა გაიმარჯვებთ და მაშინაც, როცა დამარცხდებით.

მე მუდამ თქვენს მხარეს და თქვენიანი ვიქნები; მე ხომ თქვენ ძალიან მიყვარხართ! თქვენ ჩემში ხართ, მე თქვენი ფანი ვარ!


მე მთელი არსებით თქვენ გეკუთვნით და ეს ჩემი ყველაზე, ყველაზე ღირსეული გამონწვევაა! ჩემი გული უპირობოდ თქვენ გეკუთვნით და იმიტომ!

როგორც კი პირველი შვილი შემეძინა, მე დავემშვიდობე ადრინდელ ყოფას და ხელებგაშლილი სხვა უბედნიერესი დღეების შესახებ ვერაფერად გავემუხრე. მას შემდეგ არაერთი შეცდომის გამო წავიბორძიკე, მაგრამ თქვენთან გატარებული ყოველი დღე იყო მშვენიერებასთან ზიარება.

თქვენა ხართ ჩემი საზრისი, ჩემი გამონათება, ყველაფერი საუკეთესო, რაც კი განმიცდია, გადამიტანია. მე უზომოდ მაღლიერი ვარ თქვენთან გატარებული თითოეული წამის.

გჯეროდეთ, ჩვენ ერთად ვიზეიმებთ გამარჯვებებსაც და სირთულეებსაც ერთად შევეჭიდებით.

თქვენი მოსიყვარულე დედა.



1977 წელს ახალი საგჟოთა კონსტიტუციის მიღების შემდეგ საქართველოს სსრ უზენაესმა საგჟოე შეიგუშავა კონსტიტუციის გეგმა, რომელშიც, 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, ქართული ენა სახელმწიფო ენად უკვე აღარ იყო გამოცხადებული (78-ე მუხლით). ქართველი ხალხისთვის ამ მიუღებელ ინიციატივას ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები მოჰყვა.

1978 წლის 14 აპრილს დედა-ენის ბაღში (ეს სახელი ბაღს მოგვინახვით დაერქვა) ენის შენარჩუნების მოთხოვნით ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგი. 1978 წლის 15 აპრილის ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერდა, რომ „თბილისიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 20.000-მდე დემონსტრანტი ქუჩაში გამოვიდა... ისინი აპროტესტებენ კონსტიტუციის ახალ ვერსიას“.

პროტესტმა შედეგი გამოიღო – ქართული ენა დარჩა სახელმწიფო ენად.

სწორედ ამ მოვლენის აღსანიშნავად, მოგვინახვით ბაღში დაიდგა არქიტექტორ ელგუჯა ავაგუშვილისა და მოქანდაკე ნოდარ მგალოზლიშვილის „დედა-ენის“ ქვლი. 1990 წლიდან 14 აპრილი ქართული ენის დღედ გამოცხადდა.

თბილისში დედა-ენისთვის მიძღვნილი ქვლი ერთადერთია მსოფლიოში.

• ლ •

ლაბა – რქებდახრილი ხარი

ლაგვანი – დიდი ქვევრი

ლაგვარდანი – 1. შენობის კედელზე ან ჭერზე შემოვლებული არშია (კარნიზი). 2. კლდის კიდეზე გადმოშვერილი გაყინული თოვლი

ლაკარტანა – თხელი, გამხდარი ადამიანი; წერნეტა



ლაბა – რქებდახრილი ხარი



ლაგვანი – დიდი ქვევრი

ლაკლაკა – წყალწყალა, თხელი საჭმელი (ლობიო და სხვ.)

ლალვა – (ძვ.) შულღი, მტრობა

ლამიყლაპია – ჭაობის ფრინველი

ლამპასი – (ფრ.) შარვლის ტოტების გვერდებზე სიგრძივ დაკერებული ფართო ფერადი ზოლი (გენერლის ლამპასები)

ლანძვი – (ძვ.) ვიწრო და მაღალი ფანჯარა, სარკმელი, სანათური

ლაპოტი – 1. დიდი ცაცხვი (ხის დიდი კოვზი); 2. ნავიდან წყლის ამოსახაპი ნიჩაბი

ლართხი – ურემზე დაგებული ფიცარი

ლაფათა – თონეში ლავაშის ჩასაკრავი ბალიში, ნაბჯითა და ჩალით გატენილი



ლამპასი – შარვლის ტოტებზე დაკერებული ფერადი ზოლი



ლალაპი – ჭაობის მცენარე

ლაფარო – ადგილი შენობის ირგვლივ, რომელსაც სახურავის გამოშვერილი ნაწილი ფარავს (იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში)

ლაფაჩი – ნელი, ზანტი, დოყლაპია

ლაფერა – ხის დიდი კოვზი, ქვაბიდან ღომის ამოსაღები (იმერეთში, გურიაში)



ლაფათა -
თონავი ლავაჲის ჩასაკრავი ბალიჲი

ლაფმა – დაკოდილი ცხენი (იაბო)

ლაჭანი – წნელისგან მოწნული საწოლი, რომელშიც თივა ან ჩალა არის ჩაგებული (იციან ფშავში)

ლეგა – მუქი ნაცრისფერი, რუხი

ლემარხილა – შემის მოსატანი პატარა მარხილი

ლელქაში – ჭაობის მცენარე; იკეთებს პატარა კონებად შეკრებილ ყვავილებს

ლენჭყი – (კუთხ.) ნოტიო, ჭაობიანი ადგილი

ლეჟერი – ნედლი, ცუდი შემა

ლესტერი – (კუთხ.) თავსხმა წვიმა



ლესტერი – თავსხმა წვიმა



ლაჟარა –
ჟვავიდან ლომის ამოსალავი ხის კოვზი

ლეღი – თოვლის დნობა

ლეღმა – შეყინული თოვლი, რომელიც დნობას იწყებს

ლეშხი – ხის ფოთლებიდან ჩამონადენი წვეთები – ჟვავი

ლიზღი – (ძვ.) უშვერად მოხუმარი, თავსგასული

ლიკინა – თონეში გამომცხვარი გრძელი მჭადი

ლილიფარა – იგივეა, რაც მზესუმზირა

ლიჟღი – (კუთხ.) წყლით გაჟღენთილი

ლირფი – (ძვ.) თავხედი, უტიფარი, ურცხვი

ლირწი – გარყვნილი, ბილწი

ლიჭყი – წვიმისაგან ატალახებული ნიადაგი

ლოპრი – ცხოველთა დორბლი, დუჟი

ლოფლოფი – ჩვილი, თოთო

ლოხი – ზანტი, ზარმაცი

ლუყურტი – სიცხარეს მოკლებული, უგემური საჭმელი



ლილიფარა –
იგივეა, რაც მზესუმზირა

ღვთისა და ჭეშმარიტების სიყვარული ის სავიწმყო ბარათია, რომელიც ყველას ყველგან გაუხსნის გზას. და ისიც გაცხადებულია, რომ უფლისთვის ყველა ერსა და ხალხში მოსაწონია სიკეთის მთავარი.

იმ უცხოელს შორის, რომლებიც მრავლად გვხვდებიან თბილისის ქუჩაგზი, არიან ჟურნალ „ნაღმის“ მკვლევარი, ირანელი ცოლ-ქმარი – მარიამი და დანიელი, რომლებმაც გულით შეიყვარეს ჩვენი ქვეყანა და მიიღეს მართლმადიდებლური სარწმუნოება.

„ჩვენ დავინახეთ სინათლე და გვიკვირს, როგორ ვერ ხედავენ ამ სინათლეს სხვები“, – ამოვანე მარიამი და დანიელი. მინათით, რომ იკოვანს ბედნიერება, რადგან არიან საკუთარ ხალხში, თავიანთ მამასთან.

დანიელი კომპოზიტორია, 75-მდე სადილო და 45-მდე საბავშვო მუსიკალური ნაწარმოების ავტორი. ძალიან მოსწონს ქართული სიმღერები, განსაკუთრებით, ფოლკლორი; ამაყად ქაშუთის მბალობაღია. ინგლისური ენის სპეციალისტი მარიამი სპარსულად თარგმნის ლოცვას და იოანე ოქროპირის ლიტურგიას. ცოტ-ცოტა ქართული ენა ორივეს ემის. ცდილობენ, უკეთ დაეუფლონ მას.

„ჩვენი სარწმუნოება გვირდება (სიკვდილის შემდეგ) ზეციურ სამოთხეს, ჩვენ კი დღესვე, დღეიდანვე, საქართველოში ვკოვით სამოთხე“ – ამოვანე მარიამი და დანიელი.

„ჩვენ დავინახეთ სინათლე“...

სეიფდ ომიდ აბთაჰი (დანიელი)
ჰელიანაჰ ქეითაჰ (მარიამი)



მარიამი მონათვლაზე – პირველი დღე ბარბაროს სახელობის ეკლესიის ეზოში

დანიელი:

დავიბადე ირანში მუსულმანურ ოჯახში. მშობლები იყვნენ ძალიან რელიგიურები; ისინი ბავშვობიდან ჩამაგონებდნენ, რომ მოციქულ მუჰამედის შთამომავლები ვართ, რომ ჩვენი გვარი უძველესი და გამორჩეულია. ოჯახის ყველა წევრი მკაცრად იცავდა მუსულმანურ ტრადიციებსა და რიტუალებს. რა თქმა უნდა, მეც რელიგიური დოგმებით მზრდიდნენ, გამუდმებით ჩამჩინებდნენ, რომ მელოცა. საერთოდ, ყოველი მუსულმანი ვალდებულია, სადაც არ უნდა იყოს, გაშალოს პატარა ფარდაგი და დაიწყოს ლოცვა. თუ მუსულმანმა ლოცვა გამოტოვა, მეჩეთში უნდა მივიდეს და ამის შესახებ მოლას აცნობოს; ცოდვების გამოსასყიდის გადახდის შემდეგ კი მოლა მის მაგივრად ილოცებს (თითოეულ ცოდვას თავისი საფასური ადევს).

ირანში ვაჟები „ყურანს“, ზოგადად, 15 წლიდან ეცნობიან, ჩვენი ოჯახის ბიჭები კი, როგორც წინასწარმეტყველ მუჰამედის შთამომავლები, 12 წლის ასაკიდან. სკოლაში ხორციელდება ბავშვების, რომ იტყვიან, გონების აბსოლუტური გამორეცხვა, მათში ფანატიკური აზროვნების ჩამოყალიბება. მაგრამ მე, ბუნებით პროტესტანტი,

ადვილად არ ვეძებოდი გავლენების ქვეშ.

მუსიკოსი, რომელიც ჩემში ცხოვრობდა, სამყაროს სხვებისგან განსხვავებულად აღიქვამდა. არ მასვენებდა კითხვები ღმერთზე, რომლის შესახებ პასუხებს მოლასგან ვერ ვიღებდი; რა თქმა უნდა, ჩემი პროტესტი სრულიად გაუგებარი და მიუღებელი იყო ისლამის მიმდევარი ჩემი ოჯახისთვის.

უსიამოდ მახსოვს, ცხოვრებაში ჯერ კიდევ გაუთვინებელი, 12 წლის ბიჭუნას, როგორ კატეგორიულად მომთხოვა დედამ, დატოვე სახლი, უკვე დიდი ხარ, შენი ადგილი აქ არ არისო (დედას სტუმრად თავისი ახლობელი ქალები ჰყავდა). მერე გავიგე, თურმე ქალებს ჰიჯაბის მოხსნა უნდოდათ და მე, როგორც უკვე ყმანვილობაში შესული, ამის მოწმე არ უნდა ვყოფილიყავი (მუსლიმთა წესით, ჰიჯაბის მოხსნა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ოჯახის წევრებთან შეიძლება).

ამ შემთხვევამ პირველად დამაპირისპირა ისლამთან, შემადილა ჩემთვის გაუგებარი ადათ-წესები, ჩამაგდო გაურკვევლობაში და დამკარგა სულიერად. პროტესტის გრძნობა კიდევ უფრო გამძლიერა ყოვლად დაუსაბუთებელმა რელიგიურმა სწავლებებმა და დოგმებმა, რასაც ჩვენგან სკოლაში მოითხოვდნენ.

18 წლის გამინვიეს სამხედრო სამსახურში, სადაც 2 წელი დავეყავი. ჯარი, რელიგიური თვალსაზრისით, კიდევ უფრო სასტიკი იყო. მუსულმანი ჯარისკაცი ვალდებულია, თვით გახურებული ბრძოლების დროსაც კი, მკაცრად დადგენილ საათებში გვერდზე გადადოს იარაღი და ილოცოს. ითვლება კიდევ, რომ თუ ვინმე ლოცვისას კვდება, პირდაპირ სამოთხეში ხვდება.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მივიღე კლასიკური მუსიკალური განათლება (ჩვენთან ეს პირველი დონეა) და მუშაობა დავიწყე ირანის ტელევიზიაში. ამავე დროს, ინტენსიურად ვქმნიდი მუსიკალურ ნაწარმოებებს (რა თქმა უნდა, არარელიგიურს).

თეირანის ტელევიზიაში ჩემი მუშაობის 8 წელი თითქოს შემოქმედებითად წარმატებული იყო, მაგრამ, შინაგანად დიდ სიცარიელეს ვგრძნობდი. ვეძებდი ღმერთს, რომელსაც ჩემს რელიგიაში ვერა და ვერ ვპოულობდი.

2003 წელს, 30 წლისა საცხოვრებლად გადავედი დუბაიში, რამაც, შემოქმედებითის გარდა, ეკონომიური წარმატებაც მომიტანა. უკვე საკმაოდ მდიდარი, პოპულარული, შინაგანად კი ისევ და ისევ დაკარგული, ვენეოდი თავისუფალ, შეიძლება ითქვას, ზღვარგადასულ ცხოვრებას. **მალე ყველაფერი მომბეზრდა; ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ჩემი სული ინვოდა ცეცხლში და ითხოვდა სიმშვიდეს. ღმერთს ვევედრებოდი, თავი გაეცნო ჩემთვის. თუმცა სულ უფრო ვიკარგებოდი საკუთარ თავში. ხელოვანი ვარ და ყოველთვის ვგრძნობ, როდის რა ხდება ჩემს სულში.**

ამიტომ დაუნანებლად დავტოვე დუბაი, წარმატებული ბიზნესი, ზურგი შევაქციე კარიერას და დავბრუნდი ირანში. მძიმე დეპრესიაში მყოფს დამჭირდა ფსიქოლოგი; არაფერი მახარებდა და ვერც მუსიკას ვეძინიდი. დავშორდი პირველ მეუღლესაც, რომლისგან მყავს გოგონა.

ამ პერიოდში შევხვდი მარიამს და... დავინახე სხვა პერსპექტივა.

მარიამი:

დავიბადე მუსულმანურ, მაგრამ არარელიგიურ ოჯახში, სადაც რიტუალებით არავინ იტვირთავდა თავს. მეც ჩემი მშობლების გზას მივყვებოდი და სკოლაში ჩემი არარელიგიურობის გამო ყოფაქცევაში დაბალი შეფასება მქონდა. ჩემი მშობლების დამოკიდებულებას მუსულმანური რელიგიისადმი ჰქონდა თავისი საფუძველი: **ჩემი ბებია, მამაჩემის დედა, თბილისელი იყო. ბებიას მამა ყოფილა საკმაოდ შეძლებული, სახერხი ქარხნების მფლობელი; აქ თურმე სტალინი მუშაობდა. გადმოცემით ვიცი ერთი ინციდენტის შესახებაც: მომავალი ბელადი იხრჩობოდა და იგი ბებიას მამას გადაურჩენია.**



მარიამისა და დანიელის ნათლვანის მოწოდება

ბებია 100 წლის წინ (საქართველოს გასაბჭოების შემდეგ), 10 წლის ასაკში მშობლებთან ერთად წასულა საქართველოდან.

რადგან ბებიის დედის ძმა ცხოვრობდა ირანში, კერძოდ, ქალაქ თავრიზში (ბიზნესი ჰქონდა, ირანელზე დაქორწინებული და იქ დარჩენილა); სამშობლოდან ლტოლვილმა ბებიის მშობლებმაც თურმე ირანს მიაშურეს; ფიქრობდნენ, რომ დროებით ბიძის ოჯახს შეაფარებდნენ თავს.

მაგრამ მოვლენები ტრაგიკულად განვითარებულა: ბებიის მშობლები დაღუპულან ნაადრევად. მალე ბებიაჩემი, 15 წლის ობოლი ულამაზესი გოგონა გაათხოვეს ირანელზე.

ბებია ჩვენთან ხშირად ლაპარაკობდა ქრისტიანობაზე, გვიხსნიდა, თუ როგორი ჰუმანური რელიგიაა. მეც ისეთი განცდა მქონდა, რომ ქრისტიანობა დაკავშირებული იყო სიყვარულთან, სიკეთესთან. დედაჩემს კი რუსული ფესვები ჰქონდა. ამიტომ ჩვენს ოჯახში ქრისტიანობაზე საუბარი მიღებული იყო.

თუმცა ყველაფერი ჩემთვის ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო. ქრისტიანულ რელიგიას სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც ვეცნობოდი (დავამთავრე ინგლისური ფაკულტეტის ბაკალავრიატი), მაგრამ, როგორც ახლა ვაანალიზებ, დამახინჯებულად. ქრისტეს ყველგან მხოლოდ წინასწარმეტყველად წარმოაჩენდნენ და არა ღვთის ძედ, რომელიც ღვთისმშობელს სულიწმინდისგან ჩაესახა. დავინყე ძიება, სხვა რელიგიების გაცნობა, მაგრამ ბოლომდე ვერაფერში გავერკვიე, დაბნეული ვიყავი; ამიტომ რწმენა შემერყა და გავხდი ათეისტი.

პირად ცხოვრებაშიც არ გამიმართლა: 16 წლის დავქორწინდი (მყავს ვაჟიშვილი), 34 წლის ასაკში დავშორდი მეუღლეს. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში დანიელი.

დანიელი:

მარიამთან ჩემი შეხვედრა, ვთვლი, რომ ღვთისგან იყო. ერთმანეთს გაცნობისთანავე გაუფეთ, აღმოგვაჩნდა საერთო თემები და მისწრაფებები. ორივესთვის დიდი ტკივილი იყო, რომ მუსულმანურ სამყაროში დავიბადეთ. მოგვინდა, როგორღაც გაგვეღწია ირანიდან, ჩვენთვის გაუგებარი და მიუღებელი სივრცეიდან.

2015 წელს მე და მარიამი ჩავედით სომხეთში, სადაც 9 თვე დავყავით; ბიზნესი ვერ ავანყვეთ. გრიგორიანულმა სარწმუნოებამაც თითქოს „ხელი გვკვრა“, რომ ნამდვილ ქრისტიანობას ვზიარებოდით. მალევე გავემგზავრეთ მალაიზიაში.

მარიამის სახით ნამდვილად ვიპოვე მოსიყვარულე, მზრუნველი მეუღლე. მალე მალაიზიაში საკმაოდ დიდი სარესტორნო ბიზნესი ავანყვეთ.

რესტორნის შენობის თავზე პროტესტანტული ეკლესია იყო. გავიცანით მრევლის წევრები და თბილად განვწყვეთ მათ მიმართ; მაგრამ მაშინ არც გვიფიქრია, რომ სარწმუნოებას შევიცვლიდით. **ირანში სიკვდილით სჯიან ან, უკეთეს შემთხვევაში, დიდი ხნით ციხეში სვამენ მას, ვინც რჯულს შეიცვლის (თუმცა, აღსანიშნავია, რომ შთამომავლობით პროტესტანტულ ოჯახებს ეს არ ეხება).**

ერთ დღეს ეკლესიისთვის გავიღეთ მონყალება (მივიტანეთ ტანსაცმელი) და დავინყეთ ლოცვა. თუმცა კარგად არც ვიცოდით, როგორ მიგვემართა ღმერთისთვის.

ჩვენი მალაიზიური თავგადასავალიც მალე დასრულდა: რალაც შეითხინილი ბრალდებებითა და ცრუ დასმენით დამიჭირეს და, რაც იქ 3 წლის მანძილზე დავაგროვეთ, ერთიანად დავკარგეთ. სრულიად გაბანკროტებულები, მე და მარიამი ჯერ სომხეთში, 3 თვის შემდეგ კი ისევ ირანში დავბრუნდით.

ჩემმა ოჯახმა ზურგი მაქცია, როგორც მუსულმანური წესების დამრღვევს. „ყურანიც“ ამას ავალბადთ: მშობლებმა ხელი მკრეს, უკვე ჩვენი შვილი აღარ ხარო. მარიამიც, როგორც ქმარს გაშორებული, ჩემმა ოჯახმა არ მიიღო. ამიტომ დავინყეთ მარტო ცხოვრება.

არაფერი გაგვაჩნდა, მაგრამ ერთმანეთი გვყავდა და გვიყვარდა. თავიდან, როგორც უსახლკაროები, მეგობრებთან ვცხოვრობდით. შემდეგ ჯერ ტაქსის მძღოლად დავინყე მუშაობა, მერე კი დაგკავდი ჩემი პროფესიით – მუსიკის კერძო გაკვეთილებს ვუტარებდი მოსწავლეებს. მათ სოლფეჯიოს, ჩელოს, ვიოლინოსა და ფორტეპიანოზე დაკვრას ვასწავლიდი.

დროდადრო დეპრესიაც მეძალებოდა, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი. ძველმა ნაცნობებმაც გამიხსენეს. ერთხელ თეირანში ერთ-ერთმა მეგობარმა, ვაჰიდმა დაგვპატიჟა თავის დღეობაზე. მე და მარიამმა სიამოვნებით მივიღეთ მიწვევა.

მარიამი:

ვაჰიდთან სტუმრობისას ჩემი ყურადღება მიიქცია სასტუმრო ოთახის კუთხეში მჯდარმა ერთ-ერთმა ქალბატონმა. გამოვესაუბრე; გამეცნო, შაჰრაზადა მქვიაო. მალე გამოვნახეთ საერთო ენა, გავცვალეთ კონტაქტები. 2 დღის შემდეგ დავურეკე, დავპატიჟე სახლში. შემოგვთავაზა, მასთან მივსულიყავით. ნავედით მე და დანიელი. გაგვიმჟღავნა, რომ შეცვლილი ჰქონდა რელიგია. თურმე ყველასგან საიდუმლოდ პროტესტანტი გამხდარა, ეკლესიაში ფსალმუნებსაც კი კითხულობდა.

სახლში დაბრუნებულებმა დიდხანს ვისაუბრეთ შაჰრაზადაზე, ვბჭობდით, შევძლებდით ან გავბედავდით თუ არა ჩვენც რელიგიის შეცვლას. შაჰრაზადამ გამოგვიგზავნა კითხვარი, რა უნდა გვეპასუხა პასტორისთვის, რა უნდა გვცოდნოდა პროტესტანტობაზე. მისგან ზარს ველოდებოდით, მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი აირია. შაჰრაზადამ დაგვირეკა, პროტესტანტული ეკლესიის ყველა წევრი დაუპატიმრებიათო (ისინი დღემდე ციხეში არიან, ერთ-ერთს სიკვდილით დასჯის განაჩენიც კი აქვს გამოტანილი). თვითონ შაჰრაზადა შემთხვევით გადარჩენია დაჭერას,

რადგან დედამთილი გახდომია ავად და ვერ მოუხერხებია წირვაზე წასვლა.

ჩვენც შეგვეშინდა. რელიგია უნდა შეგვეცვალა, მაგრამ არა ირანში. ამჯერად გადავწყვიტეთ, ქვეყანა სამუდამოდ დაგვეტოვებინა.

დანიელი:

ის იყო, მე და მარიამმა დავინყეთ ირანის დატოვებაზე ფიქრი, რომ გაჩნდა კოვიდი, ჩაიკეტა საზღვრები და სამყარო გაიყინა. მაგრამ სარწმუნოების გამოცვლაზე ფიქრი ნამითაც არ შეგვიწყვეტია; თავიდან მოვიშორეთ ყველაფერი, რაც მუსულმანურ რელიგიასთან იყო დაკავშირებული: „ყურანი“, ლოცვანი, მუსულმანური წიგნები და წივთები, შევწყვიტეთ რელიგიური რიტუალების შესრულება.

მე და მარიამი განვიხილავდით, რომელ ქრისტიანულ ქვეყანაში შეგვეძლო გადასვლა. ყველაფერი გავყიდეთ, რაც გვებადა და თანხები შევაკონინეთ. ამასთან, გამოირიცხა ის ქვეყნები, სადაც ვიზა გვჭირდებოდა. საქართველო, მარიამის ბების სამშობლო, ყველაზე საიმედოდ მივიჩინეთ.

2021 წლის 25 ნოემბერს მე და მარიამი თბილისში მატარებლით ჩამოვედით. ამქვეყნად არაფერი გვებადა, მაგრამ შიშს რატომღაც ვერ ვგრძობდით. ეს კი იყო 29 ნოემბერს. ვსეირნობდით. გამოვცდით ზოოპარკს; მარიამს ვთხოვე, დაგუგლე, იქნებ, აქ სადმე ეკლესია არის-თქო. ასე მივადექით საბურთალოს წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარს. შევედით ეზოში. იქ მღვდელი დაგვხვდა. თურმე ტაძრის მოძღვარი – მამა სპირიდონი ყოფილა. ვიკითხეთ, როგორ მოვნათლულიყავით.



მარიამისა და დანიელის ჯარისწარა წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიაში. შუაში – მამა სპირიდონი

მან ინგლისური არ იცოდა; ამიტომ ენის მცოდნე მამა სპირიდონის ახლობელი დაგვეხმარა, რომ ერთმანეთისთვის გაგვეგო.

იმ დღესვე ორივე მოვინათლეთ. ნათლიებად, რაკი თბილისში სხვას არავის ვიცნობდით, გვეყავდნენ მამა სპირიდონი და მესანთლე ნანა. ნათლობის სახელით მე, სეიედ ომიდ აბთაჰი გავხდი დანიელი, ჩემი მეუღლე ჰელიანეჰ ქეთიაში კი – მარიაში.

54 წლის ასაკში მივიღე მართლმადიდებლობა. ნათლობისას ბავშვებზე ვტიროდით; ღაპა-ლუპით ჩამოგვდიოდა ცრემლები და გვეჩვენებოდა, თითქოს ჩვენი სულები ირეცხებოდა, თითქოს უმძიმესი ავადმყოფები თანდათან თავს ვაღწევდით უიმედობას.

მე და მარიამმა დავეკარგეთ ხორციელი მამები, მაგრამ, მამა სპირიდონის სახით (იგი სიჩუმითაც გვაგებინებს ყველაფერს), შევიძინეთ სულიერი მამა. ბევრი ვიხეტივალეთ, დიდი გზა გავიარეთ, რომ აქამდე მოვსულიყავით. ალბათ, ყველაფერი უნდა დაგვეკარგა, რომ მიგველო ის, რომელი რეალობის წინაშეც აღმოვჩნდით. მამა სპირიდონმა ჯვარიც დაგვწერა.

ახლა ვცდილობთ, ცხოვრების ქრისტიანულ წესს მივყვეთ (საყურეც კი მოვიხსენი). მამა სპირიდონის რჩევით, დავინწყეთ ბიბლიის კითხვა (5 თვე ვკითხულობდით). მე და მარიამი ყოველ კვირას დავდივართ ეკლესიაში ლიტურგიაზე, ენა არ გვესმის, მაგრამ ჩვენს გულეებში ვლოცულობთ. უკვე მეც კი მოვინათლე მართლმადიდებლად ჩვენი ორი თანამემამულე.

ერთხელ ზაზამ, ინგლისური ენის მცოდნემ მიმიყვანა ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვართან, მამა მიქაელთან, რომელიც შესანიშნავად ფლობს ინგლისურ ენას. მისივე კურთხევით, მარიამი შეუდგა ლოცვანისა და იოანე ოქროპირის ლიტურგიის სპარსულად თარგმნას (ინგლისური პნკარედებიდან), რომელიც წიგნად უნდა გამოიცეს.

თანაც, მარიამი მუშაობს კერძო რესტორანში, მე კი ინტერნეტით მუსიკის ონლაინ-გაკვეთილებს ვუტარებ ირანელ მოსწავლეებს (სიამოვნებით ვასწავლიდი ქართველ ბავშვებსაც).

სამწუხაროდ, თქვენგან განსხვავებით, მე ბავშვობაში მშობლებთან ერთად ეკლესიაში არ დავდიოდი, რომ აღსარების შემდეგ მიხრძოდი მამის კეთილი და მიმტავლებელი ხელი, მსუბუქად რომ მესაბამებოდა.

თქვენგან განსხვავებით, მე არ მქონია შესაქმლებლობა, სულს სიმშვიდით აღსარება ჩამებადებინა ჩემი სულიერი მამისთვის, მეღიარებინა ცოდვები, რომელთა გამხალა ყველაზე ახალმშობლებთანაც კი მრცხვენოდა. ჩემს სულს არავისგან მიუღია ამდენი სიყვარული და ჩემს ცხოვრებაში არასოდეს არავის (არც ჩემს მშობლებსა და არც ნათესავებს) გამოუჩენია ჩემს მიმართ ასეთი უნებარობა.

ბავშვობაში, როდესაც ეზოში ვთამაშობდი, ან როდესაც პროტესტანტულ ეკლესიას ჩავუვლიდი, არასოდეს მინახავს, ვინმეს პირფარა გადამენდროს, რომ მათთვის ამის მიზეზი მაკითხა, მათგან რაიმე გამეგო, მეც გადამენდრა პირფარა, ღმერთს კი ჩემი სხეული და სული დავცვა.

მე ბავშვობაში ოჯახში და ქვეყანაში, რომელიც სასწავლო წიგნებსა და ფილმებში მაღავეს და ამხინჯავს ისტორიულ ფაქტებს ქრისტიანული რელიგიის შესახებ.

როცა ქრისტიანობა გავიცანი, ღმერთს ვთხოვე, ჩემთვის ყველაზე სწორი გზა ეჩვენებინა და უფალმაც შეიხმინა ჩემი და გადამარჩინა; ყოველ დღე მაღლოვას ვწირავ ღმერთს იმ სასწავლისთვის, რომ ახლა მართლმადიდებელი ვარ. ქრისტიანობაზე შეყვარებულმა საქართველოში ავირჩიე, როგორც უკველანი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანა, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. მე ავირჩიე საქართველო და შემიძლია ვიცხოვრო ქართველებს შორის და მათ სიყვარულთან ერთად ვიცხოვრო ქრისტიანული და ბავშვობის იმეზა მითი, ვიღრა ვიცოდი მთელი ჩემი წარსულის მანძილზე.

ვცდილობ, მივყვე ქრისტს და ვისწავლო ყოველდღე. ამ რთულ გზაზე, როცა იქვეა ეგვიპტი ჩასაფრებულნი და ელოდება ჩემს უმცირეს გადაცდომასაც, ჩემს გვირგვინთან ჩემი სულიერი მამა, მამა სპირიდონი, მამა მიქაელი კი მოთმინებით, სიყვარულით და სიფრთხილით მასწავლის – ყოველ კვირას ის თავის კვირვას დროს გვითმობს, რომ ამაღლდეს ჩემი და მარიამის რელიგიური ცნობიერება. დღეს ჩვენი სულიერი საზრდო მხოლოდ გიბლია და ამ წმინდა წიგნის თითოეული გვირგვინი. ამასთან, ვცდილობთ, დავუფლოთ ქართულ ენას და სულიერი მამების სწავლებები გულთან ერთად გონებითაც შევიმეცნოთ.

ჩვენ უკვე არაფრის გვემინა: მთლიანად ღმერთზე ვართ მიწოდებულნი!

ჩვენ დავინახეთ სინათლე და ვართ ბედნიერები. გვიკვირს, სხვები როგორ ვერ ამჩვენენ ამ სინათლეს. მე და მარიამმა უკვე დანამდვილებით ვიცით: ჩვენს სახლში ვართ, ჩვენს ოჯახში, ჩვენს მამასთან. ჩვენი სარწმუნოება გვირგვინა ზეციურ სამოთხეს (სიკვდილის შემდეგ), ჩვენ კი დღესვე, დღეამდინაზე, საქართველოში ვცხოვრობთ სამოთხე.

P.S. მარიამთან და დანიელთან საუბარში დაგვეხმარა ინგლისური ენის მცოდნე, სოხუმელი ერეკლე მსხილაძე.




მარიამის მიერ საარსულად თარგმნილი იოანე ოქროპირის ლიტურგია

ლაქსაზს ბავშვობიდან წარდა. პოეზია თითქმის მის ბედისწარადაც იქცა. თითოეულ ლექსში, თითოეულ სტროფში იბრძნობა ავტორის სულის შფოთვა; იგი, ლამის, სტრიქონ-სტრიქონ უახლოვდება გარდაუვალ დასასრულს.

წინასწარმატებულია სავდით, განცდებით სავსე მარტოსულის, ნაადრევად დასული მომავლის პოეტის – თორნიკე ნანოზაშვილის ყოველი პნაარი, სოლო ლექსი „წიფალი“, მართლაც რომ, რაქვიმივით ჭლარს.

თორნიკე ნანოზაშვილი

წიფალი



გუშინ გასკდომია გული წიფელს,
ვხედავ ეზოს ბოლოს გადატეხილს,
ირგვლივ ქარი ფანტავს ფოთლებს წითელს,
ვინ გამკლავებია ამ ქარტეხილს?!

ფესვი დანყვეტია, დალენვია,
ტოტი ცისკენ ლოცვად აღმართული,
ჟამი შუა გზაზე დანეგია,
კვნესის გული, სევდით გაბანგული.

ალარც გასახარი ხედი მოჩანს,
ალარც ჩრდილი დარჩა უწინდელი,
ყოველ კარგს და ლამაზს დროს გამოჭამს,
ფეთქავს განწირულად გული ჩემი.

ვისი ბედისწერაც გადანყვიტეს,
იგი ტკივილისგან გათანგულა,
გუშინ გასკდომია გული წიფელს,
ეზოს ბოლოს ჩუმად გაპარულა...

* * *

ჩემს სულში, ვფიცავ, არაფერი დარჩა უშენო,
შიგნით ბავშვია და უყვარხარ, ისე, ბავშვურად,
სიშორე უმძიმს, მაგრამ რამე უნდა უშველო,
შენი დანახვის გარდა ვერაფერი ამშვიდებს.

მიეცი ნება, შენი თმების ფერებს მოჰყვეს,
უქციე კალთა მას ყველაზე სანდო ბალიშად
და როცა ხელებს წამსვლელივით ძლიერად მოგხვევს,
არ გაგიკვირდეს, რომ არასდროს აღარ გაგიშვას.

დარჩები, როგორც ბელურები რჩებიან ხოლმე,
ცივი ზამთარიც შენთან ერთად თითქოს თბილია
და სანამ გულში გაზაფხულს კვლავ შემოსვლას სთხოვდე,
დაფიქრდი, რადგან შენთვის ახლაც ვპოვებ გვირილებს.

მერე კი, მზეზე მოციმციმე ფიფქების კონას
თმაში ჩაგანწავ ფარდასავით დაშვებულ თმაში,
რა ლამაზია, როდესაც გაქვს ოცნების ქოხი –
სიმშვიდე, სითბო... ვართ მე და შენ ბუხართან მთაში.



„ფხვმოტიხილი უენ ხარ ღრუბელი“...

თაგუნია წარათლის დაბადებიდან 120 და გარდაცვალებიდან 55 წელი



5 წლის თაგუნია წარათელი

მისი სილამაზე შეუდარებელი იყო, მისი ღიმილი მნახველს აჯადოებდაო, მის დანახვაზე ხალხი ქუჩაში ჩერდებოდა და პირჯვარს ინერდაო, მისი ხატება ბევრი შემოქმედისთვის შთაგონების წყარო იყო... – როგორ არ აქებდნენ თაგუნია წერეთელს, რა სიტყვებით არ ამკობდნენ მას, როგორ არ ანებივრებდნენ სიცოხლეშივე ლეგენდადქცეულს.

და მაინც, ვინ იყო თაგუნია წერეთელი?

საჩხერელი თავადის, აკაკი წერეთლის უახლოესი მეგობრის ბეჟან წერეთლის უმცროსი ქალიშვილი და აკაკის ნათლული (სახელიც მას დაურქმევია), და ბოლოს, ტიცინან ტაბიძის მუზა, რომელსაც ადამიანები და პოეზია უყვარდა, მაგრამ რომელსაც ცხოვრებამ წილად უძიმესი ხვედრი არგუნა.

1925 წელს ცნობილმა მენარმემ – დავით ქებაძემ რუსთაველის გამზირზე გახსნა მინერალური წყლების (კერძოდ, ბორჯომის) პავილიონი და მეორე დღესვე ლამაზმანებით განებივრებულ და ჭორ-მართალი ამბების მოტრფიალე თბილისში ხმა დაირხა: შეიხედეთ ქებაძის პავილიონში... იქ მისი უდიდებულესობა – სილამაზე გიმასპინძლებთო...

და მართლაც: მეტი მუსტრის მოსაზიდად და სარფიანი მიკროგარემოს შესაქმნელად პავილიონის მეპატრონეს თურმე თანამშრომლებად აუყვანია სამი უმშვენიერესი ქალიშვილი, სამივე თავადიშვილი. მათ შორის ერთ-ერთი ყოფილა ერეკლე მეფის პირდაპირი შთამომავალი – თაგუნია წერეთელი, რომელიც ქართულთან ერთად ფლობდა ინგლისურსაც, ფრანგულსაც და რუსულსაც. ღვთაებრივი სილამაზისა და დახვეწილი მანერების მქონე წერეთლის ასული პავილიონში მოღარედ მუშაობდა.

წარსულში დარჩენილიყო ბავშვობის საუკეთესო წლები. მერე იყო ბოლშევიკური რევოლუცია. წითლების ტერორი... თავადაზნაურთა უმეტესობამ საზღვარგარეთ გაქცევით უშველა თავს. ბევრის პირადი ცხოვრება კი, ვინც შემორჩა ავ დროებას, რადიკალურად შეიცვალა.

მათ შორის იყვნენ თაგუნია და დედამისი – ნიცა ბაგრატიონ-დავითაშვილი, უნუგემოდ და ულუკმაპუროდ დარჩენილები. თავი რომ გადაერჩინათ, ჩამოვიდნენ თბილისში. ბორჯომის პავილიონის მეპატრონემ – ქებაძემ სწორედ ამ დროს დაასაქმა თაგუნია.

1925 წლის ზაფხულის დღეებია... პირს გავიგრილებთო და ტიცინან ტაბიძე მეგობრებთან ერთად შედის ქებაძის პავილიონში... მერე კი უკვე ყოველდღე იქაური სტუმარია...

მაღევე იბადება ტიცინანის ცნობილი პოეტური სტრიქონი: „ბედნიერი ვარ, როგორც არასდროს“. პოეტი შეყვარებულია თავის მუზაზე. პრესაში, საჯაროდაც რომ გამოხატოს თავისი გულწრფელი აღფრთოვანება, იბეჭდება თაგუნისადმი მიძღვნილი ტიცინანის ლექსები.

პოეტი იმდენად თავგზაბუნეულია, რომ ბორჯომში დასასვენებლად მყოფ მეუღლესაც კი უგზავნის წერილს. ტიცინანს სურს, რომ მისმა წინომაც იხილოს ეს მშვენიერება.

წლების შემდეგ ამ ამბავს თვითონ წინო ტაბიძე ასე იგონებს:

„1925 წლის ზაფხულში ბორჯომში ვისვენებდი. მოულოდნელად ტიცინანის წერილი მივიღე, თბილისში ვილაც მომნივლელი ასული გამოჩნდა და ძალიან მინდა, შენც შეხედოო. იმავე დღეს დეპეშაც გამომიგზავნა, სასწრაფოდ ჩამოდიო, მერე ტელეფონითაც მელაპარაკა და იგივე გამიმეორა. ჩამოვედი თბილისში. საღამო იყო. ტიცინანი შინ არ დამხვდა... ვუცდი, ვღელავ... ღამის 12 საათზე აივნიდან დავინახე – მოდის! მეორე დღესვე ამ ქალის სანახავად წამიყვანა პავილიონში, სადაც მინერალურ წყლებს ყიდდნენ. ქალი ძალიან მომეწონა. იშვიათი სილამაზის იყო: ჰქონდა რაღაც კეთილშობილური იერი, ეშხითა და სიტურფით აღსავსე, ტანწერწეტი, შნოიანი, როგორც ქურციკი. მე ვუთხარი ტიცინანს – ალტაცებული ვარ შენი გემოვნებით, მაგრამ ვერ გამიგია, აქ ახლა მე რა საჭირო ვარ-მეთქი. მან მაჩუქა მშვენიერი მომძივული ჩანთა და ფრანგული ტანსაცმელი. ეს იმისთვის, რომ გამიგეო. გამოვართვი საჩუქრები და ისევ ბორჯომში დავბრუნდი.“



თაგუნია წარათელი

როცა აგარაკიდან ჩამოვედი, ტიცინამა მაჩვენა ლექსები, მიძღვნილი თამუნია წერეთლისადმი. პაოლო იაშვილმა და ვალერიან გაფრინდაშვილმა აუკრძალეს მას ამ ლექსების დაბეჭდვა. ეგონათ, მენყინებიდა, მაგრამ მე ვუთხარი, დაე, დაბეჭდოს, კარგი ლექსებია და ცოდვია მათი გამოუქვეყნებლობა-მეთქი. ტიცინი არც ისე ახლოს იცნობდა თამუნია წერეთელს, მაგრამ მთელ ამ ამბავს ღრმად და სერიოზულად განიცდიდა. **საქმე იქამდე მივიდა, რომ მე თვითონ ვყიდულობდი ყვავილებს, რომელიც ტიცინს ქალიშვილისთვის უნდა მიერთმია“.**

თამუნია წერეთელს იმ დროს ბევრი ეტრფოდა, მაგრამ ტიცინი თავისი დამოკიდებულებით მაინც შეუდარებელი თავყვანისმცემელი იყო. ამბობენ, მშვენიერი თამუნიას სანახავად პოეტი უკანასკნელი კაპიკებით ეპატიჟებოდა ნაცნობ-მეგობრებს ბორჯომის პავილიონში. **ეს ურთიერთობა ბოლომდე რომანტიული და ამაღლებული დარჩა...**

1928 წელს თამუნია წერეთელი ცოლად გაჰყვა იურისტს, სატირისა და იუმორის თეატრის დამაარსებელს, ღირსეულ პიროვნებას – ნიკოლოზ კახიძეს. ერთი წლის თავზე მათ შეეძინათ ქალიშვილი რუსუდანი. თამუნიას ტრაგედიაც აქედან იწყება: მშობიარობიდან ორიოდ კვირაში მას განუვითარდა პერიტონიტი და ექიმები იძულებულნი გახდნენ, მისთვის ფეხი მოეკვეთათ.

რა თქმა უნდა, ტიცინამა მოინახულა საავადმყოფოდან გამოწერილი წერეთლის ასული. ამბობენ, შეხვედრისას არც ერთს სიტყვაც არ დასცდენია, ყოფილა საოცარი დუმილი და სევდაო.

უკეთილშობილეს თამუნიას ბედისწერა თურმე კიდევ უმზადებდა ახალ განსაცდელს.

ქვეყნისთვის ტრაგიკულ 1937 წელს ნიკოლოზ კახიძე – თამუნია მუღლეს გადასახლეს შუა აზიაში. უერთგულესმა თანამეცხედრემ „მსჯავრდებული“ ცალი ფეხითა და ყავარჯნით მოინახულა. მალევე გადასახლებიდან მოვიდა ცნობა მეუღლის სიკვდილის შესახებ. რუსუდანი თამუნია მარტოდმარტო გაზარდა. წერეთლის ასული გარდაიცვალა 1968 წელს.

როგორც ცნობილია, 1937 წელს ტიცინ ტაბიძეც გაასამართლეს „ანტისაბჭოთა მოღვაწეობის მუხლით“ და დახვრიტეს. ქართველ ხალხს მისი საფლავიც არა აქვს.

პოეტი გრიგოლ ცეცხლაძე იგონებს: „ყოველთვის მიუხაროდა მის სანახავად ტიცინს. რუსთაველის პროსპექტზე რომ შემხვდებოდა, ხშირად მეტყოდა, წამოდი ქებადის პავილიონში; თუ თამუნია იქნება, ნაყინზე დაგპატიჟებ, თუ არადა, ბორჯომის წყალი მაინც დავლიოთ და დავბრუნდეთ, როგორც დამარცხებულები“.

დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ თამუნიას თავისი „დიონისოს ღიმილი“ მიართვა და წაუწერა: „ძველი საქართველოს ცოცხალ ფრესკას – თამარ წერეთელს“.

გრიგოლ რობაქიძემ თამუნიას „გველის პერანგი“ უსახსოვრა ასეთი წარწერით: „თუ შევეძელი ამ რომანით ქართველი ქალის ასახვა, მაშინ ვიფიქრებდი, რომ თქვენს ნაცნობობას ჩემთვის ამაოდ არ ჩაუვლია“.

თამუნიას თავყვანისმცემელთა შორის იყო გიორგი ლეონიძეც, რომელმაც ულამაზეს ასულს მიუძღვნა ლექსი „ღამე ივერიისა“.

იოსებ გრიშაშვილი წერდა: „თამარი თბილისის ქუჩების ეშხი და სილამაზე იყო. ის გამოჩნდებოდა და ატყდებოდა ქუჩაში ჩოჩქოლი, აგერ, თამუნია მოდისო. გვიყვარდა, პოეტური სული ჰქონდა, იყო პოეზიის დიდი თავყვანისმცემელი“.

და ბოლოს: როგორც იგონებენ, ფეხის დაკარგვის შემდეგაც ტიცინი უმშვენიერესი თამუნიას ერთგული დარჩა. „გულის მაგიერ გული არ მოვა, არ მოებმება არც ფეხი ლერნამს“, – ასეთია პოეტის აფორიაქებული სული, სტრიქონებად გადმოღვრილი.

ტიცინ ტაბიძის „ანანურთან“ – ქართული პოეზიის ეს შედევრი თამუნია წერეთლისადმი მიძღვნილი ჰიმნია:

„შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის,
მომავონდები ამ ანანურთან,
შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის,
ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა.“

არც კი გიწნობდი, არც კი მენახე,
ისე გხატავდა თამარს ვრუბელი,
ხარ დანგრეული შენ მოდი ნახე,
ფეხმოჭეხილი შენ ხარ ღრუბელი...“*



თამუნია წერეთელი დარჩა ბორჯომის პავილიონის სახელ

* – ფრაგმენტი ლექსიდან „ანანურთან“.

კიევში 55-წლიანი ცხოვრების შემდეგ ბევრი სხვა უკრაინელივით საქართველოში იქნა გადამადგილებული რაულ ჩილაჩავაც – ცნობილი ქართველი მწერალი და უკრაინის სახალხო პოეტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საზოგადო მოღვაწე, 130-ზე მეტი წიგნის ავტორი.

უკრაინაში ახლა ომია, თავსომხვეული შეშლილი წესებით. და გადის მწერალი აჩაბრებული კადრების შეცვლილი რეალობიდან, რომ განარიდოს ოჯახს ნაწილი ნგრევის ხეობა... გადაარჩინოს ხელში აყვანილი ოთხფეხა მკვლარეც, ერთგული ჩაპა. რომ მერე, როცა ყველანი ერთად სამშვიდობოს გავლენ, ომის წიგნში ჩაიღოს „ჩაპას წერილები მსოფლიოს კალაღვსა და აღამიანებს“.*

მაგრამ „ილქინისთვის“ მოწოდებულ უზღოვანო რაულ ჩილაჩავა თითქმის ივიწყებს ომს და იღებს „ტაიმ-აუტს“, რომ ფანჯარა გახვავს ქართულ ნაკვალავს კიევში, კიდეც და კიდეც მოყვას საინტერესო ამბავი ქართველი და უკრაინელი ხალხების თანაცხოვრების საუკუნოვან გზაზე.

ქართული კვალი კიევის ცენტრში

რაულ ჩილაჩავა

ჯერ კიდეც შუა საუკუნეები

უკრაინაში ქართველების პირველი დასახლებები ცნობილია XVIII ს.-ის 20-30-წლებიდან, როცა პოლტავაში იქმნება ქართველ ჰუსართა პოლკი. ცოტა მოგვიანებით, იმავე საუკუნის 60-იან წლებში ქართველი დიდებულები დასახლდნენ იმდროინდელი ნოვოროსიისკის პროვინციის ტერიტორიებზე. ქართველი მიგრანტები იმედოვნებდნენ, რომ მიიღებდნენ რუსეთის მეფის მხარდაჭერას ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თუმცა ქართული კვალი უკრაინაში იძებნება ჯერ კიდევ შორეული შუა საუკუნეებიდან. დიდებული სოფლის ტაძრის** გუმბათზე მზერას ატყვევებს ღვთისმშობლის შეუდარებელი მოზაიკა. სპეციალისტების აზრით, მის შექმნაში მონაწილეობა მიუღიათ ქართველ ოსტატებს, რომლებიც ჩამოჰყვნენ მეფე დემეტრე I-ის*** ასულს – რუსუდანს.

რუსუდანი 1154 წელს ცოლად შეირთო კიევის მთავარმა იზიასლავ მსტისლავოვიჩმა. კიევის დიდ ჰერცოგს, ვლადიმერ მონომახის შვილიშვილს სურდა, ქართული ეკლესიის დახმარებით დამოუკიდებლობა მოეპოვებინა საკუთარი ეკლესიისთვის.

მე ვმუშაობდი ვლადიმერის ქუჩაზე, იმ შენობაში, რომლის ეზოშიაც დაკრძალულია იზიასლავი; მართალია, რუსუდანის საფლავს ვერ მივაკვლიე და მაინც მჯერა, რომ მისი ნატურფალიც ახსოვთ კიევის ბებერ ქვაფენილებს.

იარუსალიმის ქართული მონასტრის არქიტექტურული გეგმით

კიევის უძველეს მინაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ქართული კვალია და არ მინდა, ისიც გამომჩნეს. მხედველობაში მაქვს კიევ-პეჩერის ლავრის სახელწოდებით ცნობილი უნიკალური სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ტყით შემოსილი მაღლობიდან ამაყად გადაჰყურებს დნიპროსპირეთს. იგი 1051 წელს დაუარსებია ბერმონაზონ ანტონ პეჩორელს, რომელსაც საგანგებოდ უმოგზაურია ათონის მთაზე და ჩამოუტანია იქაური ქართული მონასტრის არქიტექტურული გეგმა.


2011 წელს უკრაინის ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა მღვდელმთავარი ანტონი წმინდანად შერაცხა. იგი განისვენებს ლავრის ეზოში და მისი საფლავის ნახვა ყველა მსურველს შეუძლია.

ამასთან, XI-XII ს.ს.-ების მიჯნაზე ლავრაში მოღვაწეობდა სახელგანთქმული ბერი ნესტორი, რომელმაც დაწერა რუსთა უპირველესი მათიანე „გარდასულ წელთა ამბავი“. ამ და სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლების შექმნისთვის მას „მემატიანე ნესტორი“ უწოდეს და წმინდანად შერაცხეს.

როგორც მკვლევარები ამტკიცებენ, კიევის მღვიმეთა მონასტერი, გარკვეულწილად, მისი მიბაძვით შეიქმნა; თუმცა, ცხადია, ეს ოდნავაც არ აყენებს ჩრდილს ამ დიდებულ და გამორჩეულ კომპლექსს. სწორედ ლავრა იქცა ძველი კიევის რუსეთში უმძლავრეს საგანმანათლებლო კერად.

სამონასტრო კომპლექსის სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ მისი მიწისქვეშა სივრცე მღვიმეებითაა დასერილი, სადაც ბევრი წმინდანის უხრწნელი ნეშტები ასვენია. ამ ურთულეს ლაბინითში მოგზაურობა მხოლოდ გიდის თანხლებითაა შესაძლებელი. არაა გამორიცხული, კვალი აგებნეთ და გარეთ დიდხანს ვერ გამოაღწიოთ.

II მსოფლიო ომის დროს ფაშისტებმა ლავრა გაძარცვეს და ააფეთქეს იქ მდებარე მიძინების ტაძარი, რომლის აღდგენაც მხოლოდ ამას წინათ მოხერხდა.



* – რაულ ჩილაჩავას 2022 წელს გამოცემული ომის წიგნი „ჩაპას წერილები მსოფლიოს კალაღვსა და აღამიანებს“ უკვე ითარგმნა მრავალ ენაზე. ** – კიევის ყველაზე გამოჩენილი კვალი – XI ს. *** – ქართველი მეფე, ღვთისმშობლის ვაჟი (1993–1156 წ.წ.).

XX ს.-ის პირველ ნახევარში ლავრის თვალსაჩინო მოღვაწე იყო ქართველი სასულიერო პირი, მთავარეპისკოპოსი დავით აბაშიძე, რომელსაც ანტონ პეჩერსკის პატივსაცემად მისი სახელი ეწოდა.

ჰოტი – დავით გურამიშვილი

ქართული კვალი უკრაინის მიწაზე, რომელზეც ახლა მინდა, გაიმბოთ, განსაკუთრებულია, რადგან იგი XVIII ს.-ის გენიალურმა პოეტმა დავით გურამიშვილმა დატოვა. მოხდა ისე, რომ ახალგაზრდა თავადი დავითი მთიულმა ყაჩაღებმა გაიტაცეს, რათა მისი ნათესავებისგან გამოსასყიდი მიეღოთ. ძვირფასი ტყვე დალესტინის ერთ-ერთ სოფელში დაამწყვდიეს, მაგრამ მან გაქცევა მოახერხა. მდევარმა იგი შეიპყრო და უკან დააბრუნა. ტყვე მეორედაც გაიქცა და ამჯერად იღბლიანად. სამშობლოსკენ მიმავალი კვლავ რომ არ დაეჭირათ, მან საპირისპირო მიმართულება აირჩია და რუსეთის გზას დაადგა.

ბევრი წვალებისა და ვაი-ვაგლახის მერე იგი ჩავიდა მოსკოვში, სადაც მამინ მტერს გამოქცეული ქართლის მეფე ვახტანგ VI იმყოფებოდა თავის ამალასთან ერთად. დავითი დიდი სიხარულით მიიღეს და ჯაბადარბაზად, ანუ იარაღის საწყობის უფროსად განამსესეს.

ქართველ ჰუსართა პოლკის შემადგენლობაში დავით გურამიშვილმა ბევრი ომი გადაიხადა, კიდევ ერთი ტყვეობა გამოსცადა პრუსიაში და უკვე ჯანმრთელობაშერყეულმა 52 წლის ასაკში დატოვა სამხედრო სამსახური.

მას, როგორც თავადს, მამულები უბოძეს უკრაინაში, სადაც იგი დაესახლა და სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. იქ, სოფელ ზუბოვკასა და პატარა დაბა მირგოროდში დავითმა შექმნა ლექსებისა და პოემების უბადლო კრებული „დავითიანი“, რომელიც ქართველების პირველნიგნ „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად იხსენიება. ამ კრებულსაც, ავტორის მსგავსად, ტრაგიკული ბედი ერგო.

ქართველ მეფისწულ მირიანს,* რომელსაც იგი სამშობლოში მიჰქონდა, მდინარე დონის ტალღებმა აბგა გამოსტაცა. უფლისწული ცურვით დაენია აბგას, რომელშიც ძვირფასი ხელნაწერი იდო და მშვიდობით გააღწია გაღმა ნაპირზე. „დავითიანი“ საქართველოს მარადიულ საგანძურს შეემატა, დავით გურამიშვილის საფლავი უკრაინაში კი მთელი 150 წლით დაიკარგა. იგი უკრაინელი მწერლების პავლო ტიჩინას, მიკოლა ბაჟანისა და დმიტრო კოსარიკის ძალისხმევით აღმოაჩინეს გასული საუკუნის შუა წლებში.

ახლა ქალაქ მირგოროდს ქართველი პოეტის ძეგლი და მუზეუმი ამშვენებს, საფლავს კი სათუთად უვლიან.

მოქანდაკე, კინორეჟისორი – ივანე კავალერიძე

ისტორიული კიევის ცენტრში, ე.წ. „ოქროს ჭიშკრის“ გვერდით, აღმართულია დიდი მთავრის – იაროსლავ ბრძენის ძეგლი, რომელსაც ხელში კიევის სოფის ტაძრის მაკეტი უჭირავს. ძეგლის ავტორია გამოჩენილი უკრაინელი მოქანდაკე, კინორეჟისორი და დრამატურგი – ივანე კავალერიძე.

ალბათ, გაიკვირვებთ, საიდან ქართული გვარის უკრაინელი და სწორედ იქნებით (ოლონდ, ნაწილობრივ). კავალერიძის ბაბუა, ნამდვილი ქართველი, რომელიც შამილთან იბრძოდა, რუსეთ-კავკასიის ომის დროს ტყვედ წაუყვანია ვინმე გენერალ ლადონსკის, რომელსაც მამულები უკრაინაში ჰქონია. იქ დაბადებულა ივანეს მამაც და თავად ივანეც, რომლებსაც გვარი შეუნარჩუნებიათ (ჩანს, ოდნავ დამახინჯებულად), მაგრამ უკვე უკრაინელები გამხდარან.

მე ვიცნობდი ამ გამოჩენილ ხელოვანს, ვყოფილვარ მის ბინაში, მისაუბრია მასთან. იგი ამაყობდა თავისი ისტორიული ფესვებით, რის დასტურადაც გამოდგება ფილმი „პრომეთე“, რომელიც საქართველოში გადაიღო.

კიევის ივანე კავალერიძის კიდევ ორი ქანდაკება ამშვენებს – სკულპტურული ჯგუფი მთავრინა ოლღასა და სლავური დამწერლობის გამავრცელებლების – კირილესა და მეთოდეს ძეგლები (მიხაილოვსკის მოედანზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს წინ) და დიდი უკრაინელი პოეტისა და იგავთმწერლის გრიგორი სკოვოროდას ქანდაკება კიევი-მოგილიანსკის აკადემიასთან.

ქართულ კვალად, შეიძლება, ჩაითვალოს იმავე ივანე კავალერიძის სახლ-მუზეუმი უკრაინის დედაქალაქის გამორჩეულ ადგილას – ანდრიას დაღმართზე.

P.S. „ილქნის“ რედაქცია გულითადად ულოცავს გატონ რაულ ჩილაჩავას დაგადების 75 წლისთავს. ვუსურვებთ წლიაგის სიმხნევეს, ჰამოქამდეაიო ნარმატავებს და ისეთ განთიადს, როცა სიტყვა „ოკუპაცია“ დავიწყებული ექნება ქართველსაც და უკრაინელსაც.



* – მუზე ერაკლი II-ის ვაჟი, ქართველი დიპლომატი, რუსეთის არმიის განერალი (1767–1834 წ.წ.).

გერმანელი მაქს ტილკე და

ქართული ეროვნული სამოსი

ამ რამდენიმე წლის წინათ ქართული ეროვნული კოსტუმის, კერძოდ, ჩოხა-ახალუხის ტარების ტრადიციას ჩვენს ქვეყანაში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის სტატუსი მიენიჭა.

საინტერესოა, რომ პირველ ცნობებს ქართული სამოსის შესახებ გვანდობინებს ქველი პერკინი მოგზაურები - ქსენოფონი (ძვ.წ.აღ-ით V ს.) და სტრაბონი (ძვ.წ.აღ-ით I ს.). პირველი ქართველი მკვლევარი, რომელმაც ტრადიციული ეროვნული სამოსი შეისწავლა და საყურადღებო ცნობები მოიპოვა, გამოჩენილი გეოგრაფი და კარტოგრაფი - ვახუშტი ბატონიშვილია (XVIII ს.). არანაკლებ მნიშვნელოვან ინფორმაციებს ვხვდებით XVII ს.-ის უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებშიც, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ მალავენ ქართული სამოსის გამო (იტალიელი არქანჯელო ლამბერტი, ფრანგი ჟან შარდენი...).

ქართული ეროვნული სამოსი მრავალი საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა და იცვლებოდა; თითოეული კუთხე - მთის, ბარისა თუ ზღვისპირეთის - მისთვის სახასიათო ტანსაცმელს ქმნიდა, ესოდენ თვითმყოფადსა და კოლორიტულს.

„იალქნის“ მკითხველი ამაჯიარად გააცნობა ქართულ სამოსთან დაკავშირებულ ერთ საგულისხმო ამბავს. ეს ზუსტად 110-წლიანი ისტორია გერმანელი მხატვრისა და ეთნოგრაფის - მაქს ტილკეს ჰომოგრაფიის ნაწილიცაა.



„ავტოპორტრეტი“. მაქს ტილკე. პარიზი 1901 წ.

მაქს ტილკე დაიბადა პრუსიის ქალაქ ბრესლაუში (1869-1942 წ.წ.).

ბერლინის სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო მხატვარ-დეკორატორად; მოგვიანებით საცხოვრებლად გადავიდა მადრიდში - „პრადოს“ მუზეუმში მოეწყო გადამწერად. მოგვიანებით, როგორც მხატვარი, საფრანგეთში ყოფნისას დაინტერესდა სხვადასხვა ხალხის ნაციონალური კოსტუმებითა და მათთან დაკავშირებული ტრადიციების უნიკალურობით.

უკვე ბერლინში დაბრუნდა ამ სფეროში საკმაოდ დახელოვებული ოსტატი. სწორედ მაშინ დაიწყო ტილკემ კოსტუმების ხატვა.

მისი ნამუშევრების პირველი გამოფენა შედგა 1911 წელს ბერლინის სამხატვრო მუზეუმში (კერძოდ, ლიპერჰაიდის კოსტუმების ბიბლიოთეკაში), რამაც ტილკე ძალზე პოპულარული გახადა. სახელმწიფო ბიბლიოთეკამ კი სრულად შეისყიდა მისი ტილოები.

ამ დროს საქართველო ჯერ ისევ რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი გუბერნიაა. თბილისში მოქმედი ამიერკავკასიის ეთნოგრაფიული მუზეუმის* დირექტორმა - ისტორიკოსმა და მოგზაურმა ალექსანდრე კაზნაკოვმა გადანყვიტა, შეექმნა ამიერკავკასიის ხალხთა ნაციონალური კოსტუმების ატლასი.

სწორედ ამ კრებულზე სამუშაოდ რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-ემ თბილისში მოიწვია ევროპაში უკვე გამორჩეული სტილისა და ნიჭის ხელოვანი - მაქს ტილკე. გერმანელ მხატვარს დაევალა, შეექმნა კავკასიის ხალხთა ნაციონალური სამოსის მრავალფეროვანი კოლექცია. ტილკემ (პროფესორის რანგში) საქართველოში დაჰყო 2 წელიწადი (1912-1913 წ.წ.) და შემოიარა მისი ყველა კუთხე, შემდეგ კი კავკასიის სხვა მხარეებსაც ეწვია.



აჭარელი ქალის კოსტუმის ელემენტები. მაქს ტილკე

ტილკეს გადანყვიტებით, კოსტუმების ესკიზები მას მუზეუმშივე უნდა გადაეტანა ტილოებზე. ამ პროცესთან დაკავშირებული სირთულეები დაძლია ფოტოგრაფიით: ფოტოებს უღებდა ტრადიციულ სამოსში გამონყობილ ადამიანებს, შემდგომ კი სურათზე აღბეჭდილი გადაჰქონდა აკვარელში (ტილკე შეეცადა, ნაციონალური სამოსის თითოეული დეტალი და პასაჟი ფოტოებზე უზუსტესად აღენუსხა).

მალე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და მხატვარი იძულებული გახდა, დაბრუნებულიყო გერმანიაში, სადაც ჩაიტანა დასრულებული ტილოები.

* - დღეს ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

ჩანახატები

საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან



ქართული ქალი. მამს ტილკა.

110 წლის წინ ასე შეიქმნა ეთნოგრაფიული ჩანახატების უნიკალური კოლექცია (სულ 83 ნახატი). ესაა საინტერესო პანორამა იმ რეალობისა, თუ როგორ იყვნენ შემოსილნი XX ს.-ის დასაწყისში საქართველოს, აგრეთვე, ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხის შვილები: ხევსურები, ქართლები, აჭარლები, სვანები, მესხები, ჯავახეთის მკვიდრნი; აგრეთვე: აზერბაიჯანელები, სომხები, ინგილოები, დაღესტნელები, ჩეჩნები...

ყველა ეს ნამუშევარი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციაში.



აჭარელი კაცი. მამს ტილკა.

მაქს ტილკეს, როგორც კოსტუმების ისტორიის გამორჩეულ მკვლევარს, თავისი შემოქმედებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მხატვრებსა და ეთნოგრაფებს შორის. დროსთან ერთად მისი ტილოები სხვა ღირებულებას იძენს, რადგან სწორედ დროსთან ერთად ადამიანები თანდათან უფრო შორდებიან ნაციონალურ სამოსს.

მაქს ტილკეს მონოგრაფიული ალბომებია: „ამიერკავკასიის ქალები“ (ვოლფგანგ ბრუნოსთან თანაავტორობით), „კოსტუმების მსოფლიო ისტორია უძველესი დროიდან თანამედროვე ეპოქამდე“, „აღმოსავლური პოსტუმები, მათი დიზაინი და ფერთა შეხამება“.



სვანი კაცი. მამს ტილკა.



სამეგრეო ქალი. მამს ტილკა.



სამეგრეო კაცი. მამს ტილკა.

სხვათა შორის, ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში 2017 წელს შედგა მაქს ტილკეს ნამუშევრების გამოფენა, იმ ხელოვანის, რომელიც თვლიდა, რომ ნაციონალური სამოსი ამა თუ იმ ხალხის ისტორიული კულტურის ნაწილიცაა.

მუშტისოდენა

ნუნუ ჯანელიძე*



ერთ პატარა საგულეში ცხოვრობდა ერთი პანია გული, სახელად, მუშტისოდენა, რომელიც, მართალია, დაუზარებლად მუშაობდა დღედაღამ, მაგრამ, რატომღაც, სულ ფორიაქობდა. მაგალითად, ძალიან აკრთობდა ამბები, რომელიც მის ირგვლივ ხდებოდა: ხან ვილაც დააცემინებდა ან თითებს გაატკაცუნებდა, ხან ძალი დაიყვებდა ან მანქანა დაამუხრუჭებდა, ხანაც მემანვნე და მენაყინე შესძახებდნენ გამყინავი ხმით, „მანონი! მანონი! ნაყინი! ნაყინი!“-ო და მუშტისოდენა მღელვარებისგან ისე შეხტებოდა, ლამის, საგულედან ამოვარდნილიყო.

– ჩემი საგულე რომ უფრო დიდი და საიმელო ყოფილიყო, ხომ არაფერი შემაშინებდა, – გულდანყვეტილი ფიქრობდა მუშტისოდენა, – ვიმუშავებდი მშვიდად და არავინ შემანუხებდა! რა იქნებოდა, უფრო დიდ და დალხენილ საგულეში დავბადებულებიყავი და მთელი ცხოვრება ბედნიერად გამეტარებინა!

უკმაყოფილებასთან ერთად მუშტისოდენას სულ უფრო უჭირდა პატარა საგულეში ყოფნა. ამას ემატებოდა მსოფლიო გულების გუგუნი – სამყაროს ხომ ეს ხმა ამოძრავებს! ითმინა, ითმინა მუშტისოდენამ და ბოლოს ველარ მოითმინა:

– არა, შეუძლებელია ასე ცხოვრება, მორჩა, აქედან მივდივარ!

ისკუბა მუშტისოდენამ და საგულედან ამოხტა. ბევრი დრო არ დასჭირვებია მეზობელ საგულემდე მისასვლელად, გზა კარგად იცოდა. მუშტისოდენას დიდი ხანია, თვალი ეჭირა მასზე: იქიდან ხომ მუდამ მხიარული შეძახილები ისმოდა.

– აი, სად არის საჩემო ადგილი! – სიხარულით გაიბადრა მუშტისოდენა, – აქ კი ნამდვილად გავიხარებ.

მართლაც რომ, მშვენიერი იყო დიდი საგულე, თავისას კი არ ჰგავდა, შიგ ძლივს რომ ეტეოდა. თანაც, აქ ყველაფერი თავზესაყრელად იყო, ირგვლივ მხიარულება სუფევდა და ყველას ბედნიერად მოჰქონდა თავი. მუშტისოდენა შეეცადა, აჰყოლოდა დიდი საგულის ცხოვრების რიტმს, გაეშალა ფრთები და გაელალა, დიდი ოცნებებიც დაანყო; მაგრამ თავის მუშტზე დიდი მაინც ვერაფრით გახდა.



* – ავტორის ბრაფიკა.



იფხრინებოდა, იბერებოდა, დიდ გულეს ეტოლებოდა, ისინი კი აინუნშიც არ აგდებდნენ; მშობლიური საგულედან ამოვარდნილი არავის სჭირდებოდა, ფუნქციადაკარგული ყველას ფეხებში ედებოდა და თავს აბეზრებდა.


მაღე მიხვდა მუშტისოდენა, რომ დიდი საგულისთვის ზედმეტად პატარა და უმნიშვნელო იყო და მოიწყინა. თანაც, დიდი საგულე სულაც არ იყო ისეთი, შორიდან რომ ჩანდა, დიდ საგულეს თავისი დიდი საზრუნავი ჰქონდა.

მუშტისოდენას მონატრა პატარა საგულე, ბუდე, სადაც დაიბადა და გაიზარდა. მართალია, ცოტა რცხვენოდა, თავისი კობტა სამყოფელი ერთ დროს ასე უგულოდ რომ მიატოვა, მაგრამ თავი გაიმხნევა და შინისკენ მიმავალ გზას გაბედულად დაადგა. მუშტისოდენას უკან, დიდი საგულისკენ ერთხელაც არ მიუხედავს.

სანამ თავის საგულეს მიაღწევდა, გული გამალებით უცემდა, ვაითუ, არ დამხვდეს თავის ადგილზეო და სიხარულით შეფრთხილდა, როცა მას შორიდან მოჰკრა თვალი. მორიდებით შეაღო პატარა საგულის კარები და პირველი, რაც დაინახა, თავისი გულის პერანგი იყო, დაუდევრად მიგდებული კუთხეში; მართალია, პერანგი ცოტა დაჭმუჭნილიყო, მაგრამ როგორც კი მუშტისოდენამ ტანზე მოირგო, ძველებურად გატკიცინდა.

მიხვდა მუშტისოდენა, პერანგი სწორედ ის იყო, რასაც ასე საკლისობდა, რომლის გარეშე თავს დაუცველად გრძნობდა. ბედნიერი მუშტისოდენა თბილად მოკალათდა თავის პატარა საგულეში და ამის შემდეგ არასოდეს დასცდენია საყვედური მასზე, არც დიდი საგულე მონატრებია.

მუშაობდა დაუზარლად და თუ ხანდახან ხმები შეაკრთობდა, პერანგს მჭიდროდ შემოიკრავდა და საგულეში საიმედოდ მოკალათებული ყურს უგდებდა საკუთარ გულისცემას.



1800 წელს რუსეთის იმპერიამ დაუფარავად გამოაცხადა საქართველოს ანექსია. ამავდროულად, რომელიც უკავშირდება ქართლ-კახეთის უკანასკნელ დედოფალს, გიორგი XII-ის მეუღლეს – მარიამ ციციშვილს, მოხდა 220 წლის წინათ, 1803 წელს.

რაც მოხდა 220 წლის წინათ

დედოფლის გადაწყვეტილება



სახულის სატი.
მარიამ დედოფალი და გიორგი XII

გიორგი XII (ერეკლე II-ის ვაჟი) გარდაიცვალა გამეფებიდან 2 წლის შემდეგ. ეს მოხდა 1800 წლის 28 დეკემბერს. დაქვრივებულ მარიამ დედოფალს 7 ობოლი დარჩა. ქვეყანაშიც ურთულესი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება იყო: სახელმწიფო დაესუსტებინა სეფიანური ირანისა და ოსმალეთის მუდმივ შემოტევებს.

ამასთან, რუსეთსაც თავისი ინტერესები და ავი ზრახვები ჰქონდა. 1800 წლის 18 დეკემბერს, როცა გიორგი XII ჯერ კიდევ ლოგინად იყო ჩავარდნილი, რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა ხელი მოაწერა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტს (გუბერნიის უფლებით).

გამჭრიახი და მტკიცე ხასიათის დედოფლისთვის ნათელი გახდა, რომ სანამ მეფის ნეშტს მიწას არ მიაბარებდნენ, სამეფო გაუქმებულად არ ჩაითვლებოდა. ამიტომ, სხვადასხვა მიზეზით მარიამ დედოფალმა გადადო თანამეცხედრის დაკრძალვა.

გიორგი XII დაიკრძალა გარდაცვალებიდან მხოლოდ 2 თვის შემდეგ, 1801 წლის 20 თებერვალს.

რუსეთის იმპერიის ქართველმა სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწემ, საქართველოს პირველმა მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა (იგივე პავლე ციციშვილმა, მარიამ დედოფლის შორეულმა ნათესავმა) მთავრობა დაარწმუნა, რომ, ვიდრე სამეფო ოჯახის წევრები ქვეყანას არ დატოვებდნენ, აქ წესრიგი არ დამყარდებოდა. მან ისიც შეიტყო, რომ დედოფალს შეილებთან ერთად ფშავ-ხევსურეთში უნდოდა გაპარვა.

ალექსანდრე I-ის მანიფესტი



მარიამ დედოფალი (ციციშვილი)
საქართველოს უკანასკნელი დედოფალი

1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის ახალმა იმპერატორმა – ალექსანდრე I-მა რუსეთთან საქართველოს შეერთების მორიგ, ვრცელ მანიფესტს მოაწერა ხელი (პავლე I მალევე სასახლის შეთქმულების მსხვერპლი გახდა).

როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რაკი „რუსეთის მთავრობამ იცოდა, რომ საქართველო ამის გამო აღშფოთებული იქნებოდა, შვიდი თვის განმავლობაში ამ მანიფესტს საქართველოში არ აცხადებდა“.

მართლაც, 1802 წლის 12 აპრილს, პირველი მანიფესტის გამოქვეყნებიდან ზუსტად 7 თვის შემდეგ, ქართული სახელმწიფოს ანექსიის მორიგი მანიფესტი ქართველ დიდებულებს გააცნეს სიონის ტაძარში. იმ დღეს ეკლესია რუსის ჯარით ყოფილა აღყაშემორტყმული.

...ჩამონოლილა სამარისებული სიჩუმე. ბევრს ხმლისკენ წაუღია ხელი...

რუსი ოფიცრის მკვლელობა სასახლეში

1803 წლის გაზაფხულზე ციციანოვმა წერილით აცნობა მარიამ დედოფალს, რომ მას შვილებთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა სასახლე და გამგზავრებულიყო რუსეთში. ქვრივის მტრებმა მთავარმართებელს მალევე აცნობეს, რომ დედოფალი რუსული პოლიტიკით უკმაყოფილო ძალებს აქეზებდა იმპერიის წინააღმდეგ. ამ ცნობამ გადაგვარებული ქართველი ციციანოვი განარისხა და შესაბამისი განკარგულებაც გასცა...

მართლაც, 1803 წლის 19 აპრილს, გამთენიისას, რუსმა ჯარისკაცებმა გენერალ-მაიორის – ივანე ლაზარევის ბრძანებით ალყა შემოარტყეს დედოფლის სასახლეს. დედოფალსაც და ბატონიშვილებსაც ჯერ ისევ ეძინათ. რუსი ჯარისკაცები შეცვივდნენ მარიამ დედოფლის საძინებელში, სადაც ის მცირეწლოვან შვილებთან ერთად იმყოფებოდა.

აღნიშნული ფაქტის შესახებ ოფიციალურ ვერსიას გვამცნობს თბილისის კომენდანტი – მაიორი დავით სააკაძე:

„ამ თვის 19 რიცხვს, დილის 6 საათზე... დედოფალ მარიამის რუსეთში გასასტუმრებლად გენერალ ლაზარევის მითითებით გამოვცხადდით სასახლეში... ქართული ენის მცოდნე კვარტირ-მეისტერ* სუროკოვს ვუბრძანე, დაეყოლიებინა იგი (დედოფალი – რედ.) რუსეთში წასვლაზე. სუროკოვის, ასისტავ კრიმოვისა და სურგუნოვის გარდა, მე და იქ მყოფი დანარჩენი ოფიცრები გარეთ გამოვედით... ამ დროს კვარტირ-მეისტერი სუროკოვი მივიდა დედოფალთან ახლოს, რომ ბატონიშვილმა ჯიბრაილმა და მეფის ასულმა თამარმა ამოიღეს კაბის ქვეშ დამალული შიშველი ხანჯლები და ეცნენ სუროკოვსა და ოთახში მყოფ სხვა ოფიცრებს გარეთ გამორეკად. ლაზარევმა გაიგონა ხმაური, შევარდა ოთახში და მივარდა თავის ქვეშაგებში მჯდომ დედოფალს. უცებ დედოფალმა საბნის ქვეშ დამალული ხანჯალი ამოიღო და მარცხენა გვერდში დასცა. **გენერალ-მაიორმა ლაზარევმა ოთახი გაირბინა და ზღურბლზე დაეცა მკვდარი**“.**



მარიამ დედოფლის საძინებელი. გენერალ-მაიორ ივანე ლაზარევის მკვლელობა

სუროკოვმა იძრო თურმე ხანჯალი და რამდენჯერმე დაჰკრა დედოფალს.***

* * *

რამდენიმე დღეში დაჭრილი მარიამი ამაღლასა და შვილებთან ერთად სასწრაფოდ გაუყენეს რუსეთისაკენ მიმავალ გზას. **მარიამ დედოფალი ბელგოროდის ერთ-ერთ მიყრუებულ მონასტერში გაამწყესეს „ცოდვების მოსანანიებლად“.**

დედოფალი დიდხანს დარჩა იქ. ბელგოროდის მაღალი საზოგადოება თავად ცდილობდა მასთან შეხვედრასა და ურთიერთობას. მარიამ დედოფალი კი ცდილობდა, დაემტკიცებინა თავისი უდანაშაულობა, რათა მისთვის ჯერ პეტერბურგში გადასვლის, მერე კი სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცათ. მას მხოლოდ 8 წლის შემდეგ „ეპატია“ დანაშაული და ჩაიყვანეს მოსკოვში.

ღრმად მოხუცებულიც ოცნებობდა, დაბრუნებულიყო საქართველოში, თუმცა ეს არ ეღირსა. მხოლოდ 1849 წელს, უკვე ლოგინად ჩავარდნილმა მარიამ დედოფალმა, საქართველოში დაბრუნების უფლება მიიღო. მაგრამ ყველაფერი გვიანი იყო: იგი გარდაიცვალა.

ქართველი დიდებულების თხოვნითა და რუსეთის საიმპერატორო კარის თანხმობით, მარიამ დედოფლის ნეშტი მოსკოვიდან საქართველოში გადმოსვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს სვეტიცხოვლის ტაძარში, წმინდა სავანეში, ერთგული თანამეცხედრის – გიორგი XII-ის გვერდით.

* – უბაჟის ოფიცარი. ** – არსებობს მკვლელობის არაოფიციალური ვერსიაც: თითქმის ლაზარევი დაჭრა იქვე მყოფმა თავადაზნაურობის წევრმა. *** – თუმცა ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი წერს, რომ „თვით დედოფალი დასჭრა... სოფელმა კაჭაჭიშვილმან“.

სოხუმთან, აფხაზეთიდან დევნილების გარდა, ყველას რაღაც აპავეპირებს; თითოეული სიტყვით, მოგონებით მათ თავიანთი აფხაზეთი უყვართ და ენატრებათ.

ჰოეტი და მთარგმნელი ნინო ქუთათელაძე ნარილში „პაპაჩემი“ გვიამბობს თავის წინაპრებსა, გავშვობის იმ ლამაზ, უზრუნველ წლებზე, რომელიც მან გაატარა სოხუმში.

ავტორთან ერთად თითქოს ვმომგზავრობთ მონატრებული ქალაქის ქუჩებსა თუ ღირვესანივნავ ადგილებში, თითქოს ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ნაცნობი კადრები: სანაპირო, გოტანიკური ბაღი, სტადიონი...

ნინო ქუთათელაძე სათუთად ინახავს საყვარელი პაპის ხსოვნას; ოცნებობს, ზერად-ზერადი ყვავილები მიიტანოს წინაპრების საფლავზე. მას ხომ „სამშობლოს ის მიწაც უყვარს, მათ რომ გულზე აყრიათ“.

პაპაჩემი

ნინო ქუთათელაძე

მე რომ დავბადებულვარ, დედაჩემის მამა, წარმოშობით ქართლელი, უკვე გარდაცვლილი ყოფილა (დაღუპულა გადასახლებაში). ჩემს იმერელ ბაბუას, უკეთილშობილეს კაცს, გიორგი ქუთათელაძეს უთქვამს დედაჩემისთვის: „ისე დამიძახოს, როგორც მამაშენს დაუძახებდა, მე ისიც მეყოფა, მას რომ ვხედავ და ვხარობ“. ჰოდა, მეც ჩემს ბაბუას პაპას ვეძახდი, როგორც ქართლში იცინან.



პაპაჩემს, გიორგი ქუთათელაძეს, ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ოდესის უნივერსიტეტში ჩაუბარებია საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, ხოლო 4 წლის შემდეგ, 1918 წელს თავისუფალ საქართველოში დაბრუნებულა. ქუთაისში გაუცვნია თავისი მომავალი მეუღლე, მამიდასთან სტუმრად მყოფი ობოლი ბერძენი გოგონა, შემდგომში ჩემი ბებო. რადგან პაპას და სოხუმში იყო გათხოვილი, ხოლო ბებიას მეორე, საკმაოდ დიდი ქონების მფლობელი, მარტოხელა მამიდა ალექსანდრაც იქ ცხოვრობდა (სანაპიროზე რამდენიმე საკონდიტრო მაღაზია ჰქონია), ახალშექმნილი ოჯახი აფხაზეთში გადასულა საცხოვრებლად.

ცოტა ხანში განათლების კომისარიატს პაპა, როგორც უმაღლესი განათლების მქონე წარმატებული პედაგოგი, თეთრინყაროს რაიონში გაუგზავნია ჯერ კიდევ არარსებული ბავშვთა სახლის დირექტორად. პაპაჩემს უმოკლეს დროში ყველაფრისთვის შესანიშნავად გაურთმევია თავი და ობოლი ბავშვებისთვის საკმაოდ კარგი პირობები შეუქმნია. რაკი მამინ ქვეყანაში ყველას უჭირდა, შიმშილისგან რომ ეხსნათ, თურმე ეკონომიურად გაჭირვებულ მშობლებსაც კი მიჰყავდათ თავიანთი შვილები პაპას მიერ გამართულ ამ ბავშვთა სახლში.

შემდგომში ბავშვთა სახლი გადაუტანიათ მანგლისში. პაპას შრომისმოყვარეობით ამჯერადაც გამოუჩენია თავი და იქაურობა მალე კეთილმოუწყვია. თავიანთ შვილებთან ერთად რომ დაესვენათ, მანგლისში პაპასთან ხშირად ჩადიოდნენ ნათესავები. იქაურობას თურმე არც თუ იშვიათად სტუმრობდა პაპას ახლო ნათესავი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეც.

მანგლისში საინტერესო ცხოვრების მიუხედავად, პაპაჩემს გული მაინც სოხუმისკენ, თავისი სახლისკენ მიუწევდა. ამიტომ იგი, საკუთარი თხოვნის საფუძველზე, დააბრუნეს აფხაზეთში; ჯერ დანიშნეს სოხუმის მე-12 სკოლის დირექტორად, ხოლო 1943 წლიდან გადაიყვანეს მე-2 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლად, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

გაკვეთილების შემდეგ პაპა მთელი დღე თავის მიერ გაშენებულ პანია ბაღში მუშაობდა. თუმცა ეს ბაღი კი არა, ბაღნარი იყო. პაპა ტოტს ტოტზე ამყნობდა, ფერს ფერს უხამებდა. იქაურობა ზღაპარს ჰგავდა. მოგვიანებით, როცა ჩვენი სახლის ადგილას მრავალსართულიანი კორპუსის აშენება გადამწყდა, სოხუმის ბოტანიკურმა ბაღმა თავისთვის შეისყიდა რამდენიმე იშვიათი მცენარე.

პაპას სკოლისა და შრომის გარეშე ვერ წარმოედგინა სიცოცხლე. არდადეგებზეც კი ბავშვებს ამეცადინებდა სხვადასხვა საგანში. პაპას ყველა პატივს სცემდა; სოხუმში მას თითქმის ყველა იცნობდა და ესალმებოდა. როცა პაპას ხელჩაჭიდებული მივყავდი სკოლაში და სხვებს ჩემზე ეუბნებოდა, ჩემი შვილიშვილიაო, გული სიამაყით მევსებოდა. პაპასთან ერთად ხშირად მივდიოდი სტადიონზე, სადაც მისი მოსწავლეები ვარჯიშობდნენ. მათ შორის იყო ჩვენი სახელოვანი მომღერალი ზურაბ სოტკილავა.



სახლში გვექონდა უამრავი წიგნი და ფირფიტა, რა თქმა უნდა, პატეფონიც. საღამოობით მე და პაპა ან მუსიკას ვუსმენდით, ან წიგნს ვკითხულობდით: მე – სახლის კიბეზე დასკუპებული, პაპა კი ოთახში, მაგიდასთან მჯდარი.

პაპაჩემს ხშირად მივყავდი სანაპიროზე ნაყინის საჭმელად, იშვიათად კი – ბოტანიკურ ბაღში და მაიმუნთსაშენში. პაპას მაინცდამაინც არ უყვარდა მაიმუნთსაშენში სტუმრობა, ეცოდებოდა მაიმუნები ამბობდა, ადამიანი ცხოველს ასე არ უნდა ეპყრობოდესო. ბოტანიკურ ბაღში კი ორივენი ძალიან ვხალისობდით. მე ვეკითხებოდი, რომელი რა ყვავილი იყო, ისიც სიამოვნებით მპასუხობდა. პაპამ ხომ ყველა მცენარის ლათინური დასახელება იცოდა!

პაპაჩემი – გიორგი ქუთათელაძე ასეთი დამამახსოვრდა: სათვალისგან მბრწყინავი ცისფერი თვალებით, თეთრი კიტელით, განკურიალებული ტილოს ფეხსაცმლითა და ჩემთვის მაგრად ჩავლებული ძლიერი ხელით...

ახლა ერთადერთი სურვილი შემომრჩა – ოდესმე ფერად-ფერადი ყვავილები მივიტანო ჩემი პაპას, ჩემი წინაპრების საფლავზე. მე ხომ ჩემი სამშობლოს ის მიწაც მიყვარს, მათ რომ გულზე აყრია!

ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ დროს თან მიჰყვება ათასების ხსოვნა და ისტორიას ქნადად თუ შემორჩება ვინმეს სახელი. XIX ს.-ში მცხოვრები ბარბარე დანელიას ხსოვნაც სამარადისოდ მიეცემოდა დავიწყებას, რომ არა უცხოურ პრესაში მასზე დაგეგმილი კუბლიკაციები.


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის კავლიკა ჯაგუშენას ნერილით „კავკასიელი დორა კოქსი – ბარბარე დანელია“ ვეცნობით ერთი ქართველი ქალის ცხოვრებას, რომელიც, ბედის უკუღმართობამ, ყაჩაღად აძცია. ამავე დროს, ვეცნობით იმდროინდელ ქართულ რეალურს, სადაც ზოგიერთს უსამართლოა. საქართველოში აზრებობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება სწორედ ამან განაპირობა.

კავლიკა ჯაგუშენამ უცხოურ და ქართულ პრესაში უამრავი ცნობა მოიპოვა ბარბარე დანელიას შესახებ და გააცოცხლა საუკუნის წინ სამარტლოში მცხოვრები ყაჩაღი ქალის ხანმოკლე, ფართარაკებით აღსავსე თავგადასავალი. ვფიქრობთ, ექსკლუზიურად მოაოვებულ მასალა და მასზე დაყრდნობით დანერილი კუბლიკაცია გულბრილს არ დატოვებს გკითხვალს.

კავკასიელი დორა კოქსი* – ბარბარე დანელია

კავლიკა ჯაგუშენა

ბანქალი ყაჩაღები



ამონარიდი 1898 წლის ქართული გაზეთიდან „ცნობის ფურცელში“

XIX ს.-ის მინურულს საზღვარგარეთული, განსაკუთრებით კი, ამერიკული და ევროპული პრესის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ქუთაისის გუბერნიის სოფელ ბანქაში მცხოვრები ქართველი ქალი ბარბარე დანელია, რომელმაც სახელი გაითქვა ყაჩაღობით. ხშირ შემთხვევაში, უცხოურ პრესაში მისი ისტორიები გაზვიადებული და რომანტიზირებული იყო, მაგრამ, როგორც გაირკვა, სინამდვილესაც შეესაბამებოდა. ქართულ წყაროებში ბარბარე დანელიას შესახებ მწირი ინფორმაცია განპირობებულია იმდროინდელი ქართულენოვანი საინფორმაციო საშუალებების სიმცირით. მის შესახებ ქართულ პრესაში დაბეჭდილი რამდენიმე ცნობა რომ ხელთ არ გვექონდეს, ბარბარე დანელიას რეალური არსებობა, ალბათ, ეჭვქვეშაც დადგებოდა. მით უმეტეს, რომ სოფელ ბანქას ადგილობრივთა მეხსიერებაში არ არის შემონახული მეგრელი ყაჩაღი ქალის ისტორიები.*

მაგრამ 1898 წლის 5 სექტემბრის „ცნობის ფურცელში“ შავით თეთრზე ასეთი რამ წერია: „თითქმის 10 წელიწადზე მეტია, რაც ერთი ქალი ბარბალე დანელიას ასული ქურდობს და ყაჩაღობს. ბარბალა დანელიას ქალი 35-40 წლის ქალი იქნება და თავზარს სცემს სოფელელებს. რამდენი თავმომწონე ყმანვილი ჩამოუხტუნებია ცხენიდან და გაუძარცვავს, რამდენი ავქალობა ჩაუდენია და სასამართლოებში ჰქონია საქმე, მაგრამ ყოველთვის გამომძვრალა და არხეინად დათარეშობს სოფელ-სოფელ სხვის ნაშრომის მისათვისებლად.“

საკვირველი ის არის, რომ გამოენყობა ჩოხა-ახალუხით, წულა-მესტით, ქამარ-ხანჯლით და ვერავინ ცნობილობს. წულა-მესტი ყოველთვის აცვია, მაშინაც კი, როდესაც ქალურად აცვია“ (სტილი დაცულია პ.ჯ.)

დაახლოებით ასეთივე ინფორმაციას ავრცელებს გაზეთი „ივერიაც“, რომელიც ეხმაურება უცხოური პრესის დაინტერესებას ქართველი ქალის მიმართ.

საბოლოოდ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბარბარე დანელია ნამდვილად არსებობდა და ცხოვრობდა იმ დროისთვის საქართველოში ქურდობა-ყაჩაღობით ცნობილ სოფელ ბანქაში.**

სავარაუდოდ, ბარბარე დანელია დიდი თავსატეხი იყო რუსული ჟანდარმერიისთვისაც; თუმცა, მას, რომელიც კბილებამდე შეიარაღებული დასდევდა ყაჩაღ ქალს, 10 წელი დასჭირდა მის გაუვნებელყოფას.

* – ბანქას თემი რამდენიმე სოფალს მოიცავდა, რაც ცდებდა თანამედროვე სოფელ ბანქას არააღს.

** – ქართული პრესის ცნობით, ბანქალები ალაშიანს თვალში ბენჯს მოპარავნენ, სოლო დაძინებულ ჩიტს ფრთავს ამოაყლიან.

„ყაჩაღების დედოფალი“

ერთ-ერთი პირველი სტატია ბარბარე დანელიას შესახებ დაიბეჭდა 1898 წლის 15 ოქტომბერს გაზეთში „The Indianapolis Times“. თავდაპირველად ავტორი გვიყვება სანკტ-პეტერბურგში მომუშავე გაზეთ „London Telegrafis“-ის კორესპონდენტის პუბლიკაციაზე, რომელშიც მოთხრობილია რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიაში მცხოვრები ყაჩაღი ქალის – „ბარბარე დანელიას ამბები“. ამის შემდეგ თავადაც განაგრძობს თხრობას: „ის დაახლოებით 10 წლის წინ გაუჩინარდა თავისი მშობლიური სოფელ ბანძადან და ამის შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით ყაჩაღობს. გარდა ამისა, ეს ქალბატონი არის ერთ-ერთი ყველაზე არტისტული მხედარი იმ ქვეყანაში, სადაც არიან საუკეთესო მხედრები, რომელთა მსგავსი ნახვაც სხვაგან გაგიჭირდებათ... მას შეუძლია, საკმაო შორი მანძილიდან ტყვია მოარტყას რუსული ვერცხლის მონეტას, რომელიც უფრო პატარაა, ვიდრე ჩვენი 6-პენსიანი მონეტა... ბარბარე დანელია ქართველია და მისი სილამაზე წარმოსადგენად უფრო მარტივია, ვიდრე აღსაწერად. ის ძალიან პოპულარულია თავის ხალხში, მის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული ღარიბ მოსახლეობას გააჩნია.“



ფოტონახატი 1898 წლის ამერიკული გაზეთიდან „ჰვირის ჰურიანი“

ერთ-ერთი ირლანდიური გაზეთი „Freeman`s Journal“ სათაურით „ყაჩაღების დედოფალი“ ვრცელ სტატიას უძღვნის ბარბარე დანელიას და ყურადღებას ამახვილებს სწორედ უბრალო ხალხისადმი მის სიყვარულზე. წერილის ავტორი ქართველ ყაჩაღ ქალს მოიხსენიებს თანამედროვეობის რობინ ჰუდად, რომელიც ნაძარცვს ხშირად უნანილებს ღარიბებსაც.

ინდიანას შტატის ქალაქ კოკომოს გაზეთი ყაჩაღი ქალის შესახებ საინტერესო ისტორიას ჰყვება: „ბარბარე 35 წლისაა, არის ძალიან ლამაზი და აქვს საინტერესო ცხოვრება. 4-ჯერ, 5-ჯერ იყო დაჭერილი, თუმცა მუდამ იღბლიანი იყო. ერთხელ ღამით მისი საპყრობილის კარი მოულოდნელად გაიღო; მისმა მეგობრებმა ის დაიხსნეს. ერთხელ კი ბარბარე თავის დამატყვევებელს შეჰყვარებია და ციხიდან გაუთავისუფლებია“.

„მომხიკვლელი მქარცველი“

როგორც წყაროები იუწყებიან, XIX ს.-ის ბოლოსა და XX ს.-ის დასაწყისში კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, დიდად გავრცელებული ყოფილა ყაჩაღობა. უცხოური გაზეთები ასე წერდნენ ყაჩაღების საქმიანობაზე: „თუკი დაყაჩაღებას დაგიპირებენ, უნდა დაემორჩილოთ დამყაჩაღებელს და ამოატრიალოთ ჯიბეები... დარჩეთ იმავე ადგილას... მანამ, სანამ ისინი არ მიიმალეებიან. თუკი არ დაემორჩილებით, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდებით.“

ბარბარე დანელია დაყაჩაღებისას ძალიან თავაზიანი ყოფილა, თავის მსხვერპლს ღვინოსაც კი სთავაზობდა თურმე და ბოდიშს უხდიდა მომხდარი უსიამოვნებების გამო.

ერთ-ერთი გაზეთი ხაზს უსვამს ბარბარეს სიძლიერეს: „მას უყვარს საქმეზე მარტო წასვლა და სულაც არ უჭირს იარაღიანი მამაკაცების დაყაჩაღება... ის კარგად ჩაცმული ჯენლტმენივით გამოიყურება, არის ძალიან ზრდილობიანი, მოიხდის ქუდს, კულტურულად მოგესალმებათ და მოგინოდებთ, რომ გამოემშვიდობოთ თქვენს ცხენს, ფულს და ძვირფასეულობას.“



გაზეთ „ინდიანა პოლისის“ ერთ-ერთი ნომერი. XX ს.-ის დასაწყისი

გაზეთი „The Philipsburg Mail“ ასეთი ეპითეტებით ამკობს ბარბარე დანელიას: „ბარბარე დანელია არის რუსული კავკასიის დორა კოქსი, გამოირჩევა შარმითა და ზრდილობით, მისი საუბარი სასიამოვნოა მოსასმენად.“

დორა კოქსი, სხვა ყაჩაღი ქალების მსგავსად, დიდ ინტერესს იწვევდა ამერიკელ ხალხში; ამდენად, დორა კოქსის შედარება ბარბარე დანელიასთან, გარკვეულწილად, დიდი ინტრიგა იყო მკითხველის მოსაზიდად. მათ შორის მსგავსება მართლაც დიდია: ბანძელ ყაჩაღ ქალს, ისევე, როგორც მის ოკლაჰომელ „კოლეგას“, ხშირად ხედავდნენ მამაკაცურად, მოკლედ შეჭრილი თმებითა და კაცის სამოსში გამოწყობილს. ასე რომ, ორივენი უცერემონიოდ არღვევდნენ იმ დროისთვის საზოგადოებაში გაბატონებულ აზრს ქალისა და კაცის ჩაცმულობის შესახებ (სტატიას თან ახლავს ქალის 3 სურათი).

დასავლური პრესა ხაზს უსვამს საინტერესო ფაქტს: თუ აქამდე ყაჩაღთა საქმიანობა სისხლიანი იყო, ბარბარე დანელია ჰუმანური ყაჩაღია და მისი გავლენით სისხლი თითქმის არ იღვრებო.

ვაშინგტონის გაზეთი „The Times“ სათაურით „მომხიბვლელი მძარცველი“ ასე წერს: „ადრე აქ მოხვედრისას შეიძლება უთავოდ დარჩენილიყავით, მაგრამ დღეს სისხლი ნაკლებად იღვრება... კარგად ჩაცმული „ჯენლტმენი“... ზედმეტი დისკომფორტის გარეშე დაგტოვებთ ფულის, ცხენის და ძვირფასეულობის გარეშე... ცოტა ხანში კი ისევ დაინახავთ ამ ქალბატონს, რომელიც თქვენკენ მოაჭენებს ცხენს, ქუდს მოიხდის და ბოდიშს მოგიხდით მომხდარის გამო... ეს ზრდილობიანი ქალბატონი, რა თქმა უნდა, არის ბარბარე დანელია.“



ფოტონასატი 1898 წლის ამერიკული გაზეთიდან „ჰვირის ჰურიერი“

გულუი ჩაკეტილი საიდუმლო

„ეს ნუთისოფელი არავის შერჩენია და არც ჩვენს „ლომ-კაც-ქალას“ შერჩა,“ – ამცნობდა 1898 წლის დეკემბერში გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ქართულ საზოგადოებას ბარბარე დანელიას სიკვდილის შესახებ. როგორც ჩანს, ჟანდარმერიის 10-წლიანმა დევნამ შედეგი გამოიღო და მორიგი დაყაჩაღებისას აბრაგი ქალი სიცოცხლეს გამოასალმეს.

პუბლიკაცია ასე გრძელდებოდა: ... „როდესაც იგი ყაჩაღად გავარდა ველ-მინდორში, ამბობდა, მე უნდა მოვკვდე ვაჟკაცურად, გამგმირავს ოდესმე თოფ-ხმალ-ხანჯალი და მოულოდნელად შეიტყობს ყველა ჩემს სიკვდილსო... ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ეს ყაჩაღი ქალი სამეგრელოში დათარეშობდა, მაგრამ უკანასკნელ წუთამდე არასდროს შეხვედრია ხიფათსა... ცხენზე ფდომა იცოდა საოცარი, იარაღსაც ხმარობდა, როგორც მეომარი, იყო სწრაფი და მარჯვე. მისი ბღვიალა თვალები უნებლიედ კაცს შეაშინებდა.“

არავინ იცის, როგორი იყო ყაჩაღობამდე ბარბარე დანელიას პირადი ცხოვრება, რამ განაპირობა მისი ყაჩაღად გავარდნა, სოფელ ბანძადან მისი გაუჩინარება; ამაზეც ძუნწად, მაგრამ ხატოვნად წერს უცხოური პრესა: „ეს საიდუმლო მის გულში იყო ჩაკეტილი.“

მისუქუ* კანეკო – „ქარის ზარებივით“ მონაკრიალ

მარიამ ნიკლაური

იაპონელი პოეტი მისუქუ კანეკო (ტერი კანეკო) დაიბადა 1903 წლის 11 აპრილს იაპონიაში მეთევზეთა დაბა სენძაკიში. ჯერ კიდევ 20 წლის მისუქუმ, მუშაობა დაიწყო ქალაქ შიმონოსეკის** ნიგნის პატარა მაღაზიაში (დედამისი იყო მფლობელი). მისუქუს ძალიან უყვარდა წიგნები, თავადაც ბავშვობიდან წერდა ლექსებს. მისი ლექსები პირველად გამოქვეყნდა 1923 წელს. შემდგომ ოთხი იაპონური საბავშვო ჟურნალი უკვე სისტემატურად ბეჭდავდა ნიჭიერი ახალგაზრდის ნაწარმოებებს. მისუქუ კანეკო შეაფასეს, როგორც „ახალბედა იაპონელ საბავშვო პოეტებს შორის ყველაზე დიდი ვარსკვლავი.“



მისუქუ კანეკო

1926 წელს, მისუქუს ნების საწინააღმდეგოდ, დედამ და გამზრდელმა ბიძამ გოგონა მიათხოვეს შეუფერებელ კაცს. არც შვილის გაჩენის შემდეგ შეუცვლია მისუქუს ქმარს ცხოვრების უზნეო წესი. მეტიც, მისუქუს წერა და ბეჭდვა აუკრძალა. შეურაცხყოფილი ქალი იძულებული გახდა, ქმარს გამოეყოფოდა. სამწუხაროდ, იაპონიის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უნდა გადასცემოდა იმ მშობელს, რომელსაც მეტი შემოსავალი ჰქონდა; ძირითადად, ესენი იყვნენ მამები. ამჯერადაც, პატარა გოგონა მამას მიაკუთვნეს. მისუქუ ბავშვთან ახლოს რომ ყოფილიყო, რაღაც დროით გამოიშვებოდა მეუღლის სახლშიც კი ცხოვრობდა. ბოლოს სასონარკვეთილებაში ჩავარდნილმა მისუქუმ დაწერა ანდერძი, სადაც ითხოვდა, ბავშვი გაეზარდა ბებიას (დედამისს); ამ უფლების მოსაპოვებლად პოეტმა თავი მოინამლა და 26 წლის ასაკში სიცოცხლე სუიციდით დაასრულა. მისი ანდერძი შეასრულეს. ასე, საკუთარი სიცოცხლის ფასად, გამოსტაცა მისუქუმ შვილი უზნეო მამას (თვითმკვლელობამდე პოეტმა სამ მოზრდილ რვეულში საკუთარი ხელით სათუთად გადანერილი 512 ლექსი ძმას გადასცა).

რაკი მისუქუს ახალი ლექსები არსად იბეჭდებოდა, პოეტის შემოქმედებაც საერთოდ გაქრა იაპონური ლიტერატურიდან.

მისუქუს გარდაცვალებიდან 40 წლის შემდეგ ძველ საბავშვო ჟურნალში მისი ერთი ლექსი „ილბლიანი თევზაობა“ შემთხვევით ნახა 19 წლის იაპონელმა პოეტმა სეცუო იაძაკიმ. იგი იმდენად მოიხიბლა ლექსით, გადაწყვიტა, გასცნობოდა მისუქუს შემოქმედებას; თუმცა, რაკი სხვა ლექსები ვერ მოიძია, პოეტის ახლობლების ძებნა დაიწყო. სეცუომ მხოლოდ 16 წლის შემდეგ, 1982 წელს მიაკვლია ტოკიოში მცხოვრებ მისუქუს ძმას; მასთან, ლექსების გარდა, ინახებოდა მისუქუს საოჯახო ალბომიც.

1984 წელს გამოიცა პოეტის ექვსტომეული. სეცუო იაძაკის ძალისხმევით გაიხსნა მემორიალური დაფა ნიგნის მაღაზიაში, სადაც პოეტი მუშაობდა. მისუქუ კანეკო ხელახლა აღმოაჩინა და შეიყვარა იაპონელმა ხალხმა; მის მელოდიურ ლექსებზე უამრავი სიმღერა შეიქმნა, გადაიღეს ბიოგრაფიული ფილმი, დაიბეჭდა მისი მარკა, გაიხსნა მისი სახელობის პარკები და ასე შემდეგ.

2011 წლის 11 მარტს, როცა იაპონიაში დიდი მიწისძვრა მოხდა, იაპონიისთვის მსოფლიოს თანადგომის სიმბოლოდ ტელევიზიებში მხოლოდ მისუქუ კანეკოს ლექსის „ეს ექო“-ს საფუძველზე გადაღებული ერთადერთი სოციალური რეკლამა ტრიალებდა.

2009 წელს გაეროს ეგიდით ჩატარებული „მრგვალი მაგიდა“*** მთლიანად მიეძღვნა მისუქუ კანეკოს შემოქმედებას.

პოეტის შემოქმედება გამსჭვალულია დიდი ჰუმანიზმით და ეფუძნება უძველეს იაპონურ რელიგიას – სინტოიზმს.

მისუქუ კანეკო არის ცოცხალი ავტორი, რომელსაც ყურს უგდებს მილიონობით მკითხველი; ყოველდღიურობის რუტინასა და აჩქარებულ რიტმში მისუქუს ლექსები ისევე წკრიალებენ, როგორც სიმშვიდისმომგვრელი იაპონური „ქარის ზარები.“

P.S. გადლოვა ლიტერატურათმცოდნე ნანა კუციას, ვინც მისუქუ კანეკოს პნაპარაფი მოგაწოდა.

უახლოეს საწავში ქართველი აკითხველი ნაიკითხავს მისუქუს ლექსებს ჩემს პოეტურ თარგმანებს.

აღსანიშნავია, რომ წაღს არის საიუბილეო, მისუქუ კანეკოს დაბადებიდან 120 წელი.



* – ნიშნავს „ოქროს ბავშვს“. ** – კუნძულ ჰონსიუს უკიდურესი სამხრეთი. *** – ექვსწევრიანი ქალთა როლს იაპონურ კულტურაში.

კანაკო მისუჰუ

ფუტკარი და ღმერთი

ყვავილის გულში – ფუტკარი,
ყვავილი – ბალის გულში,
ბალს ზღუდედ გალავანი აქვს,
თვალეებს ცქერას რომ უშლის.
ზღუდე – ქალაქის გულშია,
ქალაქი – ქვეყნის გულში,
ქვეყანა – მსოფლიოშია,
მსოფლიო – სამყაროში.
სამყაროს კი, სულ იოლადა
იპოვით ღმერთის გულში!

ეს ნიშნავს, ღმერთი ეტევა –
პანია მწერის გულში!



დღე და ღამე

დღეს ღამე მოსდევს,
ღამეს – დღე, და მეორდება ასე.

რა თვალთ გავწვდე ამ თოკის
უსასრულობის სახეს,
თავს სად მივაგნო, ან ბოლოს,
მნახველი როგორ გავხდე.



ყოყმანოვს ქარი

აყვავებულა ოსმანთუსის ზეთის ხე თეთრად,
მოტკბო სურნელით სავსეა არე.
ქარი შეყოვნდა ბალის კართან,
არ იცის, რა ქნას...
იქნებ, შესვლას კართან დგომა სჯობს?

მე, ჩიტი და ზანზალაკი

ხელები რომც ავიქნო,
ვერ ავფრინდები მაღლა.
ცაში ჩიტი ფრენს, მე მინდვრად
დავრბივარ მასზე სწრაფად.

ნიავზე ტანიც ვარხიო,
ხმას ვერ გამოვცემ ზარის.
ის ჩემს სიმღერებს ვერ იტყვის,
თუმც კი, ნკრიალებს ქარით.

მე, ჩიტი და ზანზალაკი – განსხვავებულნი ბევრად,
ერთმანეთს როდი ვუნუნებთ ხასიათსა და ენას?!



დადებული თოვლი

თოვლის თეთრი
ზედაპირი
ცივი მთვარის ცივ ნათელში გაყინულა, ბზინავს.

ძირს, სიღრმეში
წვალობს თოვლი,
ნაფეხურებს უქცევიათ ის მიწიან ფინად*.

შუა თოვლი
ვერც მიწას გრძნობს, ვერც ცას ხედავს,
თეთრი გული სტკივა...



სინათლისკენ!

სინათლისკენ!
სინათლისკენ!

ყველა ღერით, ბზკალით
სვით სინათლის წყალი!

სინათლისკენ!
სინათლისკენ!

შენც, პატარა ბალახო,
ბუჩქმა არ დაგაგლახოს!
სხივებს მოსდე ქანგი,
სინათლისკენ წადი!

და თქვენც, ღამის მწერებო,
აიქნიეთ ფრთები, რომც დაგენვათ, მაინც
გასწით ცეცხლის გზებით!

სინათლისკენ!
სინათლისკენ!

მზეს მოუხმეთ საშველად ქალაქელმა ბავშვებმა!
გაეჩქარეთ, სადაც
სივრცე გელით ისეთი, სინათლე რომ ატანს!

გლერკის ფოთლის სიბლერა

საით მიდიან ყვავილები,
როცა წყვეტენ მათ,
ტოროლები რომ დასტვენენ და
ადგათ ლურჯი ცა?

ქარი სადღაა? დამალულა,
ყვავილებს ერჩის,
გადამტვრეულ რტოს ბაღში მხოლოდ
ფოთლები შევრჩით.

ვგრძნობ, მეც მომწყვეტს, ერთ მშვენიერ დღეს,
ვცნობ მის ლამაზ ხელს.



* - ზინი - იატაკი



იჭლარის ხეობაში გურჯი ხათუნის მიერ აგებული ეკლესიის სატი, წმინდა გიორგითა და გურჯი ხათუნით

იჭლარის ხეობა ისტორიული კაბადოკიისა და დღევანდელი თურქეთის ცენტრალურ ნაწილშია. კლდეში ნაკვეთ 15 სხვა ძეგლთა შორის ამ ქრისტიანულ ეკლესიაში გამოსახულია წმინდა გიორგი, ხმლით ხელში. ხელმარჯვენზე ბიზანტიულ სამოსში გამოწყობილი ქალბატონი დგას, ეკლესიის მაკეტიტ ხელში. ეს მანდილოსანი თამარ მეფის შვილიშვილია, თამარ ბაგრატიონი, იგივე გურჯი ხათუნი. ის 13 წლის იყო, როცა 1236 წელს მიათხოვეს თურქ სულთანს, ხუსრევ II-ეს. საქორწინო პირობების თანახმად, როგორც სულთნის მესამე ცოლს, შეეძლო ქრისტიანად დარჩენა. იჭლარის ხეობაში ეკლესია გურჯი ხათუნს აუშენებია.

40 წლის წინათ, 1983 წელს სოხუმის ქართულ თეატრს მიენიჭა კონსტანტინე გამსახურდიას სახელი.

დავით აღმაშენებლის მეფობის დროს ჯაბან და ლაჩარ მეომრებს ქალის კაბას გადააცმევდნენ და „ვითარცა დიაცთა“, ჯარის წინაშე ჩამოატარებდნენ.

1904 წელს, ერთი და იგივე სახელწოდებით „ნაკადული“, გამოცემას იწყებს 2 დამოუკიდებელი ჟურნალი: „ნაკადული“ – საყმაწვილო ჟურნალი მოზრდილთათვის; ყოველთვიური, სურათებიანი (64 გვ.-იანი) და „ნაკადული“ – საყმაწვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის; ორკვირეული (24 გვ.-იანი); ტირაჟით – 3000-4000 ც. ორივე „ნაკადულის“ რედაქტორი იყო ღვანდემოსილი ქალბატონი – მარიამ დემურია. ჟურნალებში თანამშრომლობდნენ: აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ლეო ქიაჩელი, ნიკო კეცხოველი, ეკატერინე გაბაშვილი... 1927 წელს „ნაკადულმა“ (მცირეწლოვანთათვის) არსებობა შეწყვიტა. 1947 წელს ჟურნალ „ნაკადულს“ (მოზრდილთათვის) სახელი გადაერქვა და ეწოდა „დილა“. „დილას“ რედაქტორები იყვნენ: რევაზ მარგიაიანი (პირველი რედაქტორი), ირაკლი აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, მუხრან მაჭავარიანი...

წვიმას ქართულ ენაში 64 სახელი აქვს – საფურცლო (გაზაფხული წვიმა), თქორი (წვრილი წვიმა), ისხარი (ჩქარი წვიმა), ზესხმა (ძლიერი წვიმა), მანანა (რბილი წვიმა), მერეხი (თავსხმა წვიმა) და ა.შ.

ღმერთების სისხლს „იქორი“ ეწოდება.

ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი თედო სახოკია კარგა ხნის განმავლობაში აფხაზეთში ცხოვრობდა. 1903 წელს, 120 წლის წინათ ის წერდა: „აფხაზეთის მოსახლეობა აჭრელდა. გესმით რუსული, ბერძნული, სომხური... აფხაზეთის სანახავად მთელი 40 კილომეტრი და მეტი უნდა გაიაროთ... როგორ მოხდა, რომ მის კუთვნილ სუფრას სხვები მისხდომიან?“

თბილისში პირველი საზოგადოებრივი ტრანსპორტი – ცხენის ტრამვაი, იგივე კონკა, ამუშავდა 140 წლის წინათ, 1883 წელს. 1904 წელს ის ჩაანაცვლა ელექტროტრამვაიმ. ამბობენ, მისი პირველი მესაჭე, ანუ ვატმანი ყოფილა მიხაკა ქაცარავა.

სიცოცხლის მანძილზე პიკასომ შექმნა 20.000-მდე ტილო. დღეს მათი გასაყიდი თანხა 260 მლნ დოლარზე მეტია. პიკასო იყო ყველა ეპოქის ყველაზე მდიდარი მხატვარი.

მსოფლიოს ტბათა 60% მარტო კანადაშია. იქ 3 მლნ-ზე მეტი ტბაა.

პაპუა – ახალი გვინეა ის უცნაური ქვეყანაა, სადაც ადამიანები 820 სხვადასხვა ენასა და დიალექტზე საუბრობენ.

1845 წელს თბილისში ჩამოვიდა დაგეროტიპისტი* – ბარტე. მისი ჩამოსვლის შემდეგ ფოტოსურათების გადაღება ძალიან პოპულარული გახდა. გრიგოლ ორბელიანი ერთ წერილში თავის ბიძაშვილს – ყაფლან ორბელიანს სთხოვდა: „თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, დაეხატვინე დაღეროტიპსა და გამომიგზავნე შენი პორტრეტი“.

ეს უცნაური ნაგებობა, სახელწოდებით „როიალის სახლი“, აშენებულია ჩინეთში. როგორც ხედავთ, შენობას აქვს როიალის ფორმა, შესასვლელიც „მუსიკალურია“ – ის ვიოლინოს ფორმისაა, თანაც, გამჭვირვალე.



როიალის სახლი ჩინეთში

* – დაგეროტიპია – ფოტოგრაფირების ძველესი ხერხი. ის გამოიგონა ლუი ლაგერამ, 1839 წელს.

უკრაინა – ევროპის ყველაზე დიდი ქვეყანა

მას შემდეგ, რაც 2022 წლის თებერვალში რუსეთი უკრაინაში შეიჭრა და სრულმასშტაბიანი ომი დაიწყო, აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა ქვეყანამ მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება. მდიდარი ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის მქონე ხალხის ყოველდღიურებით დაინტერესდა პლანეტა, რამაც თურმე გაზარდა უკრაინული ენის დაინტერესებულებათა რიცხვიც.

უკრაინა სლავურად სასაზღვრო რეგიონს ნიშნავს. იგი, 603700 კვ.კმ. ფართობით, ევროპის ყველაზე დიდი ქვეყანაა. მისი მოსაზღვრე სახელმწიფოებია: რუსეთი, ბელარუსი, მოლდოვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი და რუმინეთი, ხოლო სამხრეთით აკრავს აზოვისა და შავი ზღვები. ქვეყნის მთავარი მდინარეებია დნეპრი და დნესტრი.

უკრაინის მოსახლეობა შეადგენს 45,4 მილიონს, რომელთა შორის 77,8% უკრაინელია, ხოლო 17,3% ეროვნებით რუსი. ასევე ცხოვრობენ ყირიმელი თათრები, მოლდოველები, უნგრელები, რუმინელები და ბელარუსები. ოფიციალური ენა არის უკრაინული, თუმცა რეგიონალური მასშტაბით აღიარებულია 18 ენა. ყველაზე გავრცელებული რელიგიაა მართლმადიდებლობა.

უკრაინული რუსულზე კვლევი ენაა. ის, რეალურად უკრაინული საეკლესიო ენიდან (საეკლესიო სლავურიდან) წარმოიქმნა და შემდგომში ლექსიკა გაამდიდრდა ფინური და თათრული ენებიდან შემოსული სიტყვებით.

ლავრას სტატუსი (უდიდესი მონასტერი) დადამინაზა ათამდე მონასტერს აქვს, სამი მათგანი უკრაინაშია.

ყველაზე კვლევი რუკა ნავოვინა უკრაინაში.

ნავოტის პირველი ნათურა შექმნას ღვთაება ფარგაცეცხება.

XIX ს.-ის მიწურულს, სამხრეთ აფრიკაში გაჩაღებულ ერთ-ერთ ომში უკრაინელმა ჯარისკაცმა იური ბუდინკამ გარდაუვალი სიკვდილისაგან იხსნა უცნოგი ინგლისელი ჟურნალისტი. ის უცნოგი ჟურნალისტი იყო... უინსტონ ჩერჩილი.

უკრაინა აწარმოებს 2-3-ჯერ მეტ თაფლს, ვიდრე ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო. ამასთან, უკრაინა ამ პროდუქტის მოხმარების მსოფლიო ლიდერია.

უკრაინას აქვს საკმაოდ მდიდარი ფლორა და ფაუნა – 45.000-ზე მეტი ცხოველითა და 27.000-ზე მეტი მცენარეული ჯიშით.

უკრაინული ფული – 200-გრივნინი კუპიურა, ლენია უკრაინის გამოსახულებით, არის ყველაზე ორიგინალური განაცხადი მსოფლიო ფულის კონსერვაციაში.

უკრაინაში იყო მსოფლიოში სიდიდით მესამე ატომური იარაღის არსენალი. 1996 წელს ქალაქ პერეკოპინსკის სარაკეტო ბაზიდან ბირთვული იარაღი გაიტანეს და მის აღმოჩენა დარგან მზახუშირები, რომელიც ქვეყნის ეროვნული სიმბოლოდ ითვლება. მზახუშირის წარმოებით უკრაინა მსოფლიოში პირველი ქვეყანაა; მას, ამავე დროს, „ევროპის კურის ბელეს“ ეკისრება.

უკრაინის დედაქალაქია კიევი. 1945 წლიდან უკრაინა არის გაეროს წევრი.

კვლევი წელთაღრიცხვიდან დაწყებული...

დღევანდელი უკრაინის ტერიტორია ოდითგანვე იყო დასახლებული. ძვ.წ.აღ.-ით 4500 წლის წინ აქ ყვავდა ტრიპოლის კულტურა. ვარაუდობენ, რომ უკრაინის ტერიტორიაზე დასახლებები ჰქონდათ ძველ ბერძნებსა და სკვითებს. ამიტომ ამ ადგილებისთვის მიმდინარეობდა მუდმივი ბრძოლები, ვიდრე შუა საუკუნეების დასაწყისში არ შეიქმნა მძლავრი სამეფო – „კიევის რუსეთი“.

ეს იყო პირველი სლავური სახელმწიფო, სადაც იშვა უკრაინა და რუსეთი. X-XI ს.ს.-ში დიდგვაროვნებმა სკანდინავიიდან მოიწვიეს ვარიანგები*, რომლებმაც სათავე დაუდეს პირველ სამეფო საგვარეულოს – რიურისების დინასტიას.

წყაროების მიხედვით, სკანდინავიელი რიურისი გახდა ნოვგოროდის ლეგენდარული მმართველი. რიურისითა დინასტია იწყება 862 წლიდან.

ორი ქვეყნის – უკრაინისა და რუსეთის საზიარო წარსული სწორედ ამ პერიოდიდან, დაახლოებით 1000 წლის წინ იწყება, როცა იშვა უკრაინაც და რუსეთიც.

კიევის სამთავროს „ოქროს ხანა“ უკავშირდება ვლადიმერ I დიდს, ნოვგოროდის მთავარს. მან 988 წელს მიიღო ქრისტიანობა და მერე ბიზანტიის იმპერიასთან ერთად მთელი ქვეყანა გააქრისტიანა (ცეცხლითა და მახვილით). მისმა შვილმა – იაროსლავ ბრძენმა ხელი შეუწყო მის კულტურულ და ეკონომიკურ აღმასვლას. უკვე კიევის დიდი მთავრის – ვლადიმერ მონომახის მეფობას (1113-1125 წ.წ.) მომდევნო თაობები სწორად მოიხსენიებენ, როგორც დიდებულ ხანას. მის სახელს უამრავი ლეგენდაც უკავშირდება. მონომახი დაკრძალულია კიევის წმინდა სოფიის ტრადარში.

კიევის რუსეთმა საფუძველი ჩაუყარა არა მხოლოდ უკრაინის, არამედ მთელი სლავური ტომების და, მათ შორის, რუსების განვითარებას.



კიევ-პეჩერის ლავრა – XI ს.-ის უნიკალური მონუმენტი

* – სკანდინავიელ მცხოვრებთა რუსული სახელწოდება; მიომარებიც, რომლებიც ბიზანტიის ჯარში მსახურობდნენ.



ბოგდან ხმელნიცკის კაზაკი კიევი

შემდგომ საუკუნეებში სლავებს მუდმივად უხდებოდათ ბრძოლა ხან მონღოლებთან, ხან მომხვედურ თათრებთან. შედეგად, კიევის რუსეთი დასუსტდა და დაიყო რამდენიმე სამეფოდ (XIII ს.).

მონღოლების განდევნის შემდეგ უკრაინის ამჟამინდელი ტერიტორიის ნაწილი ხან პოლონეთ-ლიტვას ჰქონდა დაპყრობილი, ხანაც ოსმალებსა და რუსეთს.

სწორედ მათ დაუპირისპირდნენ კაზაკები; ესენი იყვნენ ადგილობრივი გლეხები, რომელთაც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ზაპოროჟიელ კაზაკებს ეძახდნენ. ისინი გამოირჩეოდნენ ბრძოლის უნართა და გაბედულებით. მათი გამოსვლები მალე გადაიზარდა უკრაინის განმათავისუფლებელ ფართომასშტაბიან ომად, რომელსაც სათავეში ჩაუდგა დიდი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე ბოგდან ხმელნიცკი (1596-1657 წ.წ.). ომი დასრულდა კაზაკების სამხედრო-პოლიტიკური ალიანსით უკვე მოსკოვის რუსეთთან.

მდინარე დნეპრის აღმოსავლეთი მხარე „მარცხენა სანაპიროდ“ გახდა ცნობილი და ეს ტერიტორია რუსეთის იმპერიაში გადავიდა, დნეპრის დასავლეთი კი – „მარჯვენა სანაპირო“ პოლონეთის მიერ იმართებოდა.

1793 წელს დასავლეთ უკრაინა რუსეთის იმპერიის მიერ იქნა ანექსირებული. დაიწყო ე.წ. რუსიფიკაციის პროცესი, რომელიც ითვალისწინებდა აქ უკრაინული ენის აკრძალვას.

1917-1920 წ.წ. ჩამოყალიბდა უკრაინის სახალხო რესპუბლიკა, ხოლო 1922 წლიდან იგი საბჭოთა კავშირის ნაწილი გახდა.

ჰოლოდომორი

უკრაინისთვის ყველაზე ტრაგიკული აღმოჩნდა საბჭოთა პერიოდი. სტალინის რეჟიმმა მოაწყო უკრაინელი ხალხის გაუგონარი გენოციდი, რომელიც ისტორიაში ჰოლოდომორის (შიმშილით სიკვდილი) სახელითაა ცნობილი და რომელმაც 1932-1933 წლებში 5-დან 10 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეინირა. არის მოსაზრება, რომ წითლებმა, რომ დაეთრგუნათ უკრაინა, მშვიდობიანი მოსახლეობა შეგნებულად გაანადგურეს. მთავარი დარტყმა მიაყენეს უკრაინულ სოფლებს, გლეხებს, რომლებიც ინახავდნენ ეროვნულ ტრადიციებს.

სახელმწიფომ მარცვლეულის შესყიდვაზე დაანესა ფიქსირებული ფასი, რომელიც დიდად ჩამოუვარდებოდა საბაზრო ღირებულებას, რაც გლეხებმა გააპროტესტეს. ამის საპასუხოდ წითლებმა დაიწყეს შეძლებული გლეხების გაკულაკება, ფაქტობრივად, მათ საარსებო საშუალებების გარეშე ტოვებდნენ. როდესაც გლეხებმა იარაღი აიღეს ხელში, მთავრობამ მიმართა რეპრესიებს; მოსახლეობის ნაწილს ხვრეტდნენ, ნაწილს აციმბირებდნენ, ყრიდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში, საბოლოოდ კი, თითქმის ყველას ფიზიკურად ანადგურებდნენ. დაცლილ სოფლებში დაუმუშავებელი რჩებოდა მიწები, ვერ სრულდებოდა ხორბლის ჩაბარების გეგმა და გლეხები ე.წ. „შავ დაფაზე“* ხვდებოდნენ. ეს იყო განაჩენი. ცენტრალური ხელისუფლება არაფერს აკეთებდა შიმშილობის აღმოსაფხვრელად. იკრძალებოდა სიტყვა „ჰოლოდის“ (შიმშილი) ხსენებაც კი; ისტორიკოსებს შეეძლოთ, მხოლოდ ე.წ. „საკვების სირთულეებზე“ ესაუბრათ. სამწუხაროდ, ქვეყანაში დაფიქსირდა კანიბალიზმის** უამრავი შემთხვევა.

„სლავური ქალაქის დღა“



კიევის ცენტრი - მაიდანო

კიევის ისტორია დაახლოებით 1200 წელს ითვლის. იგი გაშენებულია მდინარე დნეპრის ორივე ნაპირზე. ოფიციალური წყაროებით, 882 წლიდან იგი არის რუსეთის კიევის დედაქალაქი. ვაჭრობისთვის ხელსაყრელი მდებარეობის გამო კიევი ოდითგანვე იზიდავდა სხვა ქვეყნებს. ქალაქი საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა გაერთიანების ცენტრი იყო; 1934 წელს გახდა საბჭოთა უკრაინის, ხოლო 1991 წლიდან დამოუკიდებელი უკრაინის დედაქალაქი.

ისტორიული ხელნაწერების მიხედვით კიევი დააარსა სამმა ძმამ: კიიმ, შუკმა, ხორივმა და მათმა დამ ლიბედმა. ქალაქს სახელი უფროსი ძმის – კიის პატივსაცემად დაერქვა. თავდაპირველად კიევი მხოლოდ სამთავრო კარისა და კოშკისგან შედგებოდა.

* - ართმევედნე ყველაფრის, აპრკალაზოლათ ნაზისიიერი საჰონლის ყიფვა-გაყიფვა. ** - ალაზიანის შუჟა.

არსებობს გადმოცემაც, რომ კიევის წარმოშობა დნეპრის ბორცვოვან ნაპირებზე ანდრია პირველწოდებულის მიერ იყო ნაწინასწარმეტყველები. კიევს უწოდებენ „სლავური ქალაქების დედას“. სწორედ კიევის გორაკის ძირას, მდინარე დნეპრის წყალში მოხდა მოსახლეობის პირველი მასობრივი ნათლობა.

კიევი ცნობილია თავისი ულამაზესი ბუნებით, პარკებით. საფრანგეთის პრეზიდენტს შარლ დე გოლს ქალაქის ნახვის შემდეგ უთქვამს: „ბევრი ბრწყინვალე პარკი მინახავს, მაგრამ პარკში გაშენებული ქალაქი ჯერ არ შემხვედრიაო“.

კიევის წმინდა სოფიას საკათედრო ტაძარი XI ს.-ში იაროსლავ ბრძენის დროსაა აგებული (იგი აქვეა დაკრძალული). მნიშვნელოვანია ღვთისმშობლის სახელობის კიევ-პეჩერის ლავრა.

კიევის სიმბოლოა წაბლის ფოთოლი. ცენტრშია თავისუფლების მოედანი, რომელსაც „მაიდანს“ უწოდებენ.

კიევი აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრია. ქალქში 27 მუზეუმი, 25 თეატრი და 70-მდე უმაღლესი სასწავლებელია.

ქრისტე აღდგა! – უკრაინა აღდგა!

უკრაინა მდიდარია ტრადიციებითა და წეს-ჩვეულებებით.

შობა უკრაინაში აღინიშნება ძველი სტილით 7 იანვარს. X ს.-დან იგი შეერწყა წარმართულ დღესასწაულს – კოლიადას. შობის ღამე განსაკუთრებულია; დღესასწაული სამ დღეს გრძელდება და მოიცავს საშობაო ლიტურგიებს, სიმღერებს, ნათესავების ერთმანეთთან სტუმრობასა და გართობას.

შობის წინა ღამეს იმართება „წმინდა ვახშამი“, მზადდება სამარხვო კერძები „კუტია“ და „უზვარი“, შობა დღეს კი ხსნილდება. ოჯახის ყველა წევრი ერთად იკრიბება. ბავშვები ასრულებენ კაროლის რიტუალს – დადიან სახლიდან სახლში, მღერიან და აგროვებენ საჩუქრებს.

უკრაინაში ყველაზე დიდ დღესასწაულად მაინც აღდგომა ითვლება. უკრაინელებისთვის ქრისტეს აღდგომა და უფლის ჭეშმარიტების გამარჯვება უკრაინის აღდგომას ნიშნავს. ამიტომ ტრადიციული სააღდგომო მილოცვა „ქრისტე აღდგა! – ჭეშმარიტად აღდგა!“ ხშირად ასე იცვლება: „უფალი აღდგა! – უკრაინა აღდგა!“ კვირა დილით კალათაში, ნაქარგ ხელსახოცზე აწყობენ კვერცხებსა და სხვადასხვა სანოვავებს და ეკლესიაში მიაქვთ განსაწმენდად, თან ღვთის სადიდებელ სიმღერებს ასრულებენ. პისანკა, შეღებილი სააღდგომო კვერცხი, ესაა უკრაინული რთული დიზაინის ორნამენტი, ქრისტიანული თუ წინაქრისტიანული სიმბოლოებით დატვირთული.



ჰირიის სავიზიტო პარატი – „მარცხლის გული“. აგებულია 1877-1878 წ.წ.

უკრაინაში ბევრი რიტუალია, რომელიც ემსახურება ავი სულების განდევნას. ამზადებენ ათასგვარ თილისმას, წარმოთქვამენ შელოცვებს. ივან კუპალას დღესასწაული ცნობილია თავისი მისტიკით. ამბობენ, თუ ამ დღეს იბანავებ ან ნამს დალევ, ყოველივე ცუდს ჩამოირეცხავ.

უკრაინაში დიდ პატივს სცემენ ფეხმძიმე ქალს, ბავშვის დაბადება კი განსაკუთრებული მოვლენაა. ახალშობილის პირველი ბანაობისას აბაზანას ნაკურთხი წყლით აბავებენ, ხოლო გოგონა ღამაზი რომ იყოს, წყალს ყვავილებს, თაფლსა და რძეს უმატებენ. თუ ახალშობილს სუსტი ჯანმრთელობა აქვს, სანრაფოდ ნათლავენ. სჯერათ, მშობლები ტრადიციებს თუ არ დაიცავენ, მათი შვილები მაქციებად გადაიქცევიან.

უკრაინაში ქორწინება იწყება მაჭანკლობით. სასიძო საცოლეს სახლში მიდის რამდენიმე ახლო ნათესავ მამაკაცთან ერთად, თან მიაქვს პური და ჯოხები. ამ დროს გოგონა ღუმელთან ფუსფუსებს; თუ ქორწინებაზე თანახმაა, ჭრის საქმროს მიერ მიტანილ პურს.

ქორწილი იწყება ყვავილების შეგროვებით, თაიგულებისა და გვირგვინების დანვნით. ცხვება საქორწილო ღვეზელი – კარავაი. ნამცხვარს ქორწინებაში ბედნიერი ქალები აცხობენ, თან მღერიან და ხუმრობენ.

უკრაინული ტრადიციული ჩაცმულობის ნაწილი არის ვიშივანკა, ანუ ნაქარგიანი პერანგი. ზოგადად, ნაქარგები, ნაქსოვები და მაქმანები გამოიყენება ტრადიციულ ხალხურ თუ სადღესასწაულო სამოსებში.

უკრაინა საოცარი ქვეყანაა თავისი კულტურით, სიძველეებითა თუ სინმინდებებით; იგი ცნობილია ზღაპრული ციხე-სიმაგრეებით, ულამაზესი ველური ბუნებით და რაც მთავარია, კეთილი, სტუმართმოყვარე ხალხით.

თავისი არსებობის მანძილზე უკრაინა იბრძოდა თავისუფლებისთვის, გადარჩენისთვის და ახლაც იბრძვის. და, როგორც ყოველთვის, ახლაც ღირსაუღადაუ გაუმკლავდება იმპერიული მიზნებისგან თავს დატანულ აგრესიას და აღდგაა ფარფლისგან.

გულბის მოღარაჯი

ნანა ჭანტურიანი

ბატონ ნოდარ ემუხვარიანი შეხვედრამ დამარწმუნა მარტივ ჭეშმარიტებაში: როცა ქალიან გავრისთვის პატივსაცემ პიროვნებასა და სამედიცინო საზოგადოებისთვის აღიარებულ მეცნიერს ვირვალად შენც გაიცნობ, ალბათ, ცოტა ხნით მაინც გაქვს შეგრძნება, რომ შენც ერთზე მეტი აღამიანი ხარ. შთაბეჭდილი იყო ბატონ ნოდართან ვიზიტი, საუბარი, კეთილშობილებისა და უბრალოების „საჩვენებელ გაკვეთილზე“ დასწრება, იმის გაცნობიერება, რომ ღირსება სახელოვანი აღამიანის ყველაზე დიდი, კეთილი ნიჭია.

არსებობის 26 წლის მანძილზე ჟურნალ „იალქანს“ სტუმრობდნენ ქალბი სანიტარის რესპონდენტები; ძირითადად, ხელოვნების დარგის მუშაკები. „იალქანს“, ასე ვთქვათ, ვირვალე მკურნალი ბრძანდება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის წევრი, კლინიკა „ჰელსიკორის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი – ნოდარ ემუხვარიანი.

„კარგად დანერგული სამედიცინო ისტორია აღამიანის ბიოგრაფიაა“, – ამოვიკითხე ერთ-ერთი ბლოგარის კოსტზე. ეს ისტორიები კეთილშობილი „ეჩი-ბიოგრაფის“ – ნოდარ ემუხვარის პაციენტთა სახელით გამოცემული მანუსკრიპტებია.

ბატონი ნოდარ ემუხვარიანი იუბილარია – ის 80 წლისაა.

* * *



ნოდარ ემუხვარი

– გილოცავთ, ბატონო ნოდარ, საიუბილეო თარიღს. როგორც ამბობენ, ასაკი ის კი არ არის, რამდენი წლის ხარ, არამედ ის, თუ როგორ გრძნობ მას. წლებს კი არ უნდა ატარებინო თავი, წლები თავად უნდა ატარო და ისევე მხნედ, როგორც ეს თქვენს შემთხვევაშია, ბატონო ნოდარ! როგორ განკარგავთ მათ, თქვენს წლებს?

– წლებს როგორ განვკარგავდი, ეს საუბრის სხვა თემაა, დღეის მერე კი უფალი რა მოცემულობასაც განმისაზღვრავს, იმას უნდა მივყვე. ერთი რამ ზუსტად ვიცი – ჩემი წლები და საქმე ჩემი განვლილი გზაა. აქ არაფერი შემიცვლია – ახლაც ზუსტად იგივე პასუხისმგებლობით ვემსახურები ჩემს პროფესიას.

– 40 წელზე მეტი „ალადაშვილის“ კლინიკაში იმუშავებ, ბრძანდებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი, შემდეგ ამ სასწავლებლის პრორექტორი სამკურნალო დარგში, ასრულებდით თსსუ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობასაც. დღესდღეობით ხელმძღვანელობთ თქვენივე დაარსებულ ისრაელ-საქართველოს პირველ ერთობლივ და, ამასთან, მრავალფუნქციურ კლინიკას, კარდიოლოგიისა

და ანგიოლოგიის კვლევით ცენტრს, რომელიც აღჭურვილია ევროპული სტანდარტების შესაბამისი ტექნიკური აპარატურით. და ბოლოს, როგორც ამოვიკითხე თქვენი კლინიკის ვებ-გვერდზე, „ჰელსიკორი“ – ესაა „ჯანმრთელი და ლამაზი სიცოცხლე!“ ახლა თქვენ გააგრძელებთ, ბატონო ნოდარ, კიდევ რაა „ჰელსიკორი“?

– თუნდაც, ნათქვამი ჩამეთვალოს რეკლამაში, მაინც ვიტყვი – ესაა საუკეთესო ექიმების გუნდი, ესაა – ძლიერი და გამოცდილი პროფესიონალებით დაკომპლექტებული კლინიკა.

„პროფესიონალი“ ვახსენე. ჩემთვის პროფესიონალი მარტო ის კი არ არის, ვინც თავისი საქმის ხელოვანია (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). თუ მართლა გიყვარს და აფასებ შენს განვლილ წლებს, ნასვლის დროც უნდა იცოდე. სამედიცინო ინსტიტუტშიც ჩემი ნებით დავტოვე კათედრის გამგის თანამდებობა და აქაც, ჩემს კლინიკაში – კარდიოლოგიური სამსახური ნიჭიერ უმცროს კოლეგას ვანდე. აუცილებელია უკან მოხედვა და იმის დანახვა, ვინ მოდის შენს შემდეგ.

დღეს გადავფიქრებდი კვლევებში, სადაც დატვირთვა ნაკლებია. პაციენტები სხვა სირთულეა, ავადმყოფთა რიგები ჩემი წარსულია. ვიმეორებ, ჩემი კლინიკის ექიმები არიან სა-უ-კე-თე-სო-ნი (ასე დამარცვლა. ნ.ჭ.).

– ბატონო ნოდარ, გიმართლებდათ თუ საგანგებოდ არჩევდით ექიმებს?

– როგორ გეკადრებათ! გიმართლებს კარტში, ნარდში, კაზინოში... მაგრამ, როცა აღამიანის სიცოცხლე გაბარია, აქ ლოგიკას, ზოგჯერ კი, ინტუიციასაც უნდა მივყვე. დღეს შემიძლია, თავიც

მოვინონო – კლინიკის ექიმები სათითაოდ ჩემს მიერაა შერჩეული. უცხოეთში მოღვაწე ქართველ ექიმებსაც ვეხმინებით და სამშობლოში ვაბრუნებთ. და ყველაზე მნიშვნელოვანი: ერთადერთი, რაც ოდნავადაც არ შეცვლილა ჩემი სამედიცინო საქმიანობის 55 წლის მანძილზე, ესაა ავადმყოფის სიყვარული.

– გალი, სოფელი შეშელეთი, თქვენი ოდაბადე, კუთხე, საიდანაც იწყება და ინერება დიდი მეცნიერისა და სახელოვანი დასტაქრის, ამასთან, როგორც ამბობენ თქვენზე, უიშვიათესი პიროვნების, რეგალიებთან და სიმალღებებთან შეჭიდებული ნოდარ ემუხვარის ბიოგრაფია...

– შეშელეთიც და ჩხორთოლიც ემუხვარების საუფლოა. ის ჯერ აფხაზეთის ეროვნული მთავრობის პირველი თავმჯდომარის – არზაყან ემუხვარის სამოსახლო იყო, დღეს კი ის დიდი ილია ვეკუას მშობლიური კუთხეა.

ბებიაჩემი იყო ოდიშის მთავრის შთამომავალი, ჩიქოვანის ასული, გიმნაზიადამთავრებული, განათლებული, ულამაზესი, სამართლიანი. მას სახელით არავინ მიმართავდა. მთელი სოფელი „პატენით“ („ბატონი“ – მეგრ. ნ.ჭ.) იხსენიებდა. ნადი რომ ერქვა, ყმანვილკაცობაში გავიგე. სოფელში, სადაც, კარგი გაგებით, ბებია „ავტორიტეტი იყო“, სოფლის ნებისმიერი, დიდი თუ პატარა თემა ნადი ბებიასთან ირჩეოდა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან „ცოტა სვეციკი“ ნადი ჩიქოვანი დილას აუცილებლად ყავით იწყებდა.

სტუდენტი ვიყავი, ჩემი გამზრდელი ბებია რომ გავიდა ამ წუთისოფლიდან. დასაფლავების დღეს, იცით, რა მახსოვს: მთელი სოფელი ჩვენს ეზოში და ჩვენი სახლის უზარმაზარ „ბალაში“ გვანჯი ჩიქოვანის შემობრძანება (ცნობილი თავადი, რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე, „მთავრის მოტაცებაში“ გვანჯი აფაქიძის პროტოტიპი).

– გამორჩეულ ადამიანთა ბიოგრაფია მუდამ ექსკლუზიური ეპიზოდებით ივსება. საზოგადოებასაც აინტერესებს წარსული, სადაც არაერთი უცნობი ფაქტი და მოვლენა გროვდება. ამჯერად ჩვენი რესპოდენტი ბრძანდებით თქვენ, ემუხვარების სახელოვანი გვარის წარმომადგენელი. კიდევ რას გვეტყვით და რას გაიხსენებთ?

– ემუხვარები, სხვა თავადიშვილების მსგავსად, მუდმივად დევნაში ვიყავით, განსაკუთრებით – 1917-ში, 1937-ში, 1954-ში. ჩვენს გვარს 180 ადამიანილა შემოვრჩით (ისე, დღეს აფხაზეთში მცხოვრები ემუხვარებიდან თითქმის ყველა აფხაზობს). ჩვენი სახლის კედლებს ამშვენებდა უამრავი ნახატი, უძველესი ხატები. კომუნისტები ჯერ ფეხებით შემდგარან, მერე კი ყველაფერი დაუნვათ.

გალის რაიონიდან იმ წელს მხოლოდ სამნი ჩავირიცხეთ უმაღლეს სასწავლებელში. ჩემი სახლისკენ მიმავალ სოფლის გზაზე შემხვდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ბუნებით ჩეკისტი, და იცით, როგორ მომილოცა? ემუხვარებს ამაზე ნაკლები ხომ არ გეკადრებოდათო!

მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი ვიყავი (9 წელი ვიმუშავე ამ თანამდებობაზე). ჩემი მეგობრისა და კოლეგის, შესანიშნავი პიროვნების ვახტანგ ყიფიანის (ისიც პრორექტორი იყო) კაბინეტის კარები შევალე. მაგიდაზე ედო 1903 წელს გამოცემული ალექსანდრე დიაჩკოვ-ტარასოვის წიგნი „Гагры и ихъ окрестности“ დავინტერესდი, გაგრაში ხომ ბაბუაჩემი და მისი ძმა, თავადი ემუხვარები 9 ჰა მიწის ფართობს ფლობდნენ. სწორედ ამ წიგნში ამოვიკითხე, სამურზაყანოელი თავადები, ძმები ემუხვარები თუ ინებებენ და გაგრაში წყალსაცავ არხს გაიყვანენ, ამ პატარა ზღვისპირა ქალაქს ნალკოტად აქცევენო (სხვათა შორის, იქ არსად ეწერა, ემუხვარები აფხაზი თავადები იყვნენო). ვახტანგ ყიფიანს გაუკვირდა, ამ სავარგულების პატრონებს შეშელეთში რა გინდოდათო? წიგნის მესამე გვერდზე წავანყდი ერთ საინტერესო ფაქტსაც – გაგრაში ემუხვარი რქმევია ერთ-ერთ მდინარეს.

– ისტორია გვამცნობს, რომ თქვენი გვარი „ემუხვარი“ წარჩინებული აზნაურების – ზედგენიძეების, მერე კი უკვე ამილახვართა დიდებული გვარის განშტოებაა: XV ს.-ში, კერძოდ, 1465 წელს, ღირსეულ აზნაურს



კლინიკა „კელსიკორი“



„ბაბრა და მისი შამოგარანი“. ალექსანდრე დიაჩკოვ-ტარასოვი. 1903 წ.

– იოათამ ზედგენიძეს გაუგია, რომ მეფე გიორგი VIII-ს უწყობდნენ შეთქმულებას. მეფის მაგივრად თავად ჩანოლილა გვირგვინოსნის ლოგინში. შეთქმულებმა მოკლეს იოათამი; იგი სიკვდილის შემდეგ ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ზედგენიძეების შთამომავლებს კი გიორგი VIII-ემ თავადობა და ამილახვრობა უბოძა; სწორედ ემუხვარია ამილახვართა ერთ-ერთი განშტოება. ამილახვარ-ემუხვარებს თავმოსაწონებელი თავგადასავალი, იქნებ, კიდევ გაქვთ?

– კონსილიუმზე დამიძახეს. შევალე პალატის კარები (კომუნისტების დროა). მაშინ ძველებური, ცოტა მოყანყალე, რკინის საწოლები იდგა, ისეთი, ლამის, რომ ირწეოდა (დღევანდელს არაფრით ჰგავდა), ერთ-ერთ საწოლს ზურგით მივეყრდენი და მესმის გალიზიანებული ხმა: შე, კაცო, ექიმი ხომ ხარ, მეტკინა ნაოპერაციევიო. მივიდნენ პაციენტთან და უთხრეს, ეს ჩვენი სამსახურის უფროსია, ემუხვარიო (მაშინ ჩემს დაარსებულ კარდიოლოგიურ ცენტრს ვხელმძღვანელობდი). ისევ მესმის იგივე პაციენტის ხმა, მოდი ჩემთანო. როცა საწოლს მივუახლოვდი, მეუბნება, დანიე თავიო. ცოტა უხერხულად დავიხარე. პაციენტმა მაკოცა შუბლზე, გახსნა მანამდე შეკრული შუბლი და გამიღიმა: ჩემი ჯიშის ყოფილხარო. ის პაციენტი გვარად ამილახვარი იყო.

– ნიჭიერი ადამიანები სხვათაგან იმითაც გამოირჩევიან, რომ ახასიათებთ უცნაურობები. ზოგჯერ, შეიძლება, ეს გამოიხატოს რაიმე ფობიით, ან ზოგჯერაც, რაიმე გატაცებით, აჩემებული ჰობით. შარლოტა ბრონტე თურმე რომანის წერას თავს ანებებდა და იწყებდა კარტოფილის გაფცქვნას. დიუმა (მამა) მხოლოდ კვარდატულ ფურცლებზე წერდა. ვიდრე ნაწარმოებს შექმნიდა, შუბერტი სავარცხელზე

უკრავდა, ხოლო სალვადორ დალის შთაგონებისთვის ბუზები სჭირდებოდა და თითოს 5 ფრანკად ყიდულობდა, ცნობილი საბავშვო მწერალი ანდერსენი კი მსახიობობაზე ოცნებობდა. მკითხველისთვის საინტერესო იქნება ნოდარ ემუხვარის ჰობი.

– ალბათ, გაოცდებით, მაგრამ ცხოვრებას თავიდან რომ ვინყებდე, აუცილებლად მუსიკალურ კარიერას ავირჩევდი, ეს ზუსტად ვიცი.

– გამოდის, მუსიკალური სმენით ხართ დაჯილდოებული?

– ამასთან, ძალზე ზუსტი და ფაქიზი სმენა მაქვს. თქვენ წარმოიდგინეთ, ავადმყოფის სახელი და გვარი არასოდეს მახსოვს, მაგრამ ერთმანეთში არ მერევა მათი ხმები. ძველ პაციენტებსაც კი მხოლოდ ხმებით ვცნობ.



ლა სკალა. XIX ს.-ის ფოტო

– მართლაც რომ, გამაოცეთ, ნიჭიერი ადამიანის ამ უცნაურობით. და მაინც, პოპულარული სასიმღერო ნაწარმოები უფრო გზიბლავთ თუ კლასიკური მუსიკის მსმენელი ბრძანდებით?

– ზოგადად, მაღალი დონის ნებისმიერი მუსიკა ჩემთვის მისაღებია, მაგრამ უფრო მაინც კლასიკას ვანიჭებ უპირატესობას. მსოფლიოს 30-მდე ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ისიც, არაერთგზის. ნებისმიერ ქალაქში, სადაც ოპერის თეატრი ფუნქციონირებს, გამორიცხულია, იქ საოპერო წარმოდგენას არ დავესწრო. პერუელ ხუან დიეგოს, გერმანელ ჯონას კაუფმანს, ვენესუელელ გუსტავ დუდამელსა და იტალიელ პლაჩიდო დომინგოს – მუსიკის სამყაროს ამ ტიტანებს ლა სკალას თეატრის სცენაზე „შევხვდი“. შეუდარებელ მარია კალასს, შემიძლია, დაუსრულებლად ვუსმინო. პარიზში რომ ნახვალ 10-ჯერ და ერთხელაც არ შეაღებ ოპერის თეატრის კარებს, ნამდვილი დამნაშავე ხარ! მილანში ყოფნის დროს, სადაც ჩემი შვილიშვილი და მოსახელე, უმცროსი ნოდარიკო ემუხვარიც მყავდა წაყვანილი, დავესწარით საოპერო წარმოდგენას. სანახაობით აღფრთოვანებულებმა იმ საღამოს „სხვა შედეგიც“ დავდეთ: არ ვიცოდით, ნოდარიკოს თურმე გენეტიკურად ჩემი მუსიკალური ნიჭი დაჰყოლია. სატელევიზიო მუსიკალურ არხზე „მეცო“ მელომან ბაბუა- შვილიშვილს არაფერი გამოგვჩნება.

– თქვენ სხვა „სისუსტეებიც“ გექნებათ, ბატონო ნოდარ!

– რასაც ვაღმერთებ მუსიკასთან ერთად, ეს ყვავილებია. საუცხოო ფერისა და სურნელის ყვავილები ხარობს ჩემს ბაღში, მცხეთაში. ყველა ერთნაირად მიყვარს და მაოცებს. როცა მათ ვუყურებ, მგონია, მეც მათსავით დაუცველი ვარ. ჩემს ბაღში სეირნობს ფარშევანგი, გედბატა... ერთხელ სანადიროდ წამიყვანეს. რომ გადაიფრინეს კაკბებმა და ცაზე უჩვეულო სილამაზე დავინახე, თოფისკენ ხელს რა წამალებინებდა. შეუმდგარ მონადირედ დავიბადე.

– თქვენზე, როგორც მკურნალზე, ბევრი დანერვილა, თქმულა. ამასთან, „სახალხო მკურნალადაც“ მოგიხსენიებენ, რითაც ხაზს უსვამენ თქვენს გამორჩეულ პიროვნულ თვისებებსაც. უამრავი შეხვედრა, უამრავი პაციენტი... რა ფასეულობა გალელვებთ ადამიანებში?

– უღალატობა! შეხედეთ ამ ფოტოსურათს (მითხრა და კედლისკენ გამახედა – ნ.ჭ.), პიონერთა სასახლის ეზოშია გადაღებული, სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრები ვსხედვართ. სწორედ მათ შორის ყოფნამ, მათთან ურთიერთობამ მასწავლა, როგორია ნესიერებაც და როგორია არაგულწრფელობაც. ხედავთ, რამდენი ვართ (სურათზე 40 კაცამდე ჩანს – ნ.ჭ.)? ხალხიც ასეთი ქრელია. როგორიც არ უნდა ვყოფილიყავი, თვალთმაქცი ადამიანებისგანაც ვსწავლობდი. არ შემიძლია, ვიყო ისეთი, როგორიც სინამდვილეში არ ვარ. ეს მუდამ აღემატებოდა ჩემს შესაძლებლობებს. ამ სკამმაც, სადაც ახლა ვზივარ, დიდი სკოლა გამომატარა.



მარცხნიდან: კოლეგები და მეგობრები – ნოდარ ემუხვარი, დავით ტვილიძანი, ვახტანგ ალადაშვილი, გიორგი ყუფარაძე

– „მართალი თავისი რწმენით იცოცხლებსო“, – წერია წმინდა წიგნში. ადამიანს სწორედ რწმენა აძლიერებს და აიძულებს. რა იქნებოდა სამყარო რწმენის გარეშე? წამალს ვსვამთ და ვმკურნალობთ, რადგან გვჯერა, რომ გამოვჯანმრთელდებით, ვიძინებთ იმ იმედით, რომ ხვალინდელი დილა გათენდება. თქვენთვის რა არის რწმენა?

– ნადი ბებიას ხშირად დავყავდი ილორში. პატარა ვიყავი, მაგრამ მახსოვს, ეკლესიაში გზას ფეხშიშველა რომ გადიოდა. პატრიარქმა ბიბლია მაჩუქა და მითხრა, გწამდეს ღმერთიო. ეს არ მაგინყდება. როცა იერუსალიმში, ქრისტეს საფლავს ვემთხვიე, ჩემდაუნებურად ბავშვივით ავტირდი. პირადად ჩემთვის პატრიარქი მიწიერი ღმერთია. ქრისტე ჩემთვის ბოლომდე შეუცნობელია, მაგრამ ილია II-ეს რომ შეხვდები და გაესაუბრები, გავინყდება, რომ შენც მასავით დედამიწელი ხარ.

– წლების წინ, ბატონო ნოდარ, თქვენც მათ შორის ბრძანდებოდით, ვინც ქართველების სახელით ხელი მოაწერა მიმართვას აფხაზი უხუცესებისადმი: „შერიგების რესურსი ჯერ არაა ამონურული. გთავაზობთ, შეხვედრით ერთმანეთს პირისპირ, შუამავლების გარეშე... აფხაზები ხომ იშვიათად სწირავენ ერთმანეთს“. დიდი კონსტანტინეს „მთვარის მოტაცება“ თითქოს მართლაც წინასწარმეტყველურია – გადარეული ენგურის ზვირთებთან მებრძოლი თარაშ ემხვარი მარცხდება. განა ამ რომანივით სასტიკი სინამდვილის შეულამაზებელი ამბავი არაა დაცემული სოხუმი და ქართულ-აფხაზური საუკუნოვანი ურთიერთობების გახლეჩა?

– მართალია, დღეს მსოფლიოში მოვლენები სხვაგვარად ვითარდება, თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, თუნდაც, დამარცხებულ რუსეთს როგორ დავამარცხებთ აფხაზეთში. სინანული გვიანია, იმ საერთო წარსულისკენ გახედვაც, სადაც ერთად ვიყავით, შეცდომები ორივე მხარემ დაუშვა. მაგრამ უფალი მონყალეა და ვიყოთ ჩვენც ამის იმედად.

P.S. დღეს კლინიკა „ჰალსიკორის“ გენერალური დირექტორია ნოდარ ემუხვარის შვილიშვილი – არჩილ ხანთაძე. მეუღლე გულნაზ ბასარია და ქალიშვილები – თამარი და ნინო ღირსეულად აგრძელებენ ემუხვარების სამედიცინო ღირსეულობას. ბატონი ნოდარის ერთი წლის შვილთაშვილსაც პირველი სიტყვა „ბაბუ“ უთქვამს.

„მადიცნა არ უნდა იყოს უფუნება და კვირადღირაბული. სიცოცხლე ყველას უნდა“, – ამოგზს ერთ-ერთ ინტერვიუში ნოდარ ემუხვარი. და ეს არაა ლიტონად ნათქვამი. „ჰალსიკორში“ ლაბორატორიული გამოკვლევა, კარდიოგრაფია, ექსოსკოპია და აპალემიკოს ემუხვარის კონსულტანტია ნაზინიანი დავნილისათვის დღესაც უფასოა. ამის გამო დამცინიან კიდეცო, ხუმრობს ბატონი ნოდარ თავის თავზე.

ათეული წლებია, ნოდარ ემუხვარს საკუთარ გულსცემასთან ერთად ესმის სხვათა გულაღის ფთქვაც. ისმენს გულაღის მოღარაჯანი „კარდიოლოგიურ კანაბას“, რომ უძილო დამაბებთან ერთად გაგრძელდეს სიცოცხლე...



„ჰალსიკორის“ დამფუძნებელი ნოდარ ემუხვარი და მისი შვილიშვილი, კლინიკის დირექტორი – არჩილ ხანთაძე

სულსშეამკვრელია „წერილი აფხაზეთიდან“, რომელსაც ხალხს აწერს ნიკო გალიდან, გალის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე; ნიკო „არ დაბადებულა ერთიან საქართველოში“, მის გარშემო არ საუბრობენ ქართულად, მაგრამ ის ფიქრობს და ოცნებობს ქართულად. უკვე მერამდენე თაობა იწყობა იმედით საქართველოსკენ; და რა გვაქვს ჩვენ, დანარჩენ საქართველოს, მათთვის სათქმელი, როგორ დავაჯაროთ ნიკო გალიდან, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მათ ხომ თმენითა და ლოღინით მოიპოვებს ჩვენთან დროისა და ყოფნის უფლება...

რეალობა კი სავდის მოგვრეალია: ნიკომ გალიდან გვარი ვერ გაგვიჩინლა.

წერილი აფხაზეთიდან

ნიკო გალიდან
სკოლის მოსწავლე



გამარჯობა. მე ვარ ნიკო გალიდან. მე გწერთ ძალიან ახლოდან, ჩვენი ქვეყნის მეორე ბოლოდან. ჩვენი ქვეყანა... თქვენი სუნთქვაც ისმის აქ... სიოს რაღაც მშობლიური და ნამდვილი მოაქვს აღმოსავლეთიდან.

მე არ დავბადებულვარ ერთიან საქართველოში, მე დავიბადე იმ ულამაზეს კუთხეში, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია, სადაც ზღვის პირას ოღეანდრები ჰყვავიან.

ჰო, ჩემს ირგვლივ უცხო ენა ისმის, მაგრამ მე ვფიქრობ და ვოცნებობ ქართულად. ასე მასწავლა დედამ, მითხრა, რომ ასეაო სწორი... დედა ხომ ყოველთვის მართალია...

ალიონი იწყება იქიდან, საიდანაც ჩემი და ჩვენი თვალები იმედით იმზირებთან... მზე სწორედ იქიდან ამოდის.

დღეს, როცა სამყარო ლურჯ-ყვითელ ფერებშია, არა არის ძნელი, გაარჩიო სიმართლე ტყუილისაგან. და ისიც დღესავით ნათელია, რომ სამყარო მაინც ჰუმანურ სანყისებზე დგას.

მომეცით ძალა და დამაჯერეთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება! დამაჯერეთ, რომ მეც თქვენნაირი ვარ და მაქვს უფლება, თქვენს გვერდით ვიდგე. ეს ჩემს დედასაც უნდა ძალიან. მეუბნება, რომ თითქმის მთელი ცხოვრება ელოდება, ელოდება ამას...

მითხარით, დამაჯერეთ, რომ მე და დედა გავიხარებთ!

ჩანახატში „შემოდგომა“ ავტორთან ერთად თვალს ვაღწევნებთ შემოდგომის ერთ დღეს, მშვენიერს, სავსეს, მაგრამ რაღაცნაირად სევდიანს. გრძნობ, თითქოს გონება, შემოდგომის ფოთლაკივით, გაფანტება, ხდავი უმოქმედო და მთლიანად ნებღები გუნებას. თითქოს გარტოვ ხარ, უმეგობრო, მაგრამ რატომღაც მაინც გაღწევი. რაღაგან შემოდგომა, თავისი ფარებითა და განწყობით შემოიჭრა შენში და ახლა შენ თითქოს თავადაც შემოდგომას გავხარ.

შემოდგომა

ელენე გიორგალიძე

ქ. თბილისის IV საშუალო სკოლის მოსწავლე. სოხუმი

ფანჯრიდან მაცქერლის მზერას შიშველი ხეები და ფოთლებდაყრილი ყვითელი მიწა ხვდება. ჩაიდნის ხმაა. მწარე შავ ჩაის არომატულ ფუნთუშას აყოლებს და სუფთა ჰაერისთვის გამოღებულ ფანჯარას ხურავს.

შეკრულ თმას რომ ჩამოუშვებს, წითელი ტალღა იმლება მის მხრებზე.

აივანზე დიდხნიანი დგომის მერე მაინც ვერ წყვეტს, რა ჩაიცვას. ვერც გამვლელი შევლიან, ზოგიერთს ქვედაბოლო რომ ჩაუცვამს და ზოგიერთიც ქურქში რომაა შეფუთული. მათ ყველაფერი მოერგოთ.

ოთახში, მაგიდაზე წიგნი ხვდება, რომელიც, ორი დღეა, არ გადაუშლია. არა იმიტომ, რომ არ მოსწონს. უბრალოდ, ძალიან გაფანტულია, დაბნეული და ხშირად ივიწყებს საყვარელ წიგნსაც.

ხილის კალათა ყურძნით, ვაშლით, ხურმითა და ბროწეულითაა სავსე. კაპ-კაპ-კაპ... ფანჯრის რაფაზე ნვიმის ნვეთები იწყებს კაპუნს, ყვითელ ფოთლებს კი ქარი ამრიალებს.

მარტოდმარტო, არსად წასასვლელი რომ არა აქვს, გადის გარეთ და ქუჩას მიუყვება სევდიანი, ფიქრებით სავსე. აქ არავის არსად ეჩქარება, მიდიან ნელა, დაფიქრებით და ფერად ქოლგებს აფარებენ თავს.

ამ ქვეყანაზე კი ის უმეგობროდ დადის, ნიაფი თმებს უწენავს, სახე ეყინება და მაინც უზომოდ ბედნიერია.

ის ხომ ასე ძალიან ჰგავს შემოდგომას.



ზღაპარი მეოცნება გოგონაზეა, რომელსაც ძალიან ანუხავს ადამიანების უფარული ყოფა. „რატომ გაქრა სიყვარული დედამინაზე?“ – ეკითხება თითქოს მას მზე და ცრემლებად იღვრება. სხივებს კი გულით სწავლით, მეოცნება გოგონა სხვა სამყაროში ამოგზავნონ და გაახარონ. ამიტომ სხივები კაბარა გოგონს სვამენ უცნაურ ხეზე, სადაც მართლაც ზღაპრული, ჰარმონიული გარემოა; ხე თურმე ამოსულია იმ ირმის რქებზე, რომელიც სიყვარულს დაატარებს დედამინაზე და ბავშვებს ოცნების ახლანაში ეხმარება. ასეა, როცა ცხოვრებას ვერ ვცვლით, ზღაპრებით გამოვხატავთ ჩვენს სურვილებს.

ირმის ხე

ირაკლი
მოსწავლე გალიდან

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა გოგონა, რომელსაც ოცნება უყვარდა. ტრიალ მინდორზე გულაღმა დანვებოდა და საათობით შეჰყურებდა ცას, ოცნების ცას. მზე მოწყენილი დაჰყურებდა გოგონას და თითქოს მის აზრებს კითხულობდა. კითხულობდა და ცრემლად იღვრებოდა. მზის ცრემლები გოგონას ეკითხებოდა:

– რატომ გაქრა სიყვარული დედამინაზე? მომყევი და გამოგზავნე ისეთ ქვეყანაში, სადაც სიყვარულია და სადაც მხოლოდ ბავშვების ჟრიაში ისმის!

გოგონამ მალლა აიხედა, ხელები მზისკენ გაიწოდა და... უცებ მისმა სხივებმა თითქოს იგი ცაში აიტაცა.

ერთ-ერთმა სხივუკამ პატარა უცნაურ ხეზე შემოსვა. აქ ერთმანეთს ენაცვლებოდა საოცარი ხმები – თითოეული სიყვარულის საგალობელი იყო.

გოგონამ ბევრი ლამაზი ფრინველი, ცხოველი, მცენარე შეამჩნია და თავი ბედნიერად იგრძნო. ამღერდა, აკისკისდა, აცეკვდა. გახარებული მადლობას უხდიდა მზეს, სხივებს.

უცებ ნაბარბაცდა, თითქოს მინა იძრაო, ხიდან ჩამოვარდა და მინაზე აღმოჩნდა. გაოგნებულს ხმაც ჩაესმა:

– ადექი, პატარავ, კარგად დამენახე! ერთმანეთიც ხომ უნდა გავიცნოთ!


გოგონა უცნაურ თვალებს შეეფეთა. მის წინ იდგა ულამაზესი ირემი, რომელსაც რქებზე ხე ამოსვლოდა. ყველაფერს მიხვდა: თურმე, ამ ხიდან ჩამოვარდნილიყო. ეს ზღაპრული, არაჩვეულებრივი ირემი კი ოცნებასა და სიყვარულს დაატარებდა დედამინაზე.

გოგონა ისევ ირმის ხეზე შემოსკუპდა. მას მერე პატარა ირემთან ერთად დადის და თანატოლებს ოცნების ახდენაში ეხმარება.



„ნიჭს შრომის გარეშე ფასი არა აქვს“

ილია ვეკუა – 1907–1977 წ.წ.



ილია ვეკუა ლეონიძე

ილია ვეკუა – თანამედროვეობის გამოჩენილი მათემატიკოსი, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერ-აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში გამორჩეული რექტორი, უაღრესად კეთილშობილი პიროვნება.

ილია ვეკუა დაიბადა გალის რაიონის სოფელ შეშელეთში 1907 წლის 23 აპრილს.

„მას უყვარდა მშობლიური აფხაზეთი და მთელი არსებით ატარებდა ამ კუთხისთვის დამახასიათებელ თვისებებს – სიღინჯეს, უფროსებისადმი მოკრძალებულ დამოკიდებულებას, ლირიზმს ადამიანებთან ურთიერთობაში. მე ვერ ვხედავ ანალოგს, რომლითაც ამ დოზით შეიძლება, იამაყოს აფხაზეთმა, რადგან ილია ვეკუა ამ კუთხის გამორჩეული შვილი იყო“ (პროფესორი – გიორგი ხუბუა).

აი, რას ბრძანებს თვითონ ილია ვეკუა:

„ჩემი ბავშვობისა და შრომის წლები მე სოფლად გავატარე. ეს იყო ჩვეულებრივი, რევოლუციის წინაპროინდელი საქართველოს ტიპური კუთხე. იქ ცხოვრობდა მშრომელი გლეხკაცობა, მართალია, სწავლა-განათლებას მოკლებული, მაგრამ ღრმად გააზრებული, მტკიცე ტრადიციებით აღჭურვილი. მე გავიარე ცხოვრების პირველი სკოლა, რომელმაც ღრმა გავლენა იქონია ჩემს მორალურ აღზრდაზე“.

ილია ვეკუას პატივი ხვდა, ორჯერ ყოფილიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, მანვე დააარსა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი (დირექტორიც თვითონ იყო), რომელსაც მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელი მიენიჭა. აკადემიკოსის სახელობისა მთანმინდაზე მდებარე თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა; 1962 წელს ბატონი ილიას მიერ დაარსებული მშობლიური შეშელეთის სკოლაც დიდი მამულიშვილის სახელს ატარებდა; თბილისის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე დაარსებულია ილია ვეკუას სახელობის პრემია და სტიპენდია.

ცნობილია ილია ვეკუას გამონათქვამები: „ომი სულელების, ჭკუიდან გადასული ადამიანების მოგონილია“, „ნიჭს არ აქვს ფასი შრომის გარეშე“, „თუ პროფესიის სიყვარული არ გაქვს, არაფერი გამოგივა“, „საქმე, რომელსაც სიყვარულით აკეთებ, არასოდეს დაგლღის, პირიქით – სიხარულსა და ბედნიერებას მოგიტანს“, „ყველა საქმე, რომელსაც ხელს მოჰკიდებ, ეცადე, ბოლომდე მიიყვანო“ და ასე შემდეგ.

„ერთბაშად აკადემიკოსი არ გამოვიდა!“

ილია სოფლის მშრომელი, პატიოსანი გლეხის – ნესტორ ვეკუასა და მისი მეუღლის – ლიზა (მემუ) აფშილავას მრავალშვილიანი ოჯახის პირველი ვაჟი იყო (შემდეგ იყვნენ ძმა ვასო და დები: მარო, ვერა და ცოცო). პატარა ილიკოსთვის ავტორიტეტი ყოფილა ბაბუა, თედო ვეკუა, თურქეთის ომის მონაწილე (რომელსაც უკავშირდება ვეკუების ოჯახის ჩხორონწყის რაიონის სოფელ ახუთიდან საცხოვრებლად სამურზაყანოში გადასვლა).

თედო ვეკუა თურმე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწავლას, სწამდა, რომ განათლებას მოკლებული ადამიანისთვის ძნელი იქნებოდა ცხოვრება. მან თავისი საკარმიდამო ნაკვეთი გამოყო სოფლის სკოლისთვის, ხოლო თავის ვაჟს, ნესტორს უანდერძა, შვილებისთვის განათლება მიეცა.



ბაზა შეშელეთისკენ

ილიას თედო ბაბუასგან ბევრი კარგი უსწავლია. ღვანლმოსილი მეცნიერი ბაბუას, მასთან დაკავშირებულ რაინდულ ეპიზოდებს თურმე ხანდაზმულობაშიც სიყვარულით იხსენებდა.

ილიამ დაწყებითი განათლება ჯერ შემეღეთის, მერე მეზობელი სოფლის – ოქუშის დაწყებით სკოლაში მიიღო, შემდეგ კი სწავლა ზუგდიდის პირველ საშუალო სკოლაში განაგრძო. რაკი გატაცებული იყო ისტორიითა და ლიტერატურით, ილიამ თურმე გადაწყვიტა, ჩაებარებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე.

საბუთების შესატანად მიმავალს შემთხვევით შეხვედრია ახლობელი, გვარად გეგეჭკორი, რომელსაც დაურწმუნებია, ჩაებარებინა ფიზიკა-მათემატიკურზე.

ამაზე იუმორით იტყოდა ხოლმე ილია ვეკუა:

„ეს ისტორიკოსებისთვის აღმოჩნდა სასარგებლო, რადგან მათ რიგებს არ შეემატა ერთი ცუდი ისტორიკოსი“.

არის მოგონება, ილია რომ თბილისში გაეგზავნა სასწავლებლად, მამამ, ნესტორმა, თურმე კამეჩი გაყიდა. მეზობლის ქალს დამცინავად უთქვამს ნესტორისთვის: „სულელო ყაზახო, რატომ ყიდი უკანასკნელ მარჩენალს, შენი შვილი ერთბაშად აკადემიკოსი არ გამოვიდეს!“



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გზის დასაწყისი

XX ს.-ის 30-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მოღვაწეობდნენ: ანდრია რაზმაძე, ნიკო მუსხელიშვილი, გიორგი ნიკოლაძე და არჩილ ხარაძე, ის დიდებული ოთხეული, რომელთაც საქართველოში მათემატიკური კულტურა დანერგეს.

აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი იხსენებს:

„1931 წელს ლენინგრადში ჩავედი. აკადემიკოსმა ალექსი კრილოვმა შესანიშნავად დამიხასიათა ჩვენი თანამემამულე, ხოლო, როცა თვითონ მოუსმინა სემინარზე მის ერთ-ერთ მოხსენებას, უდიდესი კმაყოფილება ვიგრძენი, რადგანაც ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ილია ვეკუას სახით ბრწყინვალე მომავლის მათემატიკოსი გვეზრდებოდა“.

იმ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ლენინგრადის უნივერსიტეტის ასპირანტი გახდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ატომურ პროექტთან დაკავშირებით, ქალაქ სოხუმში შეიქმნა ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი, სადაც ინტეგრირებულნი იყვნენ გამოჩენილი გერმანელი მეცნიერები. მაშინ ილია ვეკუა, სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი, დანიშნული იყო ჩასატარებელი კვლევების კურატორად.

მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ ილია ვეკუას სახელი სამართლიანად მიენიჭა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტს (ამჟამად ფუნქციონირებს თბილისში).

აკადემიკალი – ციმბირის არამთიანი ბაკურიანი

ილია ვეკუა უშუალოდ მონაწილეობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების შექმნაში. კომპლექსი, რომელსაც შემდგომში აკადემიკალი უწოდეს, უნდა აშენებულიყო ქალაქ ნოვოსიბირსკიდან რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებულ დაუსახლებელ ადგილას, მდინარე ობის სანაპიროზე. აკადემიკოსი მიხეილ ლავრენტიევი მას თურმე ციმბირის არამთიან ბაკურიანს უწოდებდა.



ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიკალაქის მშენებლობა 1957 წელს დაიწყო და 1958 წელს დასრულდა; მისი ერთ-ერთი პირველი მობინადრე თვითონ იყო ილია ვეკუა. **აკადემიკალაქის ბაზაზე დაარსდა ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტი, რომლის რექტორად დაინიშნა ილია ვეკუა** (უნივერსიტეტის ფასადს დღესაც ამშვენებს ილია ვეკუას ბარელიეფი წარწერით: „Первый ректор Новосибирского университета“).

1958 წლის გაზაფხულზე ილია ვეკუა ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ნოვოსიბირსკში.

იმ დროისთვის აკადემიკალაქის ინფრასტრუქტურა გაუმართავი იყო. ილია ვეკუას უშუალო ხელმძღვანელობით უმოკლეს ვადებში ყველაფერი მოწესრიგდა და ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტი მონინავეთა რიგებში ჩადგა.

სახელმწიფო მეცნიერი ცხოვრობდა ეგზოტიკური სილამაზის ბუმბერაზ ნაძვებში ჩაფლულ ორსართულიან კოტეჯში. ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ ნათესავები საქართველოდან. ილია და მისი მეუღლე თამარ ბარნოვი გულშემატკივრობდნენ და მასპინძლობდნენ ციმბირში გასტროლებზე ჩასულ ქართულ თეატრალურ დასებსა თუ ანსამბლებს.

ილია ვეკუას 13-წლიანი მოღვაწეობა შორეულ ციმბირში იყო შინაარსიანი და სავსე, მაგრამ მეცნიერს გული მაინც სამშობლოსკენ მოუწევდა.

რეპტორზე მითი

1966 წლის აპრილში, როცა ილია ვეკუა მეორედ გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, იგი სიყვარულითა და ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას და უმოკლეს ხანებში თავისი სასიკეთო ხელი დაატყო კიდევ იქაურობას; გახსნა რამდენიმე ახალი ფაკულტეტი, კათედრა, კაბინეტი



ნიკოლოზ მუსხელიშვილი და ილია ვეკუა

თუ ლაბორატორია და აღჭურვა ისინი უახლესი ტექნიკური მოწყობილობებით. დაანესა შეღავათები მაღალმთიანი რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის.

ილია ვეკუა არა მხოლოდ მათემატიკას, არამედ სხვა დარგებსაც აქცევდა უდიდეს ყურადღებას. მისი მხარდაჭერით უნივერსიტეტში შეიქმნა მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორია, დაარსდა ბიოფიზიკის კათედრა.

1968 წელს, ილია ვეკუას რექტორობის პერიოდში, მოკლე ხანში, აიგო და ამოქმედდა უნივერსიტეტის მაღლივი შენობა, სადაც განთავსდა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

ილია ვეკუა საქმეში ძალიან მომთხოვნი იყო, თუმცა, როგორც რექტორი,

იყო უაღრესად ჰუმანური, კეთილშობილი და კომუნიკაბელური ყოფილა, უყვარდა ნიჭიერ ახალგაზრდებთან მუშაობა. სტუდენტებთან მუშაობისას სხვას დროს არ დაუთმობდაო.

ბუნებით შემოქმედი ადამიანი ყველაფერში ჰარმონიას ხედავდა. იმის დამტკიცებაც კი შეძლო, რომ მათემატიკა ლამაზიაო. არასდროს აგვიანებდა სამსახურში. ყველას ქუდს უხდიდა და გულითადად ესალმებოდა – მძლოლსა თუ დარაჯს, ლექტორსა თუ სტუდენტს, მაშინაც, როცა ბუნებით ოპტიმისტს მძიმე სენის გამო წართმეული ჰქონდა მეტყველების, ყლაპვისა და სუნთქვის უნარი, არასოდეს უთქვამს, დავილაღეო.

ილია ვეკუას შვილიშვილი, ბაბუას მოსახელე პროფესორი – ილია თავხელიძე იგონებს:

„ბაბუა თითოეული ლექციის წინ საგულდაგულოდ ემზადებოდა, ლექციას რამდენჯერმე ჩაწერდა მაგნიტოფონზე, შეასწორებდა და ნაშლიდა იმას, რაც სტუდენტებისთვის უნდა მოეთხოვა. იმდენად გათვლილი ჰქონდა ყველაფერი, რაც დაფაზე უნდა დაენერა, ლექციებზე თითქმის არასდროს ხმარობდა ტილოს“.

როგორც ამბობენ, ყოფილა არაჩვეულებრივი მასპინძელი და თამადა. არავის ახსოვს ექვიფა და მერე ის სუფრა არ გადაეხადა: დროს იხელთებდა და ანგარიშს გაასწორებდა. თურმე ვერც ვერავინ დაიტრაბახებს, მე ილია ვეკუას სუფრა გადამიხდიაო.

„ვეკულისა მთავრისა“*

აფხაზეთის ერთ-ერთი, არაფრით გამორჩეული სოფლიდან წამოსულმა ბიჭმა ჯერ თბილისი, მერე სანკტ-პეტერბურგი ალაპარაკა, შემდგომში კი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო.

უკვე დიდ მეცნიერს ეამაყებოდა, რომ აფხაზეთიდან იყო, ესმარებოდა მშობლიური კუთხიდან დედაქალაქში სასწავლებლად ჩასულ ახალგაზრდებს. არის მოგონება, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორობის დროს როგორ პატრონობდა სოფელ ბედიიდან ჩასულ აფხაზ სტუდენტს იპოლიტე ბაღბაიას.

საინტერესოა ილია ვეკუას ცხოვრების უკანასკნელი წლები: მიუხედავად იმისა, რომ მან თავისი უკუბრუნების სენის (ხორხის სიმსივნე) შესახებ ყველაფერი იცოდა, ბოლო დღემდე აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობდა. აღსანიშნავია, რომ ვარჯიშით მან გამოიმუშავა მეტყველების განსაკუთრებული მეთოდი და ლექციებსაც კი კითხულობდა, როცა მსგავსი დიაგნოზის ავადმყოფები სპეციალური აპარატითაც ვერ ახერხებენ ლაპარაკს.

სიკვდილის წინ ილია ვეკუამ შექმნა უნიკალური ნაშრომი „გარსთა თეორიის სხვადასხვა ვარიანტის აგების ზოგადი მეთოდი,“ რომლის დასრულების შემდეგ მხოლოდ 2 დღე იცოცხლა (მონოგრაფიას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა სახელმწიფო პრემია).

სწორედ მაშინ ბრძანა ილია ვეკუას შესახებ დიდმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ: „დააკვირდით დიდი კაცის სიკვდილს.“

მარინა ვეკუას, ილია ვეკუას შვილიშვილის მოგონება სახელოვან ბაბუაზე:

„საოცრად ლამაზი, ახოვანი, ყოველთვის კეთილად მოლიმარე, ოდნავ მოჭუტული მარჯვენა თვალით... დიდი გაქანების, ოდნავ ბავშვურად გულუბრყვილო, ...ერთნაირად გატაცებული ნიკო მარითა და ლევ ტოლსტოით, ფოტოგრაფიითა და შალიაპინით, ნადირობითა და... მათემატიკით.“

ქალბატონი მარინა იხსენებს, ციმბირში ცხოვრების დროს მასთან ერთად როგორ სწავლობდა 58 წლის მეცნიერი ინგლისურ ენას: „ბევრჯერ მინახავს, როგორ სწავლობდა ბაბუა უცხო სიტყვებს მოხსენების თუ სტატიის ინგლისურად მომზადების დროს, როგორ თარგმნიდა და ვარჯიშობდა გამოთქმაში. შედეგად, შესანიშნავად ისწავლა ინგლისური.“

თურმე ციმბირში ყოფნისას ისწავლა ბატონმა ილიამ ავტომობილის ყინულზე ტარებაც.

სიცოცხლის ბოლო წუთებში ილია ვეკუა ახლობლებს ესაუბრებოდა წერილებით, რომელიც, ამავე დროს, ზოგადსაკაცობრიოცაა:

„თუ ადამიანს თანდაყოლილი ნიჭი აქვს და შრომისმოყვარეა, ის ყოველთვის მიაღწევს წარმატებას... მაგრამ ნიჭიერება და ღრმა აზროვნების უნარი ადამიანს სახეზე არ აწერია... ჩვენ ხშირად ვუშვებთ შეცდომას, როცა ახალგაზრდის ნიჭიერების შეფასებისას ვემყარებით მის ისეთ თვისებებს, რომელიც ხილულად ჩანს და იოლად იხსნება, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ის, რაც ბრჭყვიალებს, ოქრო არ არის ხოლმე... ამიტომ ნიჭიერი და უნარიანი ახალგაზრდების დანინაურებისას დიდი სიფრთხილე და დაკვირვება გვმართებს. მთავარია სამი რამ: ნიჭი, მუშაობის უნარი და საგნისადმი სიყვარული.“

ილია ვეკუა გარდაიცვალა 1977 წლის 2 დეკემბერს, 70 წლის ასაკში. დაკრძალულია მთანმინდაზე, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

* * *

„ვეკუას ინტაბრალური ნაშრომებზე“, „ვეკუას გარსთა თეორია“, „ვეკუას განზოგადოებული ფუნქციები“... – ეს დიდი მათემატიკოსის სიცოცხლეშივე დამკვიდრებული გამონათქვამებია.

„მათემატიკა არის სამეცნიერო შემოქმედებისა და გუნების საილუმოვაჰი შედეგის უმკლავრესი იარაღი“ – ბრძანებდა დიდი მეცნიერი.



მარცხნიდან: ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ილია ვეკუა (მართა), სარგი ღურგიშიძე (მეხუთე), ბელატი. 1972 წ.

* – ახა ჰქვია ილია ვეკუასადმი მიძღვნილ ელენე ოგოლაშვილის წიგნს.

1. რა ერქვა მცხეთელ ქალბატონს, რომელმაც მისი ძმის, ელიოზის მიერ იერუსალიმიდან ქართლში ჩამოტანილი უფლის კვართი გულში ჩაიკრა და სულიც განუტევა?
ა) სიდონია.
ბ) სოსანა.
გ) სალომე.

2. რომელი მეფე უწოდებდა თავის თავს „მესიის მახვილს“?
ა) ვახტანგ გორგასალი.
ბ) დავით აღმაშენებელი.
გ) ბაგრატ III.

3. რომელი თანამედროვე ქართველი პოეტის სიტყვებია ეს შესანიშნავი სტრიქონები: „ეს გაუმარჯოს ერთი დიდგორით, ყველა წაგებულ ომის მოგებას“?
ა) ლაშა გახარიასი.
ბ) თინათინ მღვდლიაშვილის.
გ) მარიამ წიკლაურის.

4. რამდენი კუნძულია შავ ზღვაში?
ა) 1.
ბ) 2.
გ) 3.

5. როდის მიიღო სოხუმმა ქალაქის სტატუსი?
ა) 1845 წელს.
ბ) 1846 წელს.
გ) 1847 წელს.



7. სად არის დაკრძალული ამბროსი ხელაია?
ა) ქაშუეთში.
ბ) სიონში.
გ) სვეტიცხოველში.

6. რომელია დედამინის ყველაზე დიდი ცხოველი?
ა) თეთრი დათვი.
ბ) სწორეშვიანი სპილო.
გ) ლურჯი ვეშაპი.

8. სად შექმნა იტალიელმა ლეონარდო და ვინჩიმ თავისი ერთ-ერთი ბოლო, ასე ცნობილი ტილო „მონა ლიზა“ და ის დღეს რომელ ცნობილ მუზეუმშია?
ა) საფრანგეთში, ლუვრში.
ბ) იტალიაში, ვენეციის გალერეაში.
გ) ესპანეთში, პრადოში.

9. რა პროფესიის იყო ინგლისელი მწერალი, დეტექტიური რომანის ინოვატორი – კონან დოილი?
ა) იურისტი.
ბ) ეკონომისტი.
გ) ექიმი.



მადონა შრეასა და პატარა იოანე ნათლისმცემელთან ერთად

10. აღორძინების ეპოქის რომელი მხატვრის ტილოა „მადონა ყრმასა და პატარა იოანე ნათლისმცემელთან ერთად“?
ა) რაფაელის.
ბ) სანდრო ბოტიჩელის.
გ) მიქელანჯელო ბუონაროტის.

საკიებელი

საჩინო თარიღი

იოსებ ჭუმბურიძე
შესავლისათვის, ანუ „ბიძია დუმბას ქოხი“ 3

პროზა

დავით ალთუნაშვილი
უცვეთელა 4

ზღვა და ქვიშა

საბჭოთა ატომურ პროექტზე მუშაობა
დაინყო აფხაზეთში 7

საერთოკავკასიური იდეა – შესვლადრა მომავალ ნიგნთან

მეჩა ხანგოშვილი
მას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის
აღდგენა სურდა 10

ბარათები შენთვის

ჯენიკა ჯონსტონი
„მე თქვენი ფანი ვარ...“ 14

ო, ენავ ჩემო 16

პირი ელინოსო

საიედ ომიდ აბთაჰი (დანიელი)
ჰელიანაჰ ქებითაჰ (მარიამი)
„ჩვენ დავინახეთ სინათლე“ 18

პოეზია უპირველეს ყოვლისა

თორნიკე ნანობაშვილი
ლექსები 22

დაბრუნებამდე სათქმელი

ნანა ხურთი
„მე ასეთი სოხუმი მახსოვს“ 23

ორნატი

„ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი“...
თამუნია წერეთელი – დაბადებიდან 120 26

ქართულ-უკრაინული საგა

რაულ ჩილაჩავა
ქართული კვალი კიევის ცენტრში 28

მოღბარტთან

გერმანელი მაქს ტილკე და ქართული
ეროვნული სამოსი 30

ზღაპარი დიდებისთვის

ნუნუ ჯანელიძე
მუშტისოდენა 32

ერთხელ

რაც მოხდა 220 წლის წინათ 34

რაც მახსოვს

ნინო ქუთათელაძე
პაპაჩემი 36

უცნობი ისტორიები

პავლიკა ჯაბუნავა
კავკასიელი დორა კოქსი - ბარბარე დანელია 38

თარგმანი

მარიამ ნიკლაური
„ქარის ზარებივით“ მონკრიალე 41

მისუშუ კანაკო – ლექსები 42

ირმის ნახტომი 44

მრავალფეროვანი მსოფლიო

უკრაინა - ევროპის ყველაზე დიდი ქვეყანა 45

ნითელ სალიჩაზა

ნანა ჭანტუაძე
გულების მოდარაჯე 48

დაფიონი

ნიკო გალიდან
წერილი აფხაზეთიდან 52

ელენე გიორგალიძე
შემოდგომა 52

ირაკლი გალიდან
ირმის ხე 53

რჩულთა გზა გავშვობიდან

ილია ვეკუა – „ნიჭს შრომის გარეშე ფასი არა აქვს“ 54

კითხვა-პასუხების ლაბირინთი 58

ჩვენი მისამართი:

ძ. თბილისი, უზნაძის ძ. № 68.
ტელ.: (+995) 598 93 92 84
(+995) 599 12 66 80
ვებ-გვერდი: www.ialkani.ge
ელ-ფოსტა: print@csya.ge

იალქანი № 1 (52). 2023 წ.

ტირაჟი: 300 ც.
ფასი სახელმწიფოებრივად



ქურნალი გამომცემის აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით



ISSN 1512-2026



9 771512 202008

„ღამე და სიზვიძღა“. ლუკა ცეცხლაძე. 12 წლის. სოფელი წერაძვი (მარნეული).